

ა. ნ. ნაჩომაშვილი

მონიშნვე კულტურისათვის ეკონომიკა

(საბუნებო სიმდიარების ანალიზი და
კერძოკერძოლი გეგმა)

სახელგამი
თბილისი
1956

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა აღნიშნა, რომ ეკონომიური კვლევის საკითხი სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას. სუსტია ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა, ხშირ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის საკითხები ცალმხრივად ისწავლება და ნაკლები ყურადღება ექცევა ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობების, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების კომპლექსურ ეკონომიური ორგანიზაციული თვალსაზრისით შესწავლას, კერძოდ კი ნაკლებად ისწავლება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ უდიდესი ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე. ყრილობამ სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან გადაპკრით მოითხოვა, რომ „უზრუნველყოფილ იქნას სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი განლაგება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისა, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სპეციალიზაცია ქვეყნის რაიონებში თვითეული რაიონის, ხოლო რაიონში—თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბუნების და ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით, ამასთან მიზნად იქნეს დასახული 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე პროდუქციის გამოსავლის მკვეთრად გადიდება შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯვით“.

XX ყრილობის დირექტივებით საქართველოს სსრ გათვალისწინებულია მებალეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების

შემდგომი განვითარება. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით მარცვლელის წარმოება უნდა გადიდდეს დაახლოებით 1,3-ჯერ, ხორცისა — 1,7-ჯერ, რძისა — 2-ჯერ, მატყლისა — 1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 1,3-ჯერ.

ამ ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენი შრომის მიზანს შეადგენს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის. სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, არსებული ნაკლოვანებებისა და გამოუყენებელი რეზერვების გამოვლიხება და სოფლის მეურნეობის წარმოების წემდგომი განვითარების ღონისძიებების შემუშავება რაიონის ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესაბამისად.

წითელწყაროს რაიონი ერთ-ერთი დამზახსიათებელი რაიონია მემინდერეობისა და მეცხოველეობის წარმოების საქმეში მთელს რესპუბლიკაში.

სოფელ 'ზემო მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო არტელი აღნიშნული რაიონის ყველაზე მსხვილი და მრავალდარგოვანი კოლმეურნეობაა. თავისი გეოგრაფიული და ბუნებრივ ეკონომიური პირობებით იგი ტიპიურია მთელი რაიონისათვის. ამიტომ ამ კოლმეურნეობისათვის მოყვანილი სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციის საკითხების გადაწყვეტის მეთოდები და ღონისძიებები შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული ზონის კოლმეურნეობებმა ანალოგიური საკითხების დამუშავებისას.

როგორც წითელწყაროს რაიონი, ისე სტალინის სახელობის კოლმეურნეობა თავიანთი მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით და შრომაში მოპოვებული მიღწევებით ფართო ჩვენებით მონაწილეობდნენ ყველა აქამდე ჩატარებულ სრულიად საკავშირო და რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში.

სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მონაცემების საფუძველზე და მისი საწარმოო შესაძლებლობის გათვალისწინებით კოლმეურნეობის გამგეობის, აქტივისა და ჩვენი უწყულო მონაწილეობით შედგენილ იქნა აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო არტელის განვითარების 1956—1960 წლების პერსპექტიული გეგმა. ამ დარგში გაწეული მუშაობა და ამ საკითხის გაშუქება პირველი ცდაა, იგი სათანადო დახმა-

რებას გაუწიეს კოლმეურნეობებს პერსპექტიული გეგმის შედგენაში.

წინამდებარე შრომა დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებისაგან. მკითხველის ყელა საქმიან შენიშვნას სიამოვნებით მივიღებთ..

ა. ნარჩომაშვილი

კოლმეურნეობის ისტორიიდან

ზემო მაჩხაანი, ქიზიყის ეს შესანიშნავი სოფელი, ლამაზად გადაქიმულა ცივკომბორის მთის ზურმუხტოვან კალთებზე და კექლუცი პატარძალივით გადაჰყურებს თავის გმირ წინაპართა სისხლით მორწყულ ალაზნის ველს.

წინათ უსამართლობით განაწამები, ხოლო დღეს სოციალიზმის ეპოქის ბედნიერი მზით გამთბარი მაჩხაანელი გლეხი ხარბად დაწაფებია საკოლმეურნეო შრომას და თავისი და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ქმნის უხვ საკოლმეურნეო დოვლათს.

1956 წლის 10 მაისს სოფ. ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას არსებობის 29 წელი შეუსრულდა.

ამ სოფლის დასახლებული ტერიტორია 6.5 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით—სოფელი მირზაანი, დასავლეთით—სოფ. ბოდბე, ჩრდილოეთით—სოფ. ქვემო მაჩხაანი და სამსრეთით—სოფ. არბოშიკი.

ზემო მაჩხაანი მკიდროდ დასახლებული სოფელია. მასში 1000 კომლია 4020 მცხოვრებით. სოფელი რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 25 კილომეტრით, ხოლო რკინიგზის წნორის სადგურიდან—9 კმ-ით.

კოლმეურნეობა, მართალია, ძირითადად მემინდვრობა-მეცხოველეობის მიმართულებიდან, მაგრამ ამავე დროს აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და ტექნიკურ კულტურებს.

კოლმეურნეობის მიწის ფართობი 28.567 ჰექტარს შეადგენს. აქედან სახნავი—7365 ჰა (25,8%), ვენახი 91 ჰა (0,3%),

საძოვრები 14.712 ჰა (51,5%), ბუჩქნარი 1193 ჰა (4,2%), ტყე—147 ჰა (0,5%), საკარმიდამო მიწები 319 ჰა (1,1%) და ა. შ.

რაიონი ხასიათდება ზომიერი, თბილი და ნახევრადწრის-ლი კონტინენტალური კლიმატით. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა 500—600 მილიმეტრია და წლიური საშუალო ტემპერატურა 10,4°. მთლიანად წითელწყაროს კლიმატი დამოკიდებულია ცენტრალური ველის ოლქზე და წარმოადგენს გარდამავალ სარტყელს. ნალექების წლიური მაქსიმუმი მოდის მაისში, მინიმუმი კი იანვარში. სიმშრალის (გვალვის) საშუალო პერიოდი ბერყეობს 4—5 თვემდე. ცხელ თვედ ითვლება ივლისი და აგვისტოს პირველი დეკადა (საშუალო ტემპერატურა 23,5°), იანვრის დაძლევაძდე აღინიშნება ტემპერატურის დაწევა (1,82°), თებერვლიდან კი ტემპერატურა კვლავ მადლა იწევს.

ჰუმუსოვანი ჰორიზონტის შესაბამისად კოლმეურნეობის სახნავი ნიადაგები იყოფა შემდეგ ტიპებად:

1) საშუალო სიღრმის შავმიწანიადაგები—გამოტუტებული, თიხნარიანი. ჰუმუსოვანი ფენის სისქე 25—50 სმ. ნიადაგი ხასიათდება კოშტოვანი სტრუქტურით და კარგი ფიზიკური თვისებებით. ჰუმუსი სახნავ ფენაში 6%-ია. ასეთი ნიადაგები უფრო მეტად გავრცელებულია კოლმეურნეობის სამხრეთ-აღმოსავლეთ და შუა ნაწილში.

2) საშუალო სიღრმის შავმიწა ნიადაგები—სუსტად გამოტუტებული, თიხნარი, კარბონატული ზედაპირით, თხელი სახნავი ფენით. ჰუმუსი ზედა ფენაში 6%-მდე აღწევს, აზოტის ნაერთები საკმარისი რაოდენობით მოიპოვება. ხასიათდება კოშტოვანი სტრუქტურით, ნიადაგების ეს ტიპი გავრცელებულია კოლმეურნეობის სამხრეთ ნაწილის მნიშვნელოვან ფართობზე.

3) მცირე სიღრმის შავმიწა ნიადაგები—კარბონატული და სუსტად გამოტუტებული, თხელი სახნავი ფენით, ჰუმუსის ფენა 25 სმ-ია, სტრუქტურა გოროხოვანი. ეს ნიადაგები გავრცელებულია კოლმეურნეობის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე.

4) მცირე სიღრმის შავმიწა ნიადაგები—კეკნარაზეა განლაგებული. ამ ტიპის ნიადაგები გავრცელებულია კოლმეურნეობის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში საზღვრის გასწვრივ. ცალკეული ნაკვეთების გარდა, ეს ნიადაგები სახნავედ გამოყენადეგარია.

5) რუხი ყავისფერი თისნარი ნიადაგები გავრცელებულია ალაზნის ველზე განლაგებულ კოლმეურნეობის ტერიტორიაზე.

საქიროა აღინიშნოს, რომ ნიადაგის სტრუქტურისა და ნიადაგის გაუმჯობესებისათვის კოლმეურნეობის მიწები საქიროებენ პირველ რიგში ფოსფორმევა და კალიუმის სასუქებს, კარგად დამუშავებას და მთელ რიგ აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

სოფ. ზემო მაჩხაანის ხელსაყრელი კლიმატური და ნიადაგური პირობები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, უხვი მიწიანობა და საძოვრების დიდი რესურსები საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას ფართოდ განავითაროს მარცვლეულ კულტურათა წარმოება და მეცხოველეობა, მიაღწიოს ამ დარგების განუხრელ აღმავლობას და საკოლმეურნეო დოვლათის შემდგომ ზრდას.

სოფ. ზემო მაჩხაანში პირველად 1927 წლის 10 მაისს ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა.

1933 წლის პირველი იანვრისათვის ამ სოფელში სამი კოლმეურნეობა იყო: ი. ბ. სტალინის სახელობის, მ. ვ. ფრუნზეს სახელობის და კოლმეურნეობა „შირაქი“, ხოლო 1935 წლის დამლევს—5 კოლმეურნეობა: ი. ბ. სტალინის სახელობის, სოფ. მაჩხაანის, კუბიბეგის სახელობის, პარიზის კომუნის სახელობის და კოლმეურნეობა „შირაქი“.

1940 წელს გაერთიანების შედეგად სოფ. ზემო მაჩხაანში ორი უსხვილი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა: ი. ბ. სტალინის სახელობის და მაჩხაანის კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებულ იქნა სოფლის მოსახლეობის ასი პროცენტი. 1950 წელს, უკანასკნელი გაერთიანების ბაზაზე, ჩამოყალიბდა სტალინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობა.

კოლმეურნეობას თავისი არსებობის 29 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ყველა დარგში. კოლმეურნეობამ განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვა უკანასკნელი გამსხვილების (1950 წ.) შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953—1954—1955 წლების პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების გზით.

განსხვილების შედეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის ფართობები, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. ამალდა მიწათმოქმედების კულტურა, საგრძნობლად გადიდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვის სულადობა, მისი პროდუქტიულობა, რაც ნათლად ჩანს 1950—1955 წ. წ. მონაცემებიდან.

ამ ხნის განმავლობაში 1785 ჰექტარით ანუ 57,6 პროცენტით გაიზარდა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ფართობი, მარცვლეული თვითეული ჰექტარზე მიღებულ იქნა 7,4 ცენტნერით ანუ 78,3 პროცენტით მეტი. მათ შორის სიმინდი 120 ჰექტარით მეტ (25,7%) ფართობზე დაითესა. განსაკუთრებით ამალდა ყურძნის მოსავლიანობა, ვენახის თვითეულ ჰექტარზე 66 ცენტნერით ანუ 222,1 პროცენტით მეტი ყურძენი იქნა მიღებული, მსხვილი რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობაში 38,8 პროცენტით გაიზარდა ძროხების ხვედრითი წონა. კოლმეურნეობას განსაკუთრებული მიღწევები აქვს პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. 1950 წელთან შედარებით 1955 წელს წველადობა თითოეულ საფურაჟე ძროხაზე 132 პროცენტით გაიზარდა. ყველა ამის შედეგად 146,9 პროცენტით გაიზარდა ფულადი შემოსავალი, 105,7 პროცენტით განუყოფელი ფონდები. ამალდა კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება. კოლმეურნეობის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა 1932—1955 წლებში ნაჩვენებია № 1 ცხრილში.

ამჟამად მაჩხაანელი კოლმეურნეები თავდადებულად ეუშაობენ უკეთესი წარმატებების მოპოვებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში მათ წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის ძირითადი ხაზარითი მაჩვენებლები

№ პ. რიგ.	დასახელება	ზომის ერთეული	წლები					1955	1955 წლისათვის
			1932	1935	1940	1950	1955		
1.	სულ საკოლმეურნეო კომლი	რაოდ.	196	894	897	908	948	104,4	
2.	მოსახლეობა	სული	600	3572	3606	3496	3710	106,4	
3.	შრომისუნარიანი	რაოდ.	315	1046	1735	1491	1724	115,6	
4.	დარი ჯულია. შრომადელ	ათასებ.	12,7	95,6	319,9	380,2	496,1	130,5	
5.	მიმგზებელია სულ მიწა	ჰექტ.	1937	14246	231 '2	23746	28567	120,3	
6.	სულ მარცვლეული და პარკოსანი სულ მარცვლეულის მოსავალი მოსავალი ერთ ჰექტარზე მ. შ. სიმინდი (საფესი ფართობი) სულ მოსავალი მოსავალი ერთ ჰექტარზე	" ცენტ. " ჰექტ. ცენტ.	413 1991 4,8 — — 53	2442 12056 4,9 59 177 3,0	3330 13506 4,8 147 599,8 3,4	3100 26191 9,2 466 5312,4 11,4	4855 80222 16,4 589 7325,0 12,5	157,6 306,3 178,3 125,7 137,9 109,6	
7.	მესუშვირა სულ მოსავალი მოსავალი ერთ ჰექტარზე	ჰექტ. ცენტ.	212	1200,5	2930,2	4743,0	10574,2	222,9	
8.	ვენახი სულ მოსავალი მოსავალი ერთ ჰექტარზე	" ჰექტ. ცენტ.	4,0 — — —	3,5 — — —	4,6 82 520 20,8	9,3 87 2262 29,8	16,6 90 6100 96	178,5 103,4 282,9 322,1	

1	2	3	4	5	6	7	8	9
9.	მსბეილი რქოსანი პირუტყვი მ. შ. ძროხა ძროხის რძე მილიანად ერთი საფურაზე ძროხის საშ. წლ. წყ- ლაღობა	სული ათას ლიტ.	403 104 2,8	1192 222 19,2	1692 262 108,7	2629 526 249,6	2600 730 795,8	98,9 138,8 318,8
10.	ცხვარი და თხა ყველა ასაკის მ. შ. დედაცხვარი ცხვრის რძე მატყლი ცხვრის მატყლის საშუალო წლიური ნაპარსი ერთ ცხვარზე	ლიტრი სული ათას ლიტ. ცენტ.	27 5315 3150 21,0 108	87 20482 14622 94,0 181	415 23532 13827 152,1 557	484 31690 19232 268,4 620	1123 25397 14956 120,0 665	232,0 80,1 82,1 44,7 107,3
11.	ღორი ყველა ასაკის მ. შ. დედა ღორი	კგ სული	2,1 —	2,2 68	2,7 99	2,0 543	3,3 1014	165,0 186,7
12.	ფრინველი ყველა სახის კვერცხი, სულ საშუალო კვერცხდება ერთ დედალზე	ფრთა ათას ცალ.	— —	10 —	21 194	80 2344	200 4679	250,0 199,6
13.	ფუტკარი	ცალი	—	—	ცნობა	81	83	102,5
14.	ფულადი შემოსევალი მ. შ. მემცენარეობიდან მეტეზოვლებიდან	აჯაბი ათას მან. " "	169,7 47,0 97,1	353,6 47,0 193,0	1953,7 426,3 1334,6	2663,4 751,9 2029,9	7070,3 3446,3 3319,1	191,5 246,9 458,3 163,5
15.	წარმოების ძირითად საშუალებათა ლირებუ- ლება		266,0	802,0	1129,7	5531,6	8401,2	151,9

1	2	3	4	5	6	7	8	9
16.	განუყოფელი ფონდი		323,5	442,4	1537,0	6309,4	12976,6	205,7
17.	გაიცა ერთ შრომადღზე მარცვლულში							
	ყველი	კვ	1,5	4,4	0,82	3,0	6,3	210,0
	ლვინი	"	—	0,06	0,07	0,08	0,5	625,0
	მზესუმზირა	ლიტრ.	—	—	—	0,1	0,11	110,0
	ხორცი	—კგ	—	—	0,34	0,42	1,0	238,1
	ფული	"	—	—	—	—	0,3	—
		მან.	04,0	0,88	3,68	2,0	5,5	275,0

შენიშვნა: ცხვრის სულადობის შემცირება წინა პერიოდთან შედარებით იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეთა საერთო ჯრების გადაწვეტილებების თანახმად, კოლმეურნეობამ ამეტის რაიონს, რომლის მეტოქეობის ფერმებმა დიდი ზარალი განიცადეს ჩრდილო კავკასიის სახაშრო საძოვრებზე 1953—54 წ. მკაცრი ზანთრის გამო, მივიღეს 12000 სული ცხვარი.

მემცენარეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია

სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მემცენარეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აქ მისდევენ მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების წარმოებას, მებოსტნეობას, მებაღეობას, მევენახეობას და მეხილეობას. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე 1955 წელს მიღებულ იქნა მარცვლეული და ცერცოვანი კულტურები 314,5 ცენტნერი, მემცენარეობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი 3.446,3 ათას მანეთს აღწევდა, ანუ კოლმეურნეობის მთლიანი ფულადი შემოსავლის 49,0 პროცენტს.

მემცენარეობიდან წამყვან დარგს წარმოადგენს მარცვლეული კულტურები, რომელსაც 4885 ჰექტარი უკავია. 1954 წლის მონაცემებით, მთელი ფულადი შემოსავლიდან 60 პროცენტი მოდიოდა მარცვლეულზე, 1955 წელს არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, რამაც ერთგვარად შეამცირა მარცვლეულის მოსავლიანობა და საქონლიანობა, შისი ხვედრითი წონა მთელ ფულად შემოსავალში 52 პროცენტს უდრიდა (იხ. ცხრ. № 2).

განვიხილოთ მემცენარეობის დარგები, მათი ეკონომიკა და ორგანიზაცია ცალ-ცალკე.

მარცვლეული კულტურები

მარცვლეული მეურნეობის განვითარების წარმატებაზე დამოკიდებულია მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის შემდგომი აღმავლობა.

თუ არ გვექნა კარგად განვითარებული მარცვლეული მეურნეობა, ისე ვერ ავაშაღებთ მეცხოველეობას, ვერ გავაძლიერებთ ტექნიკური კულტურების წარმოებას (ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება პარტიის XX ყრილობას).

მარცვლეული კულტურების წარმოების საერთო მოცულობით და ამ დარგის შემდგომი აღმავლობის შესაძლებლობათა მხრივ წითელწყაროს რაიონს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ მთლიანად რესპუბლიკაში, ხოლო სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელიც ძირითადად მემინდვრეობისა და მეცხოველეობის მიმართულებითაა, ყველაზე დიდი რესურსები აქვს მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

მარცვლეული კულტურების წარმოების დინამიკა 1932—1955 წლებში მოცემულია № 1 ცხრილში.

როგორც აღნიშნული ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდებასთან ერთად—3100 დან 4885 ჰექტარამდე ანუ 57,6 პროცენტით, მარცვლეულის საერთო მოსავალი გაიზარდა 26191 ცენტნერიდან 80222 ცენტნერამდე ანუ სამჯერ უფრო მეტად. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებამ აგროტექნიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გზით, უმთავრესად მტკების უახლესი ტექნიკით აღჭურვისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებით.

მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე დიდი ფართობი უკავია შემოდგომის ხორბალს. 1955 წელს შემოდგომის ხორბალი დათესილი იყო 3500 ჰექტარზე, რაც მთელი მარცვლეული კულტურების სათესი ფართობის 72,9 პროცენტს შეადგენდა. ეს იმით აიხსნება, რომ რაიონში ნალექები ზამთარში და გაზაფხულზე უფრო მეტი მოდის, ვიდრე წლის სხვა დროს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის შემოდგომის ხორბლის წარმოებისათვის.

ჯიშების მიხედვით გავრცელებულია „თეთრი დოლი 35/4“, „კოოპერატორკა“, „ნოვოუკრაინკა 83“, „კრასნოდარკა“, „ბანატკა“, „კახი № 7“, „შრომა № 7“ და „კახურა“.

როგორც კოლმეურნეთა დაკვირვებიდან ჩანს, ხორბლის ამ ჯიშებიდან უპირატესობა ეკუთვნის ჯიშებს—„თეთრი დოლი № 35/4“, „ნოვოუკრაინკა № 83“ და „კრასნოდარკა“. ეს ჯიშები


ხასიათდებიან მაღალი მოსავლიანობით და ამინდის ყოველგვარ პირობებში ჩაწოლას ნაკლებად განიცდიან.

ფართობის მიხედვით შემოდგომის ხორბლის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს სიმინდს. მარცვლეული კულტურების საერთო ოდენობაში სიმინდის ხედიური წონა ყოველწლიურად იზრდება. თუ 1950 წელს 466 ჰექტარი ექირა ამ ძვირფას კულტურას, 1955 წელს 586 ჰექტარზე დაითესა. მოსავლიანობა თვითველ ჰექტარზე 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 9,6 პროცენტით. მიუხედავად ამისა, სიმინდის მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია — გასულ წელს თვითველ ჰექტარზე მიღებულ იქნა 12,5 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა, რაც აიხსნება ზაფხულის სშირი გვალვებით და აგრეთვე იმით, რომ ამ ძვირფას კულტურას კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ ექტევა სათანადო ყურადღება.

კოლმეურნეობაში მოყავთ შემოდგომის ქერი, რომელსაც მთლიანად პირუტყვის საკვებად იყენებენ. გასულ წელს 466 ჰექტარი ფართობის თვითველ ჰექტარზე ქერის მოსავლიანობამ 21,4 ცენტნერი შეადგინა.

კოლმეურნეობას ყოველგვარი პირობები აქვს მარცვლეულის გაცილებით მაღალი მოსავლის მიღებისათვის. ამის თავედებია ცალკეული ბრიგადებისა და კოლმეურნეების მუშაობის მაგალითები. ბრიგადამ, რომელსაც კოლმუნიტი რ. რობიტაშვილი ხელმძღვანელობს, 1955 წელს 422 ჰექტარი

დიაგრამა № 1



ფართობის თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი ხორბალი მიიღო.

როგორ მიაღწია ამ. რობიტაშვილმა ასეთ დიდ ფართობზე ხორბლის უხვ მოსავალს? ხორბლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა აქ ნიადაგის მომზადებით იწყება და აგროტექნიკურ ვადებში და ხარისხიანად წარმოებს. ხენა ჩატარდა 22—23 სმ სიღრმეზე წინმხენელიანი გუთნით. ბელტების დაშლის მიზნით ხნული თეფშებიანი ფარცხით ორკვალად დაფარცხეს, თესვამდე კულტივაციის სამჯერ ჩატარებით მოსპეს სარეველები, ნიადაგში ტენის შენარჩუნების მიზნით კულტივაციის თანმიყოლებით აწარმოებდნენ ფარცხვას „ზიგზაგისანი“ ფარცხით, ხოლო საშემოდგომო ხორბლის დასათესად განკუთვნილი ნაწვერალი მოსავლის აღებასთან ერთად გაათავისუფლეს ნაძვრისაგან, რის შემდეგ თითოეულ ჰექტარზე შეიტანეს 300—400 კგ სუპერფოსფატი, 70—100 კგ სულფატ-ამონიუმი და 40—60 კგ კალიუმის მარილი. სასუქები შეიტანეს ჩამთესებამოსხნილი 24-მწკრივიანი ხორბლის კონბინირებული სათესი მანქანით, შემქვიდროვებულ ვადებში ჩაატარეს ნაწვერალის ხენა. ხენასთან ერთად წარმოებდა ფარცხვა, ორჯერ ჩატარდა კულტივაცია.

თესვისწინა კულტივაციის დროს ჰექტარზე შეიტანეს 200 კგ-მდე სუპერფოსფატი და 69 კგ კალიუმის მარილი. თესვა ჩატარდა ჯვარედინად და ვიწრო რიგებად ადგილობრივი პირობების კარგად ამტანი მაღალმოსავლიანი ჯიშით „ნოვოუკრაინკა 83“. თესვა ოქტომბერში დამთავრდა.

ადრე გაზაფხულზე ჩაატარეს მინდვრის თავებთან ბრძოლა. ნათესები გაწმინდეს კაქაკებისაგან, რის შედეგ თებერვალ-მარტში ჯეჯილი გამოკვებეს მინერალური სასუქებით (ჰექტარზე 150 კგ სუპერფოსფატი და 100 კგ სულფატამონიუმი). სასუქები შეტანის წინ კარგად დაფხვნეს, ერთბანეთში აურიეს, თანაბრად გაანაწილეს მთელ ფართობზე. ნიადაგის შეშრობისთანავე დაფარცხეს ჯეჯილი „ზიგზაგისანი“ ფარცხით, რითაც ნათესში შეტანილი სასუქი ნიადაგში მოექცა, ნაკვეთი გაფხვიერდა და ხელი შეუწყო ბარტყობის გაძლიერებას.

კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი მემცენარეობიდან და შრომადღებებს დარიცხვა

№ პ. რიგ.	დასახელება	წ ლ გ ბ ი						% 1955 წელს 1950 წელთან შედარებით
		1950	1951	1952	1953	1954	1955	
1.	ფულადი შემოსავალი სულ (ათას მან.)	2863,4	2452,7	4516,3	3761,6	8311,6	7070,3	246,9
2.	ფულადი შემოსავალი მემცენარეობიდან (ათას მან.)	751,9	942,6	1432,6	1486,7	5068,8	3466,3	461,3
3.	% მთელ ფულად შემოსავალთან დარიცხულია შრომადღე სულ (ათასებ.)	26,3	38,4	31,7	39,5	61,0	49,0	
	დარიცხულია შრომადღე მემცენარეობაში (ათასებ.)	379,0	373,0	472,0	430,8	450,6	496,1	130,8
4.	% მთელ შრომადღებებთან კულადი შემოს. მარცვლულ კულტ. (ათას მან.)	201,7	167,7	235,9	216,2	187,1	197,2	97,3
	% მთელ შრომადღებებთან კულადი შემოს. მარცვლულ კულტ. (ათას მან.)	53,2	44,9	50,0	60,2	41,5	39,7	
5.	% მთელ მემცენარეობიდან მიღებ. ფულად შემოს.	179,4	267,4	241,7	167,2	3080,3	1797,8	102,1
	დარიცხულია მ/დღე მარცვლულ კულტ. (ათას მან.)	23,9	28,4	16,9	11,2	60,8	51,9	
6.	% მთელ მემცენარეობაში დარიცხულ მ/დღებთან	174,0	141,4	199,7	182,0	115,1	120,9	69,5
	ფულადი შემოსავალი მშესუბირობიდან (ათას მან.)	86,3	84,3	84,6	84,2	61,5	61,3	
7.	% მთელ მემცენარეობიდან მიღებულ ფულად შემოს. (ათას მან.)	74,3	66,8	119,8	50,4	320,9	534,9	719,9
	ლაღ შემოს. (ათას მან.)	9,9	7,1	8,4	3,4	6,4	15,4	

1	2	3	4	5	6	7	8	9
8.	დაიხარჯა შ/დღე მუცუნებზე (ათასებ.)	22,0	15,3	18,7	27,3	13,7	23,4	106,4
	% მემცენარეობაში დახარჯულ შ/დღეებთან	10,9	9,1	7,9	12,6	7,3	11,9	—
9.	ფულადი შემოსავალი მცენარეობიდან (ათას. / მან.)	455,2	596,2	1180,8	1169,0	1623,0	1062,7	233,4
	% /% მემცენარეობიდან მიღებულ ფულად შემოს.	57,9	63,3	82,4	78,6	32,0	30,7	—
10.	დაიხარჯა შ/დღე მცენარეობაში (ათასებ.)	26,9	26,0	33,4	32,2	35,1	30,8	114,5
	% მემცენარეობაში დახარჯულ შ/დღეებთან	13,3	15,5	14,2	14,9	18,8	15,6	—

ჯეჯილის დამუხლებამდე ორჯერ მოაწყეს ყანების მარგე-
ლა. შემქიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ჩაატარეს
მოსავლის აღება და პირველი განალეწი სახელმწიფოს ჩა-
ბარდა.

ბრიგადირ რობიტაშვილის გამოცდილება ფართოდ უნდა
დაინერგოს სოფ. ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლ-
მეურნეობაში.

ხორბლის დიდი მოსავალი მიიღო № 4 ბრიგადამ, რომ-
ლის ბრიგადირად კომუნისტი ვანო ბენაშვილი მუშაობს.
474 ჰექტარი ფართობის თითოეული ჰექტარიდან 20,7 ცენ-
ტნერი შემოდგომის ხორბალი იქნა მიღებული. ბრიგადამ,
რომელსაც გიორგი ყოჩიაშვილი ხელმძღვანელობს, 412 ჰექ-
ტარის თითოეულ ჰექტარზე 20,3 ცენტნერი ხორბალი მოიწია.

ხორბლის საერთო მოსავლიანობის ზრდისათვის კოლმეურ-
ნეობაში ჯერ კიდევ ყველა რეზერვი არ არის გამოყენებული.
ნაკლები ყურადღება ექცევა ყველა ფართობზე ნიადაგის სახ-
ნავი ფენის გაღრმავებასა და მის კარგად მომზადებას. ყველ-
გან არ არის დაცული ხვნის ვადები და სიღრმე. ნაკლები ყურა-
დღება ექცევა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყე-
ნებას, ზოგჯერ არ იცავენ მისი შეტანის ვადებსა და წესებს.
სუსტად იბრძვიან მარცვლის მავნებლებისა და დაავადების წინა-
აღმდეგ. ნაკლებადაა გამოყენებული ხელოვნური დამტვერვის
მეთოდი, ასევე არაა დაცული თესვის ვადები და ნორმები.

ხშირ შემთხვევაში ნათესების მექანიზებული დამუშავება
და სარეველებისაგან გამარგვლა ყველა ფართობზე არ წარ-
მოებს.


მიუხედავად იმისა, რომ წლითიწლობით უმჯობესდება
მექანიზაციის გამოყენების დონე და მარცვლეული კულტუ-
რების ყველა ძირითადი სამუშაო მტს-ის ძალებით სრულდე-
ბა, ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებასთან გვაქვს საქმე.
ნათესი ფარტობებისა და მოსავლიანობის ზრდის მაღალ
დონეს ვერ პასუხობს მტს-ის სამანქანო პარკი. კომბაინები
საკმაო რაოდენობით არ არის, აკლიათ ჩაწოლილი ყანების
მოსამკელი საჭირო მოწყობილობანი, მარცვალმჭერები და
ნამჯის შემგროვებლები. ამიტომ იყო, რომ 1954 წელს კოლ-

მეურნეობას მოსავლის აღება დაუგვიანდა—ყანები ჩაწვა და დასარეგლიანდა, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო გააძნელა კომბაინების მუშაობა და დანაკარგები გამოიწვია.

ამრიგად, კოლმეურნეობაში გამოყენებული აგროტექნიკისა და მექანიზაციის დონე მოითხოვს საფუძვლიან გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეულის მოსავლიანობის განუხრელი აღმავლობა და იმ ამოცანათა წარმა-

დიაგრამა №2

სიჩინოს
ნათესი უაპოთოი
კვკვ.



ტებით გადაწყვეტა, რაც ჩვენი კოლმეურნეობების წინაშე დგას მარცვლეულის წარმოების გადიდების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობის სახნავ-სათესი ფართობები, განსაკუთრებით ე. წ. ტარიბანა, წითელწყაროს რაიონის სხვა კოლმეურნეობათა მიწებთან შედარებით ძლიერ განიცდიან წყლის ნაკლებობას და არა აქვთ ტყის საბურველი, რაც

საკითხს აყენებს ანა მარტო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის, არამედ მთელი წითელწყაროს რაიონის ტერიტორიის მორწყვის აუცილებლობაზე.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ნათესბალახიანი სწორი თესლბრუნვის შემოღებას, აგროტექნიკის მოწინავე ხერხების ფართოდ დანერგვას, მალცევის მეთოდის შემოქმედებით გამოყენებას, ორგანულ-მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენებას, უხვმოსავლიანი ჯიშის თესლით თესვას, ხორბლის ჯვარედინ და ვიწრო რიგებად, ხოლო სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივ თესვას, ჰიბრიდული თესლის წარმოებას, ხელოვნურ დამტვერვას

და სხვა იმ პროგრესულ ხერხებსა და მეთოდებს, რასაც თართოდ იყენებენ ჩვენი მოწინავე კოლმეურნეობები.


ტექნიკური კულტურები

ტექნიკური კულტურებიდან ძირითადად გავრცელებულია და წამყვანია მზესუმზირა, რომლის თართობი და მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდება (ცხრ. № 1).

თუ რა ადგილი უკავია ამ კულტურას მეურნეობის ეკონომიკაში, ნათლად ჩანს № 2 ცხრილიდან.

დიაგრამა № 3

„საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ცენტრი“
და მისი დაქვემდებარებული
კაბინეტი (1936 წ.)



1950 წლიდან 1955 წლის ჩათვლით ამ ძვირფასი კულტურის თართობი გაიზარდა 510 ჰექტრიდან 637 ჰექტრამდე, ანუ 24,3%, მისი საერთო გამოსავლიანობა კი 4743-დან 10574 ც-მდე, ანუ 2,3-ჯერ. თითოეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერის ნაცვლად მიღებულ იქნა 16,6 ცენტნერი მოსავალი.

მზესუმზირის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება—1955 წელს

534,9 ათას მანეთს შეადგენდა, ე. ი. მემცენარეობიდან მიღებული ფულადი შემოსავლის 15,4%-ს.

1955 წელს მზესუმზირის დიდი მოსავალი მიიღო მემინდერეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ბრიგადირი ნ. შაძლარა-

შვილი ხელმძღვანელობს. 100 ჰექტარის თითოეულ ჰექტარიდან ნაცვლად 11 ცენტნერისა, მიღებულ იქნა 17,6 ცენტნერი ნოსავალი. როგორც ამბ. მაძლარაშვილი აღნიშნავს, გარდა სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულყოფილად გატარებისა, მზესუმზირის უხვი მოსავლის მიღების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს თესვის ვადების ზუსტად დაცვას. მაჩხაანის პირობებისათვის მზესუმზირის თესვის ყველაზე კარგ დროდ იგი თვლის 15-დან 20 თებერვლამდე. ამასვე ადასტურებს № 2 ბრიგადის ბრიგადირი იოსებ გოგილაშვილიც, რომელმაც 60 ჰექტარი მზესუმზირის თითოეულ ჰექტარიდან 15 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა.

ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები

ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების მოყვანას საქართველოში უხსოვარი დროიდან მისდევენ. მეურნეობის ამ დარგისათვის ხელსაყრელი პირობები საქართველოს თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში არსებობს.

სოფ. ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავისებურება, წითელწყაროს რაიონის სხვა კოლმეურნეობებთან შედარებით, ის არის, რომ მას აქვს საშუალება ქვემო ალაზნის სარწყავი არხის გასწვრივ მდებარე ფართობზე მოაწყოს მებოსტნეობა სასაქონლო დანიშნულებით თუ არა, ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მაინც. მიუხედავად ამისა, მეურნეობის ამ დარგს მნიშვნელოვანი ყურადღება არ ექცევა.

1940 წელს ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები დათესილი იყო 3 ჰექტარზე, 1950 წელს 6 და 1955 წელს 10,2 ჰექტარზე. მიუხედავად ფართობის ერთგვარი ზრდისა, მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია.

საჭიროა შესწავლილ იქნას კოლმეურნეობაში ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურებისათვის გარკვეული მიკრონიდაგები, დამუშავდეს აგროტექნიკური ღონისძიებანი წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანისათვის და მოწოდების სიმალლეზე იქნეს აყვანილი მეურნეობის ეს ჩამორჩენილი დარგი.

მევენახეობა და მებაღეობა

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მევენახეობა საქართველოს კოლმეურნეობებში სწრაფი ტემპით ვითარდება.

მაჩხაანის კოლმეურნეობას მევენახეობის განვითარებისათვის მხოლოდ ქვემო ალაზნის სარწყავი არხის გაყვანის შემდეგ მიეცა საშუალება. ამჟამად მას დიდი მიღწევები აქვს ამ დარგში. მართო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (1950—1955) ვენახის - ფართობის 3,4 პროცენტის ზრდის პირობებში (86—90 ჰექტარი) მოსავლიანობა გაიზარდა 2262-დან 6400 ცენტნერამდე, ე. ი. 2,3-ჯერ.

საბჭოთა მიჩურინულ-ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევების გამოყენების შედეგად მაჩხაანელი კოლმეურნეები სერიოზულ წარმატებებს აღწევენ ყურძნის მოსავლიანობის ზრდის საქმეში. მათ მრავლად ჰყავთ ბრიგადირები, მერგოლჯრები და კოლმეურნეები, რომლებიც ყურძნის უხვ მოსავალს ღებულობენ.

1949 წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ნ. ი. ბენაშვილი და ნ. ა. ჯამასპიშვილი დაჯილდოებულ იქნენ ლენინის ორდენით, ხოლო მ. ჯ. ლვინიაშვილი და ა. ვ. ლეკიშვილი შრომის წითელი დროშის ორდენით.

მაჩხაანელმა მევენახეებმა ნაყოფიერად იმუშავეს 1955 წელსაც, მათ 90 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის თვითიერულ ჰექტარზე 96 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს (იხ. ცხრ. № 1). მევენახეობის № 2 ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი იოსებ გოგილაშვილი ხელმძღვანელობს, 24 ჰექტარი ვენახის თვითიერულ ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა, 100 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ყურძნის დიდი მოსავალი მიიღეს აგრეთვე მერგოლურებმა გეგენა ნატროშვილმა, მარუსია მარტყოფიშვილმა და სხვებმა.


ყურძნის მოსავლიანობის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება ფულადი შემოსავალი მევენახეობიდან — 1955

წელს 1062,7 ათასი მანეთი იქნა მიღებული, ნაცვლად 1950 წლის 455,2 ათასი მანეთისა, ე. ი. შემცენარეობიდან მიღებული ფულადი შემოსავლის 30,7 პროცენტი.

აქ არსებული პირობებისა და რეზერვების მიხედვით კოლმეურნეობას გაცილებით მეტი ყურძნისა და ფულადი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა აქვს, მაგრამ ჯერ ყველაფერი რიგზე არ არის. ვენახი მთლიანად არ არის გადაყვანილი ორმხრივ შპალერზე, ნაკლებად წარმოებს მინერალური და ორგანული სასუქებით ნიადაგის განოყიერება. ზოგჯერ ირღვევა დამუშავების, მწვანე ოპერაციების ჩატარების, მანებ-ბლებთან და დაავადებებთან ბრძოლის აგროწესები და ვადები, ამავდროს არ ტარდება ხელოვნური დამტვერვა.

გარდა ამისა, არ არის დაწესებული ზუსტი კონტროლი ყურძნის გადამუშავების პროცესებისადმი და დაბალია ტექნოლოგიის დონე, რის გამო ზოგჯერ მნიშვნელოვნად მცირდება ღვინის და არაყის გამოსავლიანობის პროცენტი.

დიაგრამა № 4



ყურძნის მოსავლიანობის განუხრელი აღმავლობისათვის საჭიროა კოლმეურნეობამ ზუსტად გაატაროს აგროტექნიკური ღონისძიებანი და მტკიცე კონტროლი დააწესოს მოსავლის აღრიცხვასა და შემდგომი გადამუშავების პროცესებზე.

კოლმეურნეობის ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები ყოველგვარ შესაძლებლობას იძლევა ხეხილის ძვირფასი ჯიშების გაერყელებისათვის, მაგრამ რატომღაც ამ ფრიად მნიშვნელო-

ვან საქმეს დღემდე ყურადღება არ ექცევა. ხეხილის ნარგავების ფართობი ამჟამად მხოლოდ 2,85 ჰექტარს შეადგენს. რაც მეტად მცირეა აქაური პირობებისათვის.

საპიროა დაისახოს ღონისძიებანი ხეხილის ბაღების გაშენების შესახებ, შეირჩეს და დაინერგოს ხეხილის კარგი ჯიშები როგორც სოუ. ზემო მაჩხაანის, ისე წითელწყაროს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. ამ ამოცანის გადაწყვეტა აუცილებელია, რადგან მეურნეობის ეს დარგი, გარდა იმისა, რომ მეტად შემოსავლიანია, ხელს შეუწყობს წითელწყაროს რაიონის უტყეო ადგილებზე ტყის მასივების შექმნას, შეამცირობს ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს და ერთგვარ გავლენას მოახდენს არსებული კლიმატური პირობების გარდაქმნა-გაუმჯობესებაზე.

თ ა ვ ი III

მეცხოველეობის მკონოშიკა და ორგანიზაცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის, 1955 წლის იანვრის პლენუმმა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების წინაშე ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების გრანდიოზული ამოცანები დასახეს.

„მძლავრ მრეწველობასთან ერთად უნდა გვქონდეს დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეეძლება აწარმოოს იმდენი სურსათი და ნედლეული, რაც საპიროა იმისათვის, რომ შეუფერხებლად მოვამარაგოთ მოსახლეობა სახალხო მოხმარების პროდუქტებით და მრეწველობა—ნედლეულით. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრივმა მეცხოველეობამ. კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და განმტკიცება ხელს შეუწყობს მთელი სოფლის მეურნეობის აღმავლობას, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას“, —ნათქვამია იანვრის პლენუმის დადგენილებაში.

ამჟამად ჩვენი ამოცანაა მივადწიოთ საშუალოდ ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე, მდელსა და საძოვარზე 27 ცენტნერი ხორცის, 260 ცენტნერი რძის, ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 30 ცენტნერი ღორის ხორცის და ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულზე 74 ათასი ცალი კვერცხის წარმოებას. იანვრის პლენუმმა ამოცანად დასახა, რომ 1960 წელს 1954 წელთან შედარებით გავადიდოთ ჩვენს ქვეყანაში ხორცისა და ქონის ყველა სახეობის წარმოება ერთიორად, რძისა — ერთიორად, ამავე დროს საჭიროა აღნიშნულ დროისათვის ღორის ხორცის წარმოება გადიდდეს ერთიორად, ძროხის ხორცის — 2,7-ჯერ, ფრინველის ხორცის — ორ-სამჯერ და კვერცხისა — 2,2-ჯერ. უახლოეს ექვს წელიწადში მატყლის წარმოება უნდა გადიდდეს 1,7-ჯერ, აქედან ნაზი მატყლისა — 4-ჯერ.

მეცხოველეობის განვითარება სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მთლიანად დაკავშირებულია მემცენარეობის აღმავლობასთან. მეურნეობის ამ დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი პირობები: ჰავა, რელიეფი, საძოვრების, საბალახოებისა და სათიბების სიუხვე. მაჩხაანელ კოლმეურნეებს კარგად აქვთ შეგნებული მეცხოველეობის განვითარების მნიშვნელობა და დიდი გულმოდგინებითაც ეკიდებიან ამ დარგს, რის შედეგად კოლმეურნეობას საუკეთესო მონაცემები აქვს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში, უმთავრესად ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით. თავისი ხვედრითი წონით მეურნეობის ეს დარგი მარცვლეულის შემდეგ მეორე ადგილზე დგას, რასაც ის ფაქტი მოწმობს, რომ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის 7070,3 ათასი მანეთიდან 3319,1 ათასი მანეთი მეცხოველეობაზე მოდის.

ძროხების სულადობის გადიდებასთან (526-დან 1950 წელს 720-მდე 1955 წელს, ანუ 38,8%/) ერთად წველადობა გაიზარდა 2490 ცენტნერიდან 7950 ცენტნერამდე ანუ სამჯერ უფრო მეტად. თუ 1950 წელს თითოეულ საფურაეე ძროხაზე მიღებულ იქნა 484 ლიტრი რძე, 1955 წელს ეს ციფრი 1123-მდე გაიზარდა.

ფულადი შემოსავალი მეცხოველეობიდან და შრომადღებებს ხარჯვა

ჩანა რიგ.	დასახელება	წლები					1955 წელს 1950 წელთან შედარებით	
		1950	1951	1952	1953	1954		1955
1.	ფულადი შემოსავალი სულ (ათას. მან.)	2853,4	2452,7	4516,3	3761,6	8311,6	7070,3	246,9
2.	ფულადი შემოსავალი მეცხოველეობიდან (ათას. მან.)	2029,9	1418,8	2907,9	2100,1	2985,0	3319,1	163,5
	%/წ ფულად შემოსავალთან	70,8	57,8	64,4	55,8	35,9	46,9	—
3.	დარიცხულია შ/დღე სულ (ათასებში)	379,0	373,0	472,0	430,8	450,9	496,1	130,9
4.	დარიცხულია შ/დღე მეცხოველეობაში (ათასებ)	247,3	170,8	177,0	162,8	212,2	230,1	156,2
	% მთელ შ/დღეებთან	38,9	45,8	37,5	37,8	47,1	46,4	—
5.	ფულადი შემოსავალი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან (ათას. მან.)	113,0	204,0	792,9	621,5	871,2	1209,6	1070,4
	%/მეცხოველეობიდან მიღებულ ფულად შემოსავალთან	5,6	14,0	27,3	29,6	29,2	36,4	—
6.	დარიცხულია შ/დღე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან ფერებში (ათას.)	35,9	33,7	49,6	50,9	82,8	96,3	268,2
	% მეცხოველეობაში დარიცხულ შ/დღეებთან	24,4	19,7	28,0	31,3	39,0	41,8	—

1	2	3	4	5	6	7	8	9
7.	ფულადი შემოსავალი მეცხვარეობიდან (ათას მან).	1881,6	1315,2	2615,0	1913,0	2776,5	1743,2	92,6
	% მეცხოველეობიდან მიღებულ ფულად შემოს.	92,7	92,7	89,9	91,1	93,0	52,5	97,4
8.	დაიბარჯა შ/დღე მეცხოველეობაში (ათასებში)	97,7	110,6	113,5	96,7	112,4	95,2	97,4
	% მეცხოველეობაში დაბარჯულ შ/დღეებთან	66,3	64,8	64,1	59,4	53,0	41,4	—
9.	ფულადი შემოსავალი მეღორეობიდან (ათას მან.)	34,4	45,5	84,5	110,1	137,2	199,0	572,2
	% მეცხოველეობიდან მიღებულ ფულად შემოს.	1,7	—	2,9	5,2	4,6	6,0	


მნიშვნელოვნად გაიზარდა ლორცებისა და ფრინველის სულადობა. ამალღდა ყველა სახეობის პირუტყვის პროდუქტიულობა, რამაც განაპირობა ფულადი შემოსავლის გადიღება ამ დარგებიდან: მსხვილი რქოსანი პირუტყვისა—113 ათასი მანეთიდან 1209 ათას მანეთამღე, მეღორეობისა—34,9 ათასი მანეთიდან 199,0 ათას მანეთამღე.

მიუხეღავად ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირებისა (კოღმეურნეობის მიზეზის დამოუკიღებლად), თვითფულცხვარზე მატყლის პროდუქტიულობა ამალღდა 2 კილოგრამიდან 3,3 კგ-მღე, ე. ი. 65 პროცენტით (ცხრ. № 1).

პირუტყვის სულადობის და პროდუქტიულობის ზრდამ საშუალღება მისცა კოღმეურნეობას პირნათლად შეესრულებინა მეცხოვეღეობის პროდუქტების სავალღებულო ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. კოღმეურნეობამ 1954 წელს 1950 წელთან შეღარებით სახელმწიფოს მეტი ჩააბარა: ხორცი 17,23 ცენტნერი, ტყავი 7.104 ცალი, მატყლი 480 ცენტნერი, რძე 71 ათასი ლიტრი, აბრეშუმის პარკი 6 ცენტნერი, ერბო 102,6 ცენტ., ყვეღი 35 ცენტნერი და კვერცხი 50 ათასი ცალი.

პირუტყვის სიმკიღროფე ყოველ 100 ჰექტარ სას.-სამ. სარგებღობის მიწაზე საკმაოღ დიღია, მაშინ როცა პროდუქციის გამოსავალი ჯერ კიღეღ დაბალღა.

ღიარამა № 5



აღნიშნული მდგომარეობა მოითხოვს, პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებასთან ერთად, ბუნებრივი საძოვრების მაქსიმალურ გამოყენებას, საკვები ბალახების ნათესი ფართობების ზრდას, წვნიანი და უხეში საკვების მეტი რაოდენობით დამზადებას, ფერმისპირა თესლბრუნვების შემოღებასა და მსხვილი რქოსანი პირუტყვის ბაგურ-ბანაკურ კვებაზე გადაყვანას.

კოლმეურნეობას აქვს მსხვილი რქოსანი პირუტყვის, მეცხვარეობის, მეცხენეობის, მელორეობის და მეფრინველეობის კარგად მოწყობილი ფერმები, აგრეთვე საუკეთესო საფუტკრე.

ამჟამად კოლმეურნეობის ფერმებში 2600 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვია, მათ შორის 730 სული ძროხა; 25.397 სული ცხვარი და თხა; 1014 სული ღორი, მათ შორის 200 სული დედა ღორი; 4679 ფრთა ფრინველი; 293 ფუტკრის ოჯახი (იხ. ცხრ. № 1).

მიუხედავად ამ წარმატებებისა, მეცხოველეობის ცალკეული დარგების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონე მოითხოვს შემდგომ ამაღლებას.

მსხვილი რქოსანი პირუტყვი

კოლმეურნეობის მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმა აერთიანებს მეძროხეობის და მეკამეჩეობის ფერმებს.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ადგილი უჭირავს მეცხოველეობაში მსხვილფეხა რქიან პირუტყვს და როგორია მისგან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა და შრომადღებების ხარჯვა, მოგვყავს № 3 ცხრილი.

მსხვილი რქოსანი პირუტყვის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა პროდუქტიული პირუტყვის ხვედრითი წონის ზრდას.

ყოველწლიურად მატულობს პირუტყვის სულადობა, უმთავრესად მუშა პირუტყვის შემცირებისა და მიღებული ნამატის ხარჯზე (ცხრ. 4).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, პირუტყვის შემადგენლობაში მცირდება მუშა პირუტყვის რაოდენობა და მატულობს პროდუქტიული პირუტყვი უმთავრესად მიღებული ნამატის ხარჯზე.

მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის
ზრდის დინამიკა

№№ რიბ.	დასახელება	1932 წ.	1940 წ.	1950 წ.	1952 წ.	1953 წ.	1954 წ.
1.	სულ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	403	1692	2699	2817	3043	2689
2.	მათ შორის მუშა პირუტყვი	189	763	756	579	619	456
	%	46,9	45,0	28,0	20,5	20,3	17,6
3.	ძროხა და ფურკამეჩი	104	262	526	442	600	617
	%	25,0	15,4	19,4	15,7	19,7	23,8
4.	მოზარდი	110	667	1417	1797	1800	1516
	%	27,0	36,2	52,3	63,8	59,1	54,7


მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს პროდუქტიულობის ზრდისა და ნამატის მიღება-შენარჩუნების გაუმჯობესების საქმეში. 1932 წლის დონესთან შედარებით წველადობა ერთ საფურაეე ძროხაზე 1955 წელს 27-ჯერ გადიდა, ხოლო 1940 წლის დონესთან შედარებით თითქმის 2-ჯერ. ახლა კოლმეურნეობა მეცხოველეობის ბევრად უფრო მეტ პროდუქტებს ლებულობს, რის შედეგად მატულობს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი და შრომადღის ღირებულება.

კოლმეურნეობაში წლითიწლობით იზრდება სანაშენო (ჯიშინი) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა და მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს პირუტყვი ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. ამჟამად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში 13 სული ხალასჯიშინი, 125 სული ნაჯვარი და 279 სული გაუმჯობესებული ჯიშის პირუტყვია — სულ 417 სული.

კოლმეურნეობას ყოველგვარი პირობა აქვს კიდევ უფრო გაზარდოს და გაამრავლოს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, გააუმჯობესოს მათი ჯიშობრივი მდგომარეობა და გაზარდოს პროდუქტიულობა.

მწველავმა ელენე ყოჩიაშვილმა მასზე მიჩენილი 16 ძროხიდან 14 ხბო და 14 ტონა რძე მიიღო, ანუ გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრის ნაცვლად ერთ საფურაფე ძროხიდან მოწველა 1400 ლიტრი რძე. რ. ჯანაშვილმა, რომელიც 16 ძროხას უვლის, თითო ძროხიდან 1200 ლიტრი რძე მიიღო და 12 ხბო გამოზარდა. ასევე კარგ შედეგებს მიაღწიეს მეცხოველეობის ბრიგადირმა ს. ჯანაშვილმა და სხვებმა.

დიაგრამა № 6.



წითელი სტეპის ჯიშის ძროხები „ასმათა“, „მარმა“ და „ქალალო“ ყოველდღიურად 25—26 ლიტრ რძეს იწველიან.

თანამედროვე ეტაპზე პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში ჩატარებული მუშაობა საკმარისი არ არის. კოლმეურნეობის მეცხოველეობის დარგის მუშაკების გადაუღებელი ამოცანაა ზო-

ვეტწესების განუხრელ გატარებასთან ერთად უზრუნველყონ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება და მეცხოველეობის დარგის მუშაკების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დაწერგვით მიაღწიონ პროდუქტიულობის განუხრელ აღმავლობას.

მეცხვარეობა

მეცხვარეობას, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სოფელში, ზემო მაჩხაანშიც უხსოვარ დროიდან მისდევენ. მხოლოდ საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებებმა გახადა შესაძლებელი მეცხვარეობის ისეთი დიდი ფერმების მოწყობისა, როგორიც სოფ. ზემო მაჩხაანის ი. ბ. სტალინის სახ. კოლმეურნეობას აქვს.

მეცხვარეობას დიდი ადგილი უკავია მეცხოველეობაში და საერთოდ კოლმეურნეობის ეკონომიკაში. (იხ. ცხრ. № 3).

1954 წელს მეცხოველეობის საერთო ფულადი შემოსავლის 93 პროცენტს მეცხვარეობა იძლეოდა, ხოლო მეცხვარეობაში დახარჯული შრომადღებები მეცხოველეობაში დახარჯული შრომადღებების 53% უდრიდა, რაც ნათლად მოწმობს ამ დარგის ჭეჭად დიდ რენტაბელობას.

კოლმეურნეობაში მეცხვარეობის ორი ფერმაა 2.5397 სული ცხვარით, რომელთაც მოქსახურებას უწევს 32 ბრიგადა 245 კოლმეურნით.

მაჩხაანელ მეცხვარეთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ყოველწლიურად მატულობს ცხვიის საერთო სულადობა, ნაშენების მიღება-გამოსარჯა და რძისა და მატყლის გამოსაფლიანობა.

1955 წელს თვითეული სული ცხვირიდან მიღებულ იქნა 3,3 კგ მაჩული, ხოლო მეცხვარეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, ნაცვლად 1956 წლისა, 1954 წელს გადაქარბებით შესოულდა.

1932 წლის დონესთან შედარებით მეცხვარეობის განვითარების დინამიკა ასეთ სურათს გვძლევს (იხ. ცხრილი № 1).


მეცხვარეობის ფერმა, რომელიც 1929 წელს მოეწყო და 1800 სული ცხვირისაგან შედგებოდა, ყოველწლიურად იზრდება და უფრო და უფრო მეტ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას. ეს მაჩხაანელ კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგია. მიუხედავად იმ ძიელი და რთული პირობებისა, რაც დაკავშირებულია ცხვირის მომთაბარეობასთან, მაჩხაანელებმა 1929 წლის დონესთან შედარებით 1956 წლისათვის 19 ჯერ გაადიდეს ცხვირის სულადობა.

ცხვირის ძირითად შემადგენლობაში ამჟამად 78% ნახევრად ნაშმატყლიანი ახალი ქართული და თუშური ცხვირის ნაჯვარი მეტისებია, 8% ნაშმატყლიანი, 8% ნახევრად უხეშმატყლიანი და 6% უხეშმატყლიანია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცხვირის ჯიშობრივი გაუმჯობესება დამთავრებული იყოს. მაჩხაანელ მეცხვარეთა წინაშე ფრიად სერიოზული ამოცანა დგას — მიადწიონ იმას, რომ მთელი

ცხვის ფერმა შედგებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ნახ-
მატულიანი ცხვისაგან და თითო ცხვარზე მიიღონ არა
ნაკლებ 4 კგ მატული.

1953 — 1954 წწ. ზამთრის არახელსაყრელი პირობების
მიუხედავად, კოლმეურნეობამ მიიღო ყოველ 100 ჰექტარ სას.-
სამ. სარგებლობის მიწაზე ყველა სახის მატული 2,9 ცენტ-
ნერი, ერთ სულ ცხვარზე 1,9 კგ ნახევრად ნაზი მატული და
გამოზარდა ყოველ 100 სულ დედა ცხვარზე 61,1 სული ბატ-
კანი.

დიაგრამა № 7



ამ მაჩვენებლებით
კოლმეურნეობა სრუ-
ლიად საკავშირო სა-
სოფლო-სამეურნეო გა-
მოფენის მონაწილე
იყო ფართო ჩვენებით
1955 წელს.

კოლმეურნეობის მე-
ცხვარეობის ფერმამ
უკეთეს მაჩვენებლებს
მიაღწია 1955 სამეურ-
ნეო წელს — ყოველ 100
ჰექტარ სარგებლობის
მიწაზე მიიღო 3 ცენტ-
ნერი მატული, ანუ
თვითივე სულზე — 3,3
კგ. ამ მაჩვენებლებით
როგორც კოლმეურნე-

ობა, ისე მეცხოველეობის ფერმის გამგე ი. სესნიაშვილი და
მოწინავე მეცხვარეები 1956 წ. სრულიად საკავშირო სასოფ-
ლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობა არიან.

აღსანიშნავია, რომ მაჩხანელი მეცხვარეები ამ წარმატე-
ბებს მთელი ენერჯიის დაძაბვით აღწევენ, რადგან ცხვის
ზამთარ-ზაფხულ მომთაბარე პირობები, სასმელი და სამეურ-
ნეო წყლის დიდი სიმცირე საზამთრო საძოვრებზე, ცხვის

ყოველწლიურად გადარეკვა ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე, კერძოდ, შირაქის სტეპიდან თრიალეთის მთებში 200—300 კილომეტრის მანძილზე და სხვა რთული პირობები, რადიკალურად განსხვავდებიან სტაციონარული მეცხვარეობისაგან. აღნიშნული გარემოება მეცხვარეთა დიდ შრომას, გამოცდილებასა და საქმისადმი სიყვარულს მოითხოვს.

კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა შედის თუშორი ცხვრის სანაშენო-საჯიშე ზონაში. აქ ტარდება მუშაობა ნახევრად ნახმატყლიანი და ცხიმკუდიანი ცხვრის ჯიშის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც შეხამებული იქნება მკელი წლის განმავლობაში საძოვრულ და მომთაბარე პირობებთან.

ფერმაში შემოღებულია პროდუქტიულობის, წონაში მატების, ნაყოფიერების, დაგრილების და სხვა პროცესების ზუსტი აღრიცხვა. ყოველი სანაშენო ცხვარი და მიღებული ნამატი გადის ინდივიდუალურ ბონიტირებას, ხოლო ცხვრის სამიურნეო ფარები დაყოფილია კლასებად და ჯგუფებად. ტარდება მწარმოებელი ყოჩების გამოცდა და მათი მექანიკური დადგენა, შემოღებულია ფერმის სანაშენო-საჯიშე ეურნალების სისტემატური წარმოება.

ფერმაში კარგად ტარდება ვეტერინარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი ციმბირის წყლულისა და სხვა დაავადებათა საწინააღმდეგოდ, ამიტომ ძლიერ მცარება პირუტყვის დაცემის შემთხვევები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზამთრო და საზაფხულო საძოვრების რაციონალურად გამოყენებას. მცირეწყლიან საძოვრებზე წყლის დაგუბებას, მორიგეობით ძოვებას, ძოვების ხანგრძლიობის დაცვას და საძოვრების გამოყენებას წლის დროისა და ამინდის მიხედვით. ფერმების აალოს გამოყოფილია სამ-ვრები მკე პირუტყვისათვის და დატულია უამინდობის შემთხვევაში გამოსაყენებლად.

მიღებულია ყველა ღონისძიება ზამთრის საძოვრებზე ხარისხიანი სავეების საკმაო რაოდენობით დამზადებისა და ფერმასთან მიზიდვის უზრუნველსაყოფად.

დიდი ყურადღება ექცევა სამეურნეო ნაგებობათა მშენებ-

ლობას; ფარეხების, საწყობების, სასილოსე ორმოებისა და მწყემსების საცხოვრებელი ბინების კეთილმოწყობას.

ფერმები და ბრიგადები რადიოფიციკრებულია, მეცხოველეობის მუშაკებისათვის ეწყობა კინოსურათების ჩვენება, მწყემსთა შემადგენლობა შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს.

მწყემსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დედა ცხვრების შენახვისა და მოვლის პირობებს. ასევე მწარმოებელი ყოჩების შერჩევისა და გამოყენების საქმეს. არანაკლები ყურადღება ექცევა ცხვრის ფარების დაკომპლექტებას ჯანსაღი და ერთგვაროვანი პირუტყვით.

მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაგრილების პერიოდის იწყება. აქედანვე გამოიყოფა და გამოიწუნება დაავადებული, ნაკლებპროდუქტიული; ზამთრის ცუდად ამტანი და სხვა უარყოფითი ნიშნის მქონე ცხვარი.

ძირითადი გამოწუნება მთავრდება აგვისტოში, როდესაც დედა ცხვრების შეიადგენლობა ფერმებში გულისხმიერად გაისინჯება ზოოტექნიკისა და ვეტექიმის მიერ ფერმის გამგესთან, ბრიგადირთან და მწყემსთან ერთად. ყოველ დედა ცხვარს ესინჯება კბილები და ხანდაზმული ცხვრები გამოიწუნება. ასეთი ღონისძიებების გტარება სხვა ღონისძიებებთან ერთად საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას მინიმუმამდე დაიყვანოს პირუტყვის დაცემის შემთხვევები და მიაღწიოს დიდ საწარმოო მაჩვენებლებს.

დაგრილებამდე ერთი თვით ადრე მწყემსები წყვეტენ ცხვრების წველას და გადაყავთ უკეთეს საძოვარზე.

სანამენო ყოჩების შერჩევას აწარმოებენ დედისაგან მოშორებისთანავე. მათი განვითარების, წონის, მოცულობის, მატყლის სისწორის, სიგრძის, სინაზის და მშობლების პროდუქტიულობის გათვალისწინებით. სანაშენოდ გამოყოფილ ყოჩებს აძოვებენ ყველაზე კარგ საძოვრებზე. მწარმოებელთა ასეთი გათვალისწინებით შერჩევის შედეგად მეურნეობაში ყოველწლიურად უმჯობესდება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა.

მეტყვარეობის მოწინავე მწყემსები ყოველწლიურად 700 დან 1000 შ/დღეს იმუშაებენ.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ზოოვეტწესებისა და შრომის ორგანიზაციის საგრძნობლად ჯანსაღობით მივალწიოთ ბერწიანობის ლიკვიდაციას, მიღებული ნამატის ასი პროცენტით შენარჩუნებას, აღმოვეხერათ ცხვრის დაცემის შეზღუდვები, გადაჭოთ გაეაუმჯობესოთ ჯიშობრივი შემადგენლობა და გავზარდოთ პროდუქტიულობა. საჭიროა კოლმეურნეობის გამგეობამ დასახოს და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მეცხოველეობის საკვები ბაზის გაუმჯობესებისათვის, იოვეწყოს სახაფაულო და სახამთრო სააოვრების გაწმენდა მავნე ბალახებისაგან, დაწესდეს სახამთრო საძოვრებზე თივის საჭირო რაოდენობის მარაგის შექმნა, და ფართოდ დაინერგოს მეცხოველეობის ფერმებში ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია.

მელორეობა

სოფ. ზემო მაჩხანის კოლმეურნეობაში მელორეობის განვითარება 1935 წლიდან დაიწყო. მაშინ მელორეობის ფერმაში 68 სული ღორი იყო. ყოველწლიურად იზრდება ამ ძვირფასი პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

ამჟამად კოლმეურნეობაში 1014 სული ღორი ჰყავთ. საერთო სულადობის ზრდასთან ერთად მატულობს დედა ღორების რიცხვი, 1950 წლიდან 1955 წლამდე ღორების საერთო სულადობაში დედა ღორების ხვედრითი წონა 150 პროცენტით გაიზარდა, ამასთან ერთად იზრდება ფულადი შემოსავლიანობა—თუ 1950 წელს ამ დარგიდან მიღებულ იქნა 34.9 ათასი მანეთი, 5 წლის განმავლობაში ამ რიცხვმა 199,7 ათას მანეთს მიაღწია.


მელორეობის პროდუქტიულობისა და ამ დარგის ფულადი შემოსავლის ზრდა ნაჩვენებია № 1 და № 3 ცხრილებში.

დიდი ყურადღება ექცევა ღორების სადგომებით და საკვებით უზრუნველყოფის საქმეს. აგებულია ტიპური სალორეო 100 დედა ღორისათვის, სადაც ყოველ დედა ღორს ნამატი-სათვის გამოყოფილი აქვს ცალკე ბინა. ფერმაში არის მოწ-

ყობილი სამშობიარო განყოფილება. შემოღებულია ფერმის წინ 15 ჰექტარ ფარობზე საკვები ძირნაყოფა კულტურების თესვა მწვანე კონფეიერისათვის და სხვა.

მელორეობის ფერმის მუწაკები ზუსტად ზოოტექნიკური წესების მიხედვით აწარმოებენ ღორების კვებას. თითო დედა

დიაგრამა № 8



ღორს, გარდა მინდვრად ძოვებისა, 500 გრამი დაღერლილი სიმინდი ეძლევა. მშობიარობამდე 10 დღით ადრე დედა ღორს ათავსებენ სპეციალურად გამოყოფილ სამშობიარო ტიხარში. დღეში ერთხელ ბანენ თბილი წყლით და შემდეგ დეზინფექციის მიზნით უსვამენ კრეოლინს. დღის განმავლობაში თითოეულ მათგანს აძლევენ 1 კილოგრამ სიმინდისა და ქერის ღერლილისაგან შემ-

ზადებულ ფაფას.

მშობიარობის პერიოდში დაწესებულია დღელამური მორიგეობა.

გოკებს დაბადებისთანავე ასუფთავებენ სუფთა ტილოთი, აჭრიან ჭიპს და უსვამენ იოდს, რომ რაიმე ინფექცია არ შეიქრას გოჭის ორგანიზმში.

გასუფთავებისა და დასვენების შემდეგ გოჭი მიყავთ დედასთან ძუძუს მოსაწოვად. 20 დღის განმავლობაში კვებავენ დევის ძუძუთი, 20 დღის შემდეგ აძლევენ 20 გრამ ძროხის მოხდილ რძეს და ასე კვებავენ 20 დღეს, ხოლო ამის შემდეგ უმატებენ 30 გრამამდე რძეს და 20 გრამ სიმინდის ღერლილს ფაფის სახით. აღნიშნულში ურევენ 20 გრამ ხის ნახშირის ნაფხვენს და 10 გრამ დამწვარ ძვლის ფქვილს და ასე კვებავენ 2 თვის განმავლობაში—ასხლეტამდე.

ასხლეტის შემდეგ გოკები მიყავთ საძოვრებზე და დღეში აძლევენ 500 გრამ სიმინდის ღერლილის ფაფას.

იმისათვის, რომ დედა ღორს მეტი რძე ჰქონდეს და კარგად დააკმაყოფილოს გოჭები, მას ყოველდღიურად ეძლევა 3 კილოგრამი სიმინდის და ქერის ღერლილის ფაფა, ხოლო თუ 10-ზე მეტი გოჭი ყავს, — 5 — 7 კილოგრამი.

გოჭების ასხლეტის შემდეგ დედა ღორს დღეში აძლევენ 500 გრამ ფაფას, 500 გრამ კობტონს, 500 გრამ ქარხალს, 500 გრამ მოხარულ გოგრას და ასეთ კვებაზე ჰყავთ 20 დღე. ამ პერიოდში მხოლოდ გასასეირნებლად გაყავთ მინდორზე, შემდეგ კი გადაყავთ ბალახზე და აძლევენ მხოლოდ 500 გრამ ფაფას დღეში.

დაგრილების წინა დღით აწყობენ დედა ღორების ბანაობას თბილი წყლით და ისე უშვებენ კერატებთან.

ამ ღონისძიებების გატარებით ღორების მომვლელმა გ. ნადირაშვილმა მასზედ მოსაგლეღად მიჩენილ ყოველ დედა ღორიდან 1954 წელს 17 გოჭი მიიღო, ხოლო ს. გოგილაშვილმა კი 16 გოჭი.

მეფრინველეობა

მეფრინველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო დარგია. მოთხოვნილება მეფრინველეობის პროდუქტებზე (კვერცხი, ხორცი, ბუმბული) ყოველწლიურად იზრდება.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ფართოდ ეწევა მეფრინველეობასაც. თუ 1940 წელს კოლმეურნეობის ფერმაში იყო 194 ფრთა ფრინველი, 1956 წელს აღნიშნული 24-ჯერ გაიზარდა. ამჟამად მეფრინველეობის ფერმაში 4679 ფრთა ფრინველია, მათ შორის 1466 ფრთა ლეგპორნის ჯიშის ქათამი და 271 ბატი. თითოეული კვერცხისმდებელი ქათამისაგან მიღებულია 89,1 ცალი კვერცხი, 129,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

მეფრინველეობის საქმეს 10 წელზე მეტია საუკეთესოდ უძღვება ამხ. ზ. ნატროშვილი, როელიც წარმატებით ასრულებს წიწილების გამოზრდის და კვერცხის მიღების გეგმებს.

კოლმეურნეობის ამ დარგის ზუსტად თაღიდანვე კარგად აიღეს კურსი მეფრინველეობის განვითარებისათვის. მოწილობილია კარგი საქათმეები, დაცულია კვების პირობები და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას.

ახლა ამოცანა იმაშია, რომ მოვაწყოთ მოძრავი საფრინველები, რის საშუალებითაც მოსავლის აღების დროს შევძლებთ ფრინველი მიხდვრად გაეიყვანოთ ჩაცვენილი მარცვლის ასაკენკად, ეს ხელს შეუწყობს ფრინველის კვების პირობების გაუმჯობესებას, მოგიცემს საკვების ეკონომიას, უნაყოფოდ არ დაიკარგება მოსავლის აღების დროს ჩაცვენილი ნარცვალი და ამავე დროს, ფრინველი მინდვრად ყოფნისას გაანადგურებს ხორბლეულისათვის მავნე მწერებს.

• მეფუტკრეობა

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საფუტკრეში 1955 წელს ფუტკრის 293 ოჯახი იყო ნაცულად 1940 წელს არსებული 12 ოჯახისა. მნიშვნელოვნად მატულობს თაფლისა და სანთლს გამოსავლიანობა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ფულადი შემოსავლის ზრდას.

ცხრილი № 5

მეფუტკრეობის განვითარების მაჩვენებლები

№№ რიგ.	მაჩვენებლები	1950 წელი	1952 წელი	1954 წელი	1955 წელი
1.	ფუტკრის ოჯახი	153	135	223	293
2.	მიღებულია თაფლი კგ	324	705	390	1500
3.	ფულადი შემოსავალი (ათას მან).	1.9	2.1	2.7	23.6

კოლმეურნეობას მთელი რიგი რეზერვები აქვს მეფუტკრეობის კიდევ უფრო განვითარებისათვის, როგორცაა ფუტკრის მომთაბარეობა, საფუტკრესთან აკაციის, ცაცხვის, ხეხილის ბალების და სხვ. გაშენება.

მეზარეულობა

წლითიწლობით ფართოვდება მეურნეობის ეს დარგი სოფ. ხემო მაჩხაანდს კოლმეურნეობაში.

1955 წელს, 1945 წელთან შედარებით, მიღებული იქნა 520 კგ-ით მეტი აბრეშუმის პარკი და კოლმეურნეობამ 11.3 ათასი მან. მეტი შემოსავალი მიიღო მეაბრეშუმეობიდან. კოლმეურნეობაში მრავლად არიან მოწინავე მეაბრეშუმეები, რომლებიც ქისტურულ მეაბრეშუმეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებით ყოველწლიურად დიდი რაოდენობის აბრეშუმის პარკს ღებულობენ. მოწინავე მეაბრეშუმემ ბაბალე ტოკლიკიშვილმა 1954 წელს თითოეული კოლოფი აბრეშუმის ქუის თესლდან 138 კგ პარკი მიიღო.

კოლმეურნეობას ყოველგვარი საშუალება აქვს კიდევ უფრო განავითაროს და წინ წასწიოს მეურნეობის ეს ფრიად მნიშვნელოვანი დარგი. ამისათვის კი საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს მუშაობა საკვები ბაზის შექმნისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თუთის ხის ნარგავების გამრავლებისა და ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეს. ლიკვიდაცია უნდა ექნეს თუთის ხეების მოვლისადმი უპასუხისმგებლობას, გაუმჯობესდეს მისი ექსპლოატაცია, მოეწყოს თუთის ახალი ნარგავების გაშენება ახალი ჯიშის — „ქართული“-ს ხარჯზე, ჩატარდეს არსებული თუთის ხეების გადაყენება და მოვლის პირობების რადიკალური გაუმჯობესება.

თ ა ვ ი IV

საკვები ბაზის წარმოების ექონომიკა და ორგანიზაცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა და პარტიისა და მთავრობის შემდგომმა დადგენილებებმა სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე უალრესად დიდი ამოცანები დააყენეს მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის

გადიდების დარგში. „მეცხოველეობის საქმეს წინ ვერ წაგწევთ, — აღნიშნულია სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში, — თუ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-საქეურნეო ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ჯეროვნად არ მოკიდებენ ხელს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში“.

მეცხოველეობის აღმავლობის მთელ რიგ ღონისძიებათა შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა განსაკუთრებით წინაშეწინააღმდეგარს ადგილს უთმობს საკვების წარმოების გადიდების საქმეს.

1960 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების წარმოება უნდა გადიდდეს შემდეგი ოდენობით: კონცენტრული საკვების — 65 მილიონ ტონამდე, სილოსის — 176 მილიონ ტონამდე, ძირხვენების, საკვები და ბალახული კულტურების — 38 მილიონ ტონამდე. კარტოფილის — 25 მილიონ ტონამდე და უხეში საკვებისა — 178 მილიონ ტონამდე.

კოლმეურნეობაში პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის 1955 წელს პირველად განხორციელდა საკვები სიმინდის თესვა დიდ ფართობზე, რძისებრ-ცილისებრ სიმწიფის პერიოდში სიმინდის ტაროს დასილოსება; სიმინდის ხელოვნური დამტვერიანება ჰიბრიდული თესლის მისაღებად; ქვავის, ქერის, ფეტვისა და შერიის თესვა საკვებად; ძირნაყოფების, საკვები ჭარხლის, მიწაფაშლას, გოგრის და სხვა საკვები კულტურების თესვა.

კოლმეურნეობას ყველა წინამძღვრები აქვს იმისათვის, რომ მეცხოველეობის ფერმები უზრუნველყოფილ იქნას საკუთარი წარმოების საკვები ბაზით.

შედგენილი და დანერგილია საძოვრების გამოყენების კალენდარული გეგმა, დადგინდა კვების ნორმები, ჩატარდა საზამთრო და საზაფხულო საძოვრების პასპორტიზაცია, სამეურნეო ნაგებობათა ნაშენებლობა, დაინერგა საკვები თესლობრუნვა. შემოღებულია ხბოების ხელზე გამოკვება. მიმდინარეობს საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სარეველა ბალახებისაგან გაწმენდა, ტარდება სასპელი და სამეურნეო

წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებები; რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის საქმის რადიკალურ გაუმჯობესებას.

დიდი ღონისძიებები გატარდა მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციის, აღრიცხვისა და ახაზლაურების გაუმჯობესების საქმეში. მოეწყო საკვებ-მოპოვების სპეციალური ბრიგადები, პირუტყვის დღე-ღამური ძოვება. მეძროხეობის ფერმებში დაინერგა ორ ცვლად მუშაობა, წველისა და საკვების მომზადების მექანიზაცია. ახლა დასილოსების, თივის და ნამჯის აღება-მიზიდვის, ცხვრის პარსვისა და რიგ სხვა შრომატევადი პროცესების დიდ ნაწილს მტს-ები ასრულებენ.

მოეწყო მეცხოველეობის მუშაკთა გადამზადება, კვალიფიციური კადრებით (მწყემსები, ბრიგადირები, ფერმის გამგეები, ზოოტექნიკოსები, ვეტეკიზები) შეივსო მეცხოველეობის ფერმები.

მიჩურინული ბიოლოგია გვასწავლის, რომ მცირე წველადობის ძროხა, რომელსაც თავისი ბუნებით არ შეუძლია ბევრი რძის მოცემა როგორც კარგი საკვები ბაზაც არ უნდა შეეუქმნათ მას, იმდენს ვერ მოიწველის, რამდენსაც მალალპროდუქტიული ჯიშის ძროხა იმავე პირობებში. ამ შემთხვევაში საჭიროა ჯიშის მკვეარი გაუმჯობესება. მეორე მხრივ, თუ მალალპროდუქტიულ ძროხას არ შევუქმენით კვების საუკეთესო პირობები, ძროხა ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემს მისი ჯიშისათვის დამახასიათებელ დიდ წველადობას—ცუდი კვების პირობებში მისი წველადობა შემცირდება და უახლოესი ორი-სამი თაობის მანძილზე ჯიშიც გაუარესდება. ეს ორი პირობა პირუტყვისათვის—მძღაფრი საკვები ბაზის შექმნა და პირუტყვას ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება მჭიდროდ არის ერთიმეორესთან დაკავშირებული და განუყოფელი.

ეს ამოცანები ღრმად აქვთ შეგნებული ზემო მაჩხანელ მეცხოველეებს და ენერგიას არ იზურებენ, რათა პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობასთან ერთად განამტკიცონ საკვები ბაზა.

მეცხოველეობის საკუთარი საკვები ბაზის წარმოების ლო-

ნისძიებანი მაჩხაანის კოლმეურნეობაში ორი გზით უნდა განხორციელდეს:

ნათესი კულტურების (სიმინდის, ქერის, ჭვავის, შვრიის, ფეტვის, მზესუმშირის, კარტოფილის, გოგრის, საკვები ქარხლის, მიწავაშლას), ნათესი ბალახების, საკვები თესლბრუნვის ფართობების გაზრდით და მოსავლიანობის გადიდებით. ამასთან ერთად, სასოფლო-საეურნეო კულტურების ანარჩენების რაციონალურად გამოყენებით.

2. ბუნებრივი სათიბების წესიერი მოვლით და თივის მოსავლიანობის გადიდებით, აგრეთვე საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გაუმჯობესებით და სრული დატვირთვით გამოყენებით, რასაც არც თუ ისე მცირე მნიშვნელობა აქვს მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში.

იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად, კოლმეურნეობამ 1955 წელს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით დათესა: სიმინდი სამარცვლედ 300 ჰექტარი და სასილოსედ—200 ჰექტარი, ქერი—536 ჰექტარი, ჭვავი—25 ჰექტარი, შვრია—35 ჰექტარი, ფეტვი—35 ჰექტარი, კარტოფილი—10 ჰექტარი, მრავალწლიანი ბალახი თივად—250 ჰექტარი, საკვები ძირხვენები—120 ჰექტარი. აღებულ იქნა ნამჯა და ჩალა 70.180 ცენტნერი, ჩაიდო სილოსი 57100 ცენტნერი, დამზადდა: თივა—30.690 ცენტნერი, ძირნაყოფები—50.000 ცენტნერი, საკვები ძირნაყოფები—6400 ცენტნერი და სხვა მრავალი.

საკვები ბაზის ეს დონე სავსებით არ არის საკმარისი პირუტყვის უზრუნველყოფისათვის, რისთვისაც კოლმეურნეობის გამგეობას სერიოზული ღონისძიებების გატარება მოუხდება.

ამიტომ საჭიროა ავამოქმედოთ ყველა რესურსები, რათა უახლოეს ორ-სამ წელიწადში უზრუნველყოთ კოლმეურნეობის სჭოგადობრივი მეცხოველეობის ფერმები საკუთარი საკვები ბაზით.

საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე არსებული საკვები განსაკუთრებით დაბალი მოსავლის დროს სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმების მოთხოვნილებას ზამთარში, რისთვისაც საძოვრების გაუმჯო-

ბესებასთან ერთად აუცილებელია საზამთრო საძოვრებზე ზაფხულობით მოეწყოს თივის დამზადება. ამისათვის კოლმეურნეობამ უნდა გამოიყოს სათანადო ბრიგადები და გადაიყვანოს ისინი საზამთრო საძოვრებზე თივის დასამზადებლად, რითაც თავიდან იქნება აცილებული ზამთრობით საკვების ნაკლებობა.

საძოვრებთან (15.909 ჰა) შედაღებით ბუნებრივ სათიბებს ნაკლები ფართობი უჭირავს—811 ჰექტარს არ აღემატება. სათიბების ნაკვეთები განლაგებულია საზამთრო საძოვრების მასივებსა და სოფლის სავარგულებზე. თივის მთლიანი მოსავალი ჰექტარზე გაშისაზღვრება 14—28 ცენტნერით.

სათიბ-საძოვრების სავარგულთა სამეურნეო მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ სერიოზული მუშაობის ჩატარებაა საჭირო იმისათვის, რომ მოეწყოს საძოვრების გაწმენდა ქვებისაგან და მავნე ბალახებისაგან. ჩატარდეს რიგრიგობით გადახვნა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი, რაც სელს შეუწყობს საძოვრების გაუმჯობესების საქმეს.

ბუნებრივი სათიბების მოუფლელობის გამო სათიბების თითქმის მთელი ფართობი იძლევა გაზაფხულზე და შემოდგომის პერიოდში. სათიბების გაზაფხულზე გაძოვება უნდა აიკრძალოს, რადგან ამ შემთხვევაში სწრაფად და მძლავრად ვითარდება სარეველები და ხდება გათიბის ვადის გახანგრძლივება, რაც არასასურველია. სათიბების შემოდგომით გაძოვება უნდა წარმოებდეს გათიბის 20—30 დღის შემდეგ, რისთვისაც საჭიროა გაანგარიშებული იქნეს სათიბის აქტიურ რაციონალური დატვირთვა.

სათიბ საძოვრების გაუმჯობესებისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით საჭიროა:

1. შერეკვითი წესით ძოვების შემოღება. ამის საშუალებას იძლევა ფართობი, რელიეფი, წყლის რეჟიმი და სხვა.
2. მოეწყოს ცხოველთა სადგომები და წყალსასმელები, რაც აღმოთხერის საძოვართა ზედმეტ დატკეპნასა და განადგურებას.
3. მავნე და შხამიანი მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლა.

4. სასუქების შეტანა.

5. შეგროვდეს და გატანილ იქნას საძოვრებიდან და სავარგულებიდან იოლად ასაკრეუ ქვეები, გამოითესოს ადგილობრივი საკვები ბალახეულის თესლი.

6. საკვები სავარგულების მთელ ფართობზე კორდღა-შლილი და ეროზირებული ადგილების აღდგენა ადგილობრივი საკვები ბალახეულის ფესლის შეთესვით და სხვა ღონისძიებითა ჯანხორციელებით.

7. დაქაობებული ფართობის დაშრობა.

8. ძლიერ კოლბოხიან სათიბებზე მოიქრას კოლბოხები და შეითესოს საკვები ბალახის თესლით.

9. შემცირდეს საძოვრების გადატვირთვა და დაყვანილ იქნას ნორმალურამდე.

10. ყველა საძოვარზე აშენდეს სტანდარტული ბინები როგორც მეცხოველეობის მომსახურე პირებისათვის, აგრეთვე პირუტყვისათვის.

11. მარა და გრუნტის გზების შეეთება და მათზე ზედამხედველობის დაწესება. საქიროა აგრეთვე მდინარე იორზე სტაციონარული ხიდის აშენება.

დაპი V

საწარმოო პროცესების მქანნიზაცია და ელექტროფიკაცია

შირაქის მტს-ი, რომელიც მომსახურებას უწევს ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, ერთ-ერთი უდიდესი მტს-ია მთელს საქართველოს რესპუბლიკაში.

მექანიზაციის დონე მაჩხაანის კოლმეურნეობაში შეადგენს ხორბლის მოსავლის აღებაში, ყოველგვარ ხენაში, ლეწვაში და თესვაში 99.1% ს.

უკანასკნელ წლებში სამანქანო ტექნიკამ ფართო ადგილი დაიკავა მეცხოველეობის ფერმებში. ამასთან წარმოების მექანიზაციის პირობებში შრომის ნაყოფიერება იზიდაა არა

მხოლოდ სას.-სამ. კულტურების ფართობების ზრდით, არამედ ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის ზრდის მიხედვითაც. სოფლის მეურნეობაში მანქანური ინდუსტრიის გამოყენებამ გამოიწვია შრომის დიდი ეკონომია, პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირება და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა.

მტს-ი დროულად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს და ყოველმხრივ ეხმარება კოლმეურნეობას აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების საქმეში.

კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადებსა და მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებს შორის მტკიცე საწარმოო ურთიერთობაა დამყარებული. სატრაქტორო ბრიგადები უზრუნველყოფილი არიან კოლმეურნეობიდან გამოყოფილი-მომსახურე პერსონალით, ბინითა და გათბობით.

კოლმეურნეობასა და მტს-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობა პერიოდულად იხილებს მტს-ის საბჭოზე და კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე.

მტს-ისა და კოლმეურნეობის აგრონომები გარდა იმისა, რომ მკაცრ კონტროლს აწესებენ სატრაქტორო ბრიგადების მიერ შესრულებულ სამუშაოს ხარისხზე; ეხმარებიან კოლმეურნეობას საწარმოო გეგმების სწორად შედგენის, გამომუშავების ნორმების დაწესების და შრომის ორგანიზაციის მოწყობის საქმეში. ისინი ხშირად საუბრობენ კოლმეურნეობათა აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად გატარების მნიშვნელობის საკითხებზე. აცნობენ მათ მოწინააღმდეგეობის ხერხებსა და მეთოდებს და ეხმარებიან მის დანერგვაში.

მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადების შეწყობილი მუშაობის შედეგად სატრაქტორო პარკი შეუფერხებლად და სრული დატვირთვით მუშაობს.

შეიძლება ითქვას, რომ სასოკლო-საწვეურნეო სამუშაოთა ყველა ძირითადი პროცესი კოლმეურნეობაში მტს-ის ძალე-ბით სრულდება.

მექანიზაციის ასე ფართოდ გამოყენების შედეგად შემკიდროვდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ვადები, გაუმჯობესდა კულტურათა აგროტექნიკა, გაიზარდა მო-

სავლიანობა და შრომის ნაყოფიერება, განთავისუფლდა დიდძალი მუშახელი მინდვრის სამუშაოდან და კოლმეურნეობას საშუალება მიეცა გამოიყენოს ისინი მეურნეობის სხვა დარგებში.

იმის შედეგად, რომ ხორბლეულისა და მზესუმზირის მთელი მოსავლის აღება კოლმეურნეობაში კომბაინებით ტარდება, მნიშვნელოვნად შემკიდოვოდა მოსავლის აღების ვადები და შეჩერდა დანაკარგები. თუ 1940 წელს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება კოლმეურნეობაში 60 დღეს გაგრძელდა, ხოლო 1945 წელს—50 დღეს, 1955 წელს მსოფლიო გაცილებით უფრო დიდ ფართობზე მთლიანად აღებულ იქნა ათი დღის განმავლობაში.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის მალაღმაღონემ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი მოსავლისა და შემოსავლის ზრდას კოლმეურნეობაში, გაიზარდა პოლდუქტების ჩაბარება მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა სატურალური ანაზღაურების ანგარიშში და კოლმეურნეობთან ერთად სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორის ჯები, აღმრიცხველები და ბრიგადირები შრომადღეებზე უფრო მეტ პროდუქტებს ღებულობენ.

ამის შედეგად გაიზარდა კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მატერიალური დაინტერესება.

შირაქელი მექანიზატორები თავდადებულად მუშაობენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების პინათლად შესრულებისათვის—1960 წლის ნაცვლად 1957 წელს უზრუნველყონ მარცვლეულის წარმოების გეგმის განაღლება.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის—სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და განმტკიცებაში დიდი როლი ენიჭება ელექტროენერგიის გამოყენებას.

გ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნისში—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია.

კომუნისტური ბარტია, გამომდინარე ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური იდეებიდან, სოციალისტური მშენებლო-

ბის ყველა ეტაპზე თანმიმდევრულად აბორციელეს მთელი სახალხო მეურნეობისა და, მაშასადამე, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას.

1954 წელს დამთავრდა სოფლის ელექტროფიკაცია. კოლმეურნეობას აქვს 4 საკუთარი ელექტრომომცემი 235 კილოვატის სიმძლავრით. მტს-ის ელექტროაგრეგატებით გაპარსულ იქნა 19.281 სული ცხვარი. ამჟამად აბორციელდება დიდი სამუშაოები მეძროხეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების ელექტროფიკაციისათვის. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჯერ კიდევ დიდი და სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი თივის აღების, კულტივაციის, სასუქების შეტანის, ხორბლის განიავება-დახარისხების, თესლის გაწმენდისა და მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის, რაც ჯერ კიდევ მოწოდების სიმაღლეზე არ დგას კოლმეურნეობაში.

თ ა გ ი VI

შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე

შრომის ნაყოფიერების ზრდა მამცანაობასა და მაცხოველეობაში

სამანქანო ტექნიკის გამოყენებამ კოლმეურნეობაში წინსვნილოვნად შეამცირა კოლმეურნეთა შრომითი დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაზე და გაზარდა მათი შრომითი შედეგი. შრომითი დანახარჯები ერთი ჰექტარი ფართობის მოხვნასა და ძველ ერთპროცენტულ მეურნეობებთან შედარებით შემცირდა 30—40-ჯერ, ხოლო ერთი ჰექტარი მარცვლეულის აღებაზე 50—60-ჯერ. ელექტროენერჯის გამოყენებამ დიდი გავლენა მოახდინა წარმოების განვითარებაზე, დააჩქარა წარმოებითი პროცესები. მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის განვითარებასთან ერთად

კოლმეურნეობაში გამრავლდა კვალიფიციური კადრები, ამალღდა კოლმეურნე გლეხობის ტექნიკურ-კულტურული დონე. მკვეთრად გადიღდა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტუ-

ცხრილი № 6

შრომითი დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე

№ რიგ.	დასახელება	1950 წ.	1952 წ.	1953 წ.	1954 წ.	1955 წ.
1.	დაიხარჯა სულ შრომადღე მარცვლეულზე	60830	51162	180031	115121	120880
	დაიხარჯა შრომადღე ერთ ჰექტარზე	19,6	19,8	37,7	23,4	26,8
	დაიხარჯა შრომადღე ერთ ცენტნერზე	2,3	0,6	3,2	1,3	1,1
2.	დაიხარჯა სულ შრომადღე მხესუმხირაზე	22032	18700	27343	13710	19934
	დაიხარჯა შრომადღე ერთ ჰექტარზე	43,2	31,1	45,5	22,1	31,3
	დაიხარჯა შრომადღე ერთ ცენტნერზე	4,6	2,8	3,5	2,6	2,3
3.	დაიხარჯა შრომადღე მევენახეობაში	26977	33459	32269	35130	33822
	დაიხარჯა შრომადღე ერთ ჰექტარზე	305,4	380,2	365,6	393,3	342,2
	დაიხარჯა შრომადღე ერთ ცენტნერ ყურძენზე	11,9	8,2	6,4	4,6	4,8
4.	დაიხარჯა შრომადღე მსხვილი, რქოსანი პირუტყვის ფერმებში	35909	49688	50976	82868	96275
	დაიხარჯა შრომადღე ას ლიტრ რძეზე	14,4	16,2	11,7	18,2	3,2
	დაიხარჯა შრომადღე მეცხვარეობაში	97711	113570	96728	112423	95204
5.	დაიხარჯა შრომადღე ერთ ცენტნერ მატყლზე	15,7	10,8	12,5	17,2	2,4

რების სათესი ფართობი. სათესი ფართობების გადიღებასთან ერთად მოწინავე ტექნიკისა და საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების გამოყენების პირობებში გაიზარდა გამომუშავება

და მოსაელიანობა. ამ ბაზაზე მნიშვნელოვნად ამალდა მიწათ-
მოქმედების კულტურა, მისი პროდუქტიულობა, და შრომის
ნაყოფიერება.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრი განვი-
თარების საფუძველზე ფართოდ განვითარდა სასოფლო-სამეუ-
რნეო წარმოების ყველა დარგი, საუკეთესო პირობები შეიქ-
მნა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის საფუძ-
ლის—საზოგადოებრივი მიწის რაციონალური გამოყენები-
სათვის.

აღნიშნულის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ცხრი-
ლი № 6. თუ მაგალითად, 1940 წელს 1 ცენტნერი მარცე-
ლის წარმოებაზე დაიხარჯა 5,8 შრომადღე, 1950 წელს ეს
მაჩვენებელი 2,3-მდე, ხოლო 1955 წელს 1,1 შრომადღემდე
შემცირდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მეცხო-
ველეობის ფერმებშიც. 1 ცენტნერი რძის წარმოებაზე 1955
წელს 1950 წელთან შედარებით შრომის დანახარჯები შემ-
ცირდა 3,7-დან 3,1-მდე.

ასევე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მეცხვარეობის ფერ-
მებშიც. თუ 1940 წელს ერთი ცენტნერი ჯატყლის მიღები-
სათვის იხარჯებოდა 214 შ/დღე, 1955 წელს დაიხარჯა 2,4
შრომადღე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ღირსე ქოველ 100 ჰექტარ სას. სამ. სარგებლობის მიწაზე

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება
ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწა-
ზე კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ძლიერე-
ბისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის
გაუმჯობესების მთავარი წყაროა.

მარტო უკანასკნელი ორი წლის (1954—1955) განმავლო-
ბაში რძის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სას. სამ. სარგებ-
ლობის მიწაზე გაიზარდა 16,22-დან 35,49 ცენტნერამდე და
მატყლისა—235,9-დან 296,8 კგ-მდე. 1955 წელს 100 სულ

შოსახლზე მოდიოდა 2168 ცენტნერი მარცვალი, 164,6 კენტნერი ყურძენი და 21486,5 ლიტრი რძე.

კოლმეურნეობა ხასიათდება მაღალსაქონლიანობით. 1954 წლის მონაცემებით, მარცვლეული კულტურების საქონლიანობა შეადგენდა 42,2 პროცენტს, მზესუმზირისა — 38,9, ყურძნისა — 43,6, ტყავის — 89,3 პროცენტს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანმა ამაღლებამ განაპირობა პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე (იხ. ცხრ. № 7).

როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე ყოველ 100 ზრომისუნარიან კოლმეურნეზე, ყოველ 100 საკოლმეურნეო კომლზე და ყოველ 100 მეცხოვერებზე ჯერ კიდევ დაბალია. ასევე — ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე და ყოველ 100 ჰექტარ სახნავე მიწაზე.

მძლავრი საშანჭანო ტექნიკის დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში და ელექტროფიკაციის ფართო ქსელი თავისთავად აყენებს საკითხს კოლმეურნეობაში ზრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დადგენისა და პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის აუცილებლობის შესახებ.

პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების აუცილებლობა პარტიის XX ყრილობამ ყველაზე წინა პლანზე დააყენა. ამიტომ იმის გამოანგარიშებას, თუ რა ზომითი და ფულადი დანახარჯები იქნება გაწეული პროდუქციის ერთეულზე კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოების გაფართოების საქმეში, გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საკიროა შევნიშნოთ, რომ ხშირად კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობას აფასებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად გაიზარდა სასაქონლო პროდუქცია საერთო პროდუქციაში და ფულადი შემოსავალი, ანგარიშს არ უწევენ საკითხის მეორე მხარეს, თუ რამდენად გაიზარდა საერთო პროდუქცია და ამ პროდუქციაში ზრომადღებებზე გასანაწილებელი პროდუქტების წილი.

პროდუქტების წარმოების დონე

№ რ. რიგ.	დასახელება	საშუალოდ მოდის				
		ყოველ 100 კონტაინერზე	ყოველ 100 მეცხოვრებზე	ყოველ 100 მთლიან მშრომელზე	ყოველ 100 კვადრატულ კმ. მიწაზე	ყოველ 100 კვადრატულ საათზე
1	მარცვლეული (ცენტ.)	9117	2354,3	4705,0	314,5	1555,4
2	ხორცი (ცენტ.)	6,2	15,5	22,3	14,74	80,2
3	ღორის ხორცი (ცენტ.)	—	—	—	—	7,0
4	ჩიქვ (ათას ლიტრებში)	43,5	12,1	46,7	35,5	80,1
5	მატყლი (ცენტ.)	70,0	17,6	38,6	1,2	11,6

ჩვენი აზრით ეს შესეჯულება მთლიანად სწორი არ არის, ვინაიდან კოლმეურნეობის მონაცემების ანალიზით იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ კოლმეურნეობა შეიძლება სახელმწიფო დამზადებისა და კონტრაქტაციის გეგმებს კარგად ასრულებდეს, იზრდებოდეს სასაქონლო პროდუქციის წილი საერთო პროდუქციაში, მაგრამ არ იზრდებოდეს საერთო პროდუქცია და შრომადღის ანაზღაურება შეიძლება მცირდებოდეს კიდევ. ამიტომ საკითხის ეს დრო მხარე მთლიანობაში უნდა განვიხილოთ.

თ ა მ ი VII

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ზომებიერი საკითხი

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადაჭრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფართოდ დანერგვას.

კოლმეურნეობაში კარგად მიმდინარეობს კოლმეურნეთა სწავლება აგროზოოტექნიკურ სამშლიან კურსებზე. კურსები 200-ზე მეტმა კოლმეურნემ გაიარა, ამჟამად 120 კოლმეურნე სწავლობს.

ფართოდ ინერგება ხორბლეულის ვიწროდ და ჯვარედინად თესვა, სიმინდისა და მზესუმზირის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, ვაზის გაძლიერებული დატვირთვა, სიმინდის ჰიბრიდული თესლის მიღება, ბოსტნეულის ჩითილების ტორფენუმოპალაქოთნებში გამოყვანა, პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვა, სიმინდის ტაროების დასილოსება, მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია, სანაწიერალო სიმინდის თესვა და სხვა მრავალი ახალი ხერხები და მეთოდები.

მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებით მემინდვრობის № 1 ბრიგადის ბრიგადირი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ი. რობიტაშვილი 400-ზე მეტი ჰექტარი ფართობიდან ყოველწლიურად ჰექტარზე 35 ცენტნერზე მეტ ხორბალს ღებულობს. ასევე დიდ მოსავალს ღებულობენ მემინდვრობის № 4 ბრიგადის ბრიგადირი ივ. ბენაშვილი და № 6 ბრიგადის ბრიგადირი ნ. მაძლარაშვილი.

მევენახეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ი. ი. გოგილაშვილი ხელმძღვანელობს, 24 ჰექტარ სრულმოსავლიანი ვენახის ყოველ ჰექტარზე 1955 წელს 100 ცენტნერი ყურძენი მიიღო, მან კოლმეურნეობაში 750 შრომადღე გამოიმუშავა. ბრიგადირმა გ. ი. ბენაშვილმა 27,65 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე 95 ცენტნერი ყურძენი მიიღო და 525 შრომადღე გამოიმუშავა. მერგოლურმა ქ. ვ. ლაფიაშვილმა რგოლზე მიმაგრებულ 13 ჰექტარ ვენახის ყოველ ჰექტარზე 105 ცენტნერი ყურძენის მიღება უზრუნველყო და 498 შრომადღე გამოიმუშავა. ასევე დიდ მაჩვენებლებს მიაღწიეს მევენახეობის ბრიგადის წევრებმა: მ. ა. მარტყოფიშვილმა, შ. მ. ბაიდოშვილმა, მ. შ. ნასრაშვილმა, ე. ვ. ჩიგიტაშვილმა, გ. ნ. ბოსტაშვილმა, ზ. ნ. ტუკლიკიშვილმა, ე. ი. მარტყოფიშვილმა და მრავალმა სხვამ.

კარგი წარმატებები მოიპოვეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის პირველი, მეორე და მესამე ბრიგადების ბრიგადირებმა კომუნისტებმა რ. ჯანაშვილმა, ს. ჯანაშვილმა და ჩ. ჯანაშვილმა.

მეცხოველეობის ფერმის გამგემ, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ი. ს. სეხნიაშვილმა 1954 წელს 33.998 სული ცხვირიდან თითოეულზე მიიღო 1.9 კგ ნახევრად ნაზი მატყლი. უფროსმა მწყემსმა, ბრიგადირმა რ. ჯანაშვილმა 1320 სული ცხვირიდან თითოეულ ცხვირზე მიიღო საშუალოდ 2.7 კგ ნახევრად ნაზი მატყლი, ხოლო უფროსმა მწყემსმა, ბრიგადირმა ი. დ. ჯანაშვილმა 954 სული ცხვირიდან თითოეულზე—2.4 კგ მატყლი.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მეცხვარეობის მწყემსმა ს. ტოკლიკიშვილმა, მეღორეობის მწყემსებმა გ. ნადირაშვილმა და ს. გოგილაშვილმა, მწველავებმა ელენე ყოჩიაშვილმა და სხვებმა.

საქმის ცოდნითა და შრომისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩევიან ზოორტექნიკოსები ნ. ტაკაშვილი და შ. ფერაძე, ვეტეკიმი გ. ბოსტაშვილი, აგრონომი გ. ნატროშვილი, მეძროხეობის ფერმის გამგე ლ. გოგილაშვილი, მეკამეჩეობის ფერმის გამგე გ. ნატროშვილი, მეღორეობის ფერმის გამგე გ. ბენაშვილი და სხვები.

კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს საქმის კარგი ორგანიზატორი, დიდი სტაჟისა და გამოცდილების მქონე, 1940—1941—1954—1955 წლების სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, კომუნისტი ნიკო პეტრეს ძე მამაიაშვილი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაფლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში უაღრესად დიდი როლი ენიჭება სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადების და წარმოებაში დანერგვის უდიდეს ტრიბუნას წარმოადგენს.

კოლმეურნეობა მონაწილეა 1940—1941—1954—1955 და 1956 წლების სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა ფართო ჩვენებით, ასევე რაიონული და რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენების.

1954 წელს მეზინდკროებაში, მევენახეობასა და მეცხოველეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის წარმან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა 25 კოლმეურნე, ხოლო მთლიანად კოლმეურნეობა გამოფენის მონაწილე იყო ფართოა ჩვენებით. კოლმეურნეობაში უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრა 1955 სამეურნეო წელი და 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარსდგა ფულადი შენოსავლის, მზესუმზირის, ქერის მაღალი მოსავლისა და რეცხვარეობაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებით. სახელდობრ: ყოველ 100 ჰექტარ სარგებლობის მიწაზე მიღებულ იქნა 3 ცენტნერი მატ.ლი, 466 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 21,4 ცენტნერი ქერი, 637 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 16,6 ცენტნერი მზესუმზირა და ყოველ ჰექტარ სახნავე მიწაზე — 3154 მანეთი ფულადი შექოსავალი.

კოლმეურნეობის ამ მაღალი მაჩვენებლებისათვის გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილმა, თავმჯდომარის მოადგილე მ. კობიაშვილმა, პარტიბუროს მდივანმა ი. პაპაჩაშვილმა, ზოოტექნიკოსმა შ. ფერაძემ, აგროტექნიკოსმა ლ. გომელაურმა, ფერმის გამგე ი. სეხნიაშვილმა და ბუღალტერმა ვ. მჭედლიშვილმა.

შრომაში მოპოვებული წარმატებებით წარსდგნენ გამოფენის წინაშე მეზინდკროების ბრიგადის ბრიგადირი ნ. მაძლარაშვილი, რომელმაც 100 ჰექტარი მზესუმზირის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 17,6 ცენტნერი მზესუმზირა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა, № 2 ბრიგადის ბრიგადირი ი. ბენაშვილი — 54 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უსრუწველყო 22 ცენტნერი ქერის მიღება, ი. ჯანაშვილი — 1096 სული ცხვრიდან თვითეულზე მიიღო 3,7 კგ მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,5 კგ და ყოველ 100 დედა ცხვარზე გამოზარდა 95 ბატკანი (გეგმით 75), მეცხვარეობის ბრიგადირი ი. დ. ჯანაშვილი — 1100 ცხვრიდან თვითეულ სულზე გაპარსა 3,65 კგ მატყლი და ყოველ 100 სულ ცხვარზე გამოზარდა 101 სული ბატკანი; მწყემსი პ. მაძლარაშვილი — მასზე მიმაგრებულ 1100 ცხვრიდან თითოეულ სულზე მიიღო 3,65 კგ მატყლი და 100 დედა

ცხვიდან მიიღო 101 ბატკანი, მეცხვარეობის ფერმის ბრი-
გადირი ი. ფოცხვერაშვილი - 1025 ცხვიდან მიიღო 3,6
კგ მატყლი თითოეულზე და ყოველი 100 სული ცხვირიდან
გამოსწავლა 97 ბატკანი.

შრომის ორგანიზაციის განმტკიცებას და შრომის ნაყო-
ფიერების ზრდას კოლმეურნეობაში დიდად უწყობს ხელს
სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლა.

სოციალისტური შეჯიბრების კარგად მოწყობის დიდა
გამოცდილება აქვთ მაჩხაანელ კოლმეურნეებს. მათ არა ერთი
ვალდებულება აუღიათ და სასაიელოდ შეუსრულებიათ კიდევ.

აქ ყოველწლიურად ეწყობა სოციალისტური შეჯიბრება
როგორც მესობელ კოლმეურნეობებთან, ასევე ჯრადებში.
ფერმებში, რგოლებსა და კალკეულ კოლმეურნეთა შორის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადებისა
და ფერმებისათვის დაწესებულია გარდაქმნადი წიაღული
დროშა. გამოყოფილია ეიური სოციალისტური შეჯიბრების
შედევების შესამოწნებლად. წელიწადში ორჯერ წარმოებს
აღებულ ვალდებულებათა შესრულების მამდინარეობის შემო-
წმება. მოწყობილია მოწინავეთა დაფები, გამოდის საკოლ-
მეურნეო კედლის გაზეთი, საველე ფურცლები.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების
შედევიაზობისათვის ბრძოლას სათავეში უდგია კოლმეურნეო-
ბის განგეობა და საკოლმეურნეო პირველადი პარტიულ-კომ-
კანშირული ორგანიზაციები.

ამჟამად მაჩხაანელი კოლმეურნეები თავდადებულად შრო-
მობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრი-
ლობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცა-
ნათა პირნათლად შესრულებისათვის. მათი ვალდებულებაა
მარცვლელი მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარე-
ბის დაწვლბანი 1960 წლის ნაცვლად შეასრულონ 1957 წელს.

თ ა ვ ი - VIII

საზოგადოებრივი მემურნეობის ზრდა


კოლმეურნეობის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის
ანალიზი ნათლად მოწმობს, რომ საზოგადოებრივი მემურ-
ნეობის განუხრელად ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად იზრ-

დება წარმოების ძირითადი საშუალებანი და განუყოფელი ფონდები, ამის საფუძველზე კი ნატურალური და ფულადი შემოსავალი- და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

ისე როგორც ყველა სოციალისტურ საწარმოს, კოლმეურნეობასაც აქვს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები. მტს-ის ტექნიკასთან ერთად ისინი წარმოადგენენ კოლმეურნეობის საწარმოო საქმიანობის საფუძველს.

არტელის ძირითადი საშუალებებით აღჭურვაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება, და მთლიანად შემოსავლის ოდენობა, ამიტომ კოლმეურნეობის გამგეობა და ყველა კოლმეურნე დაინტერესებულია წარმოების ძირითადი საშუალებების დაცვისა და გადიდებისათვის, რის შედეგად წლითიწლობით იზრდება წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება, რაც ნათლად მოწმობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და ძლიერებას. თუ 1950 წელს წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება 5531,6 ათას მანეთს უდრიდა, 1955 წელს ის 8401,2 ათას მანეთამდე გაიზარდა, ე. ი. 51,9 პროცენტით. 1932 წელს აღნიშნული მხოლოდ 266 ათას მანეთს შეადგენდა.

დიაგრამა № 9



სისტემატურად იზრდება აგრეთვე კაპიტალური დაბანდებანი, რასაც კოლმეურნეობა იყენებს საკოლმეურნეო მშენებლობის გაფართოებისათვის.

კოლმეურნეობაში სულ უფრო ფართოვდება საძეურნეო ნაგებობათა მშენებლობა, პირველ რიგში ისეთი ნაგებობების, როგორცაა: საწყობები, ბელლები, თავლები, ბოსლები, საღორეები, ფარეხები, საფრინველები. სასილოსე კოშკები და სხვა.

ამენებულია მემინდერეობისა და მეცხოველეობის მუშა-
კების 36 საცხოვრებელი სახლი 1750 კვ მეტრის ფართო-
ბით; 7 კარგად მოწყობილი საძროხე 1800 სული ძროხისა-
თვის, 62 ბოსელი 1800 სულის ტევადობით, ორი თავლა
600 სული ცხენისათვის, 11 სახბორე 590 ხბოსათვის; 4 სა-
ლორე 950 სულის ტევადობით, 29 ფარეხი 35.000 სული
ცხვრისათვის, 8 ბელელი 3800 ტონის ტევადობით, 32 სასი-
ლოსე კოშკი 1702 ტონის მოცულობით, 5 საქათმე 3100
ფრთა ფრინველისათვის და სხვა.

სოფელს ამშვენებს კოლმეურნეობის განგეობის კეთილ-
მოწყობილი შენობა, კლუბი; აქვს გარაჟი 28 ავტომანქანისა-
თვის. ექსპლოატაციაში გადაეცა ელექტროსადგური, მიმ-
დინარეობს აბანოს, ყურძნის გადასამუშავებელი მარნის
მშენებლობა.

პროდუქციის გადიდებაში დიდ როლს თამაშობს პარ-
ტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ისეთი ღონისძიე-
ბანი, როგორცაა პროდუქტების საველდებულო ჩაბარების
ჰექტარობრივი პრინციპი, მტს-ის ნატურალური ანაზღაურე-
ბის ახალი წესი შესრულებულ სამუშაოსა და მოსავლის მი-
ხედვით, შრომის დამატებითი ანაზღაურება, კონტრაქტაცია
და პრემიალური ანაზღაურება ჩაბარებული პროდუქციის
ოდენობის მიხედვით, შრომადღებების დარიცხვა ყოველი ცენ-
ტნერი მარცვლეულის, ბოსტნეულის და მეცხოველეობის
პროდუქტების მიღებაზე, მტს-ის მუშების საგარანტიო მინი-
მუმისა და პროდუქტების დასამზადებელი და შესასყიდი ფა-
სების გადიდება, კოლმეურნეთა ავანსირების ახალი წესი და
სხვა მრავალი მატერიალური დაინტერესების ღონისძიებანი,
რომელთაც კოლმეურნეობა ფართოდ იყენებს.

იზრდება კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდები —
1950 წელთან შედარებით 1955 წელს 105,7 პროცენტით
გადიდა, ამჟამად მან 14 მილიონ მანეთს მიაღწია.


კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდის 98%-ზე მეტი
ძირითადად კოლმეურნეთა შრომით არის შექმნილი.

განუყოფელი ფონდის ასეთი ზრდა იმის შედეგია, რომ
კოლმეურნეობა სწორად იყენებს თავის სამუშაო ძალებს,

ეფექტურად და დანიშნულებისამებრ ხარჯავს სახსრებს, აღიდეგს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობას, რაც იწვევს საერთოდ სასაქონლო პროდუქციის 'ზრდას: ეწევა ზომიერების რეჟიმს.

კოლმეურნეობის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულებისა და განუყოფელი ფონდის ასეთი ზრდით ძლიერდება და მტკიცდება კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა.

დიაგრამა № 10



კოლმეურნეობაში ნთავარი * ყურადღება ექცევა მხოლოდ ისეთ დანხმარე საწარმოებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოების ინტერესებთან და კოლმეურნეთა პირად საქროებასთან. ესენია მექანიზებული წისქვილი, საღებურგლო სახელოსნო, სამკვდლოები და სხვ.

ჩამოყალიბებულია სააღმშენებლო ბრიგადა 43 კოლმეურნით და დანხმარე საწარმოთა მომსახურების ბრიგადა 12 კოლმეურნით.


სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი — თუ 1950 წელს ის 2863,4 ათას მანეთს შეადგენდა, 1955 წელს 7070,3 ათას მანეთამდე ანუ 146,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წარმოების ძირითადი საშუალებები 51,9 პროცენტით და განუყოფელი ფონდები — 106,7 პროცენტით გადიდდა (იხ. ცხრ. № 8).

ცხრილი № 8

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯა
(ათას მანეთებში)

№ რიგ.	დასახელება	1932 წ.	1935 წ.	1940 წ.	1950 წ.	1951 წ.	1952 წ.	1953 წ.	1954 წ.	1955 წ.	წინა წლებთან დარდნა 1950 წ. 100 %
1	ფულადი შემოსავალი	169,7	353,6	1953,7	2863,4	2452,7	4616,3	3761,7	831,6	7070,3	246,9
2	წარმოების ძირითად საშუა- ლებ. ღირებულება	266,0	892,0	1129,7	5531,6	5797,4	6572,1	7181,1	7256,8	8401,2	151,9
3	განუყოფელი ფონდი	323,5	442,4	1537,0	6309,4	7290,8	8313,5	8747,3	11142,2	12976,6	206,7

ფულადი შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობაში ხდება სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-12 მუხლის შესაბამისად. პირველ რიგში კოლმეურნეობა იხდის სახელმწიფო კანონით დაწესებულ გადასახადებს, ისტუმრებს სადაზღვევო გადასახადებს და უბრუნებს ფულად სესხებს, ეწევა აუცილებელ ხარჯებს მიმდინარე საწარმოო საქიროებისათვის, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიმდინარე რემონტი, პირუტყვის მკურნალობა, მავნებლებთან



დაგრაფა № 11

ბრძოლა და ა. შ. ფარავს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს, გამოყოფს რა ამისათვის ფულადი შემოსავლის არა უმეტეს 2 პროცენტისა. გამოყოფს სახსრებს კულტურული საქიროებისათვის, როგორცაა: საკოლმეურნეო კადრების მომზადება, საბავშვო ბაგების, სპორტული მოედნების ორგანიზაცია, რადიოს მოწყობა და ა. შ. აესებს არტელის განუყოფელ ფონდს, რათა გასწიოს ხარჯები სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და პირუტყვის, აგრეთვე საშენი მასალის შესაძენად და სხვ. მთელი ფულადი გადარიცხვა განუყოფელი ფონდების შესავსებად ხდება არა ნაკლებ 15 და არა უმეტეს 20 პროცენტის რაოდენობით.

ფულადი შემოსავლის მზელ დანარჩენ თანხას კოლმეურნეობა ანაწილებს შრომაძღვლებზე.

ფულადი შემოსავლის განაწილება სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ასეთ სურათს იძლევა (რხ. ცხრილი № 9).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება გადარიცხვები განუყოფელ ფონდში, ხარჯები საწარმოო საქიროებისათვის, კერძოდ, სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის, ტექნიკური აღჭურვის და

ფულადი შემოსავლის განაწილება (ათას მანეთებში)

№№ რიგ.	დასახელება	1932	1940	1950	1954	1955
1.	სულ ფულადი შემოსავალი	169,5	2053,8	2863,6	8311,7	7070,3
2.	საწ. ხარჯები	63,3	340,9	937,0	1173,7	1.223,3
	% %	37,4	17,1	32,7	14,1	17,3
3.	განუყ. ფონდში გადარიცხულია	16,3	297,2	429,5	1662,4	1.308,5
	% %	9,6	14	15,0	20,0	17,09
4.	ხარჯ. კულტ. დანიშნულ.	—	14,1	14,3	83,1	70,7
5.	ადმ. სამეურ. ხარჯები	3,6	13,2	36,8	31,3	43,7
	% %	2,1	6,0	1,3	0,04	0,62
6.	სადახლევეო ხარჯები	17,6	131,5	687,8	943,8	1.585,0
	% %	10,4	6,4	24,0	11,3	22,4
7.	განაწილება შიღლებზე	68,7	1147,9	158,0	4068,1	2.809,7
	% %	40,5	55,9	26,4	48,9	4,0

შრომატევადი პროცესების ელექტროფიკაციის გატარების მიზნით.

ამავე დროს ფულადი შემოსავლის დიდი ნაწილი ნაწილდება შრომადღებზე, რაც კოლმეურნეთა მატერიალური უზრუნველყოფის მთავარი წყაროა.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების შედეგად ისრდება მისი საერთო და სასაქონლო პროდუქცია.

კოლმეურნეობა გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს სავალდებულო წესით აბარებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, დიდი რაოდენობით გამოყოფს მას აგრეთვე საკოლმეურნეო ზაზარზე გასასყიდად. ეს კი კოლმეურნეობისაგან მოითხოვს ტრანსპორტს, მუშახელს, მათი შენახვისა და გადაზიდვის ხარჯებს.

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით ბევრად უკეთესი იქნება საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის გამოყოფილი პროდუქტების შესყიდვა ეწყობოდეს ადგილზე—კოლმეურნეობაში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, ვინაიდან პროდუქტების გაყიდვა დიდ დროს ართმევს კოლმეურნეობას და მის წევრებს, იწყევს დიდ დანაკარგებს, აძვირებს პროდუქციას და ზოგჯერ ხელს უწყობს სპეკულაციას.

საკოლმეურნეო ვაჭრობის სწორად მოწყობა კოლმეურნეობისა და შემსყიდველი ორგანიზაციების ოპერატიულ, ყაირათიან მუშაობას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, მაჩხაანის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო არტელია. აქ მუშაობს 38 საბარგო და 2 მსუბუქი ავტომანქანა, ფართოდ არის გაშლილი საკოლმეურნეო მშენებლობა, ხოლო კოლმეურნეობის საჭირო სააღმშენებლო, საწვავ-საცხები და სარემონტო მასალებით მოპარაგება კი ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. ეს საკითხი ყურადღების ღირსია.

თ ა ვ ი X

შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება

კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო-საზოგადოებრივ შრომაში

შრომის სწორი ორგანიზაცია კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი საკითხია. მასზე დამადა და მოკიდებული კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეთურნეობასა და შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეთა მონაწილეობა საკოლმეურნეო-საზოგადოებრივ შრომაში და ნაღვდება შრომის ნაყოფიერება. (იხ. №10 ცხრილი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1940 წელთან შედარებით 1955 წელს კოლმეურნეობაში შრომისუნარიან კოლმეურნეთა

№ № რიგ.	დასახელება	1932 წელი	1940 წელი	1950 წელი	1955 წელი
1	შრომის უნარ. . მათ შორის	315	1362	1491	1724
	ა) კაცი	170	573	781	893
	ბ) ქალი	125	646	710	831
2	მუშაობ. კოლმ.	315	1080	1478	1724
3	გამომუშავებ. შ.დღე (ათასებ.)	12,7	319,9	380,2	496,1
4	არ შეუსრულებ. შ.დ. სავალდებ. მინიმუმი	—	194	52	18
5	სრულებით არ გამოიმუშავე არც ერთი შ.დ	—	192	99	3
6	ერთმა შრომისუნარ. საშუალოდ გამომუშავეა . . .	122	235	256	306

რიცხვი გაიზარდა 362 კაცით და ერთ შრომისუნარიან კოლმეურნის მიერ საშუალოდ გამოიმუშავებულ იქნა 71 შრომადლით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

დიდად გაიზარდა ქალთა შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო საქმიანობაში. 1940 წელს საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას ღებულობდა 646 ქალი, ხოლო 1955 წელს— 831.

აღნიშნულის გარდა, კოლმეურნეობაში შრომით მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე მოხუცები და მოზარდები. გასულ წელს მათ გამოიმუშავეს 12.102 შრომადღე.

საშუალოდ ერთ შრომისუნარიან კოლმეურნის მიერ 1955 წელს გამოიმუშავებულ იქნა 306 შრომადღე.

შრომის მოთხოვნილების მიხედვით ყველაზე დაძაბულ პერიოდად მაჩხანის კოლმეურნეობაში და საერთოდ მთელ რაიონში მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო ითვლება—სათოხნი კულტურების დამუშავებისა და თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების პერიოდი.

თუ როგორია კოლმეურნეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-საკოლმეურნეო, შრომაში წლის ცალკეული თვეების მიხედვით, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

ცხრილი № 11

№№	თვეები	მუშაობდა სულ კოლმეურნე	მათ მიერ გამომუშავ. შრომადღებები
1	იანვარი	519	21115
2	თებერვალი	695	26181
3	მარტი	635	22171
4	აპრილი	815	20194
5	მაისი	913	37215
6	ივნისი	1074	38121
7	ივლისი	1125	55271
8	აგვისტო	939	53181
9	სექტემბერი	780	48185
10	ოქტომბერი	771	49181
11	ნოემბერი	725	30189
12	დეკემბერი	592	30181

კოლმეურნეთა შრომითმა აქტივობამ გაზარდა მეურნეობის დარგებისადმი მომსახურების დონე და შეცვალა შრომადღებების ხარჯვის სტრუქტურა.

შრომის ორგანიზაცია მმცხნარობასა და მმცხკველმობაში

ბრიგადირების ხანგრძლივი ვადით მიმაგრებამ მოსპო საბუშაო ძალის დენადობა და გაუპიროვნება. ბრიგადირი გახდა საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალური ფიგურა, წარმოების ორგანიზატორი, გაიზარდა მისი პასუხისმგებლობა გამგეობის წინაშე დავალებათა შესრულების საქმეში.

კოლმეურნეობის ძირითად საწარმოო რგოლს მუდმივი საწარმოო ბრიგადა წარმოადგენს. ბრიგადაში მუდმივია

კოლმეურნეთა ძირითადი შემადგენლობა, სამუშაო ადგილი, საწარმოო საშუალებანი და სხვ.

კოლმეურნეობაში 10 მემინდვრეობის ბრიგადაა. თვითეულ ბრიგადაში საშუალოდ 70—85 შრომისუნარიანი კოლმეურნეა. თვითეულ ბრიგადაზე მიმაგრებულია 400—500 ჰექტარი სახნავი მიწა.

მემინდვრეობის ბრიგადებს მომსახურებას უწევს 5 სატრაქტორო ბრიგადა. როგორც წესი, მტს-ის ერთი სატრაქტორო ბრიგადა ემსახურება მემინდვრეობის ორ ბრიგადას.

მემინდვრეობის ბრიგადებში სათონი კულტურების (სიმინდი, მზესუმზირა) მომსახურებისათვის, და მრავალწლიანი ნარგავების ყველა სამ ბრიგადაში ორგანიზებულია რგოლები.

მევენახეობაში და მებღლეობაში, სადაც სამუშაოთა დიდი ნაწილის მექანიზაცია ჯერ კიდევ დანერგილი არ არის, კოლმეურნეობას გამოყოფილი ჰყავს სამი ბრიგადა 152 კოლმეურნით. აქედან მამაკაცია 68 და ქალი 84. ბრიგადირების შიგნით მოწყობილია რგოლები.

მემინდვრეობის მუდმივი საწარმოო ბრიგადების განპტიკებაჰ სამანქანო ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესებასთან ერთად გააუმჯობესა მეურნეობის ამ დარგისადმი მომსახურება და გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

შრომის სწორი ორგანიზაცია კოლმეურნეობაში განუხრელად დაკავშირებულია საწარმოო გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენასა და გატარებასთან.

„... საწარმოო გეგმა,— აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი,— არის მრავალი მილიონი ადამიანის ცოცხალი და პრაქტიკული მუშაობა. ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა— ეს მშრომელთა მილიონებია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა— ეს ცოცხალი ადამიანებია. ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაშია“¹.

¹ ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 212, თბილისი, სახელგამი.

მემბლერების ბრიგადების შემადგენლობა და მათზე ნაკვეთების მიმავლება

№№ რიგ.	დასახელება	№ 1/	№ 2	№ 3	№ 4	№ 5	№ 6	№ 7	№ 8	№ 9	№ 10	სულ
	მიმავლებულია სახნა-კი (კვკტ.)	460	498	460	412	504	540	477	604	578	498	5026
	კოლმეურნეთა რიცხვი ბრიგადაში .	81	81	87	72	75	74	72	84	77	80	783
	მათ შორის:											
	ა) კაკი . . .	19	28	25	19	19	18	19	19	15	15	196
	ბ) ქალი	58	49	59	48	52	52	49	59	58	58	542
	გ) მოზარდი	4	4	3	5	4	4	4	6	4	7	45

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის შედგენაში აქტიურად წონაწილეობენ პარტიული და კომკავშირული აქტები, ბრიგადირები, ფერმის გამგეები, წიწინავე კოლმეურნეები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები და სხვ.

კოლმეურნეობის საერთო კრება აწესებს შრომადღებების შეფასებას და გამოიწვევების ნორმებს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მოწინავეთა მალწივების გათვალისწინებით; მეცხოველეობის ფერმების მუშაკთათვის აწესებს დატვირთვის ნორმებს და შრომის ანაზღაურების სანარდო შეფასებას, საზღვრავს ადმინისტრაციულ და მომსახურე საწარმოო-ტექნიკური პერსონალის შტატებს და მათ შრომის ანაზღაურებას, ადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურათათვის ნორმებს და მოსავლიანობის გეგმებს ბრიგადების მიხედვით. აზუსტებს მიწების გამოყენების, ახალი მიწების ათვისების, საზოგადოებრივი პირუტყვის საძოვრების გამოყენების მდგომარეობას, ზუსტად აღრიცხავს მუშახელს, საწარმო საშუალებებს, აკომპლექტებს ბრიგადებს, ბრიგადებზე ანაგრებს საწარმოო საშუალებებს, ბრიგადის შემადგენლობაში კოლმეურნეები შეყავს ბრიგადის საწარმოო დატვირთვის სიძლიერის მიხედვით, რის დროსაც გათვალისწინებულია კოლმეურნეთა გამოცდილება; დაჰყავს სამეურნეო და საწარმოო წლიური დავალებანი ბრიგადებზე და რაზმავს მათ მათი შესრულებისათვის. ზუსტად განსაზღვრავს მტს-ის სამანქანო პარკის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა სახეებს, აწესებს სამუშაოთა მოცულობის ნორმებსა და შესრულების ვადებს მაღალი აგროტექნიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით; სწორად ანაწილებს სამუშაოებს მექანიკურ და ცოცხალ გამწვევ ძალაზე და დებს ხელშეკრულებას მტს-თან.

სამუშაოთა ხასიათის გათვალისწინებით ინდივიდუალური სანარდო სისტემა ტარდება ისეთ სამუშაოთა შესრულებისას, როდესაც ერთი კოლმეურნის შრომას შეუძლია მეტი ნაყოფიერების მოცემა, წვრილჯგუფური სანარდო სისტემა, — როცა ერთი კოლმეურნის შრომას არ შეუძლია მოგვეცეს შრომის მაღალი ნაყოფიერება და ამავდროულად მუშაობის ხასიათის მიხედვით მოუხერხებელიცაა. მაგალითად, გუთნეუ-

ლით ხენა, ფარცხვა და სხვა. ხოლო ბრიგადული სანარდო სისტემით მუშაობა ტარდება ისეთ სამუშაოთა შესრულები-სას, რომელიც ერთდროულად რამდენიმე კოლმეურნის მო-ნაწილეობას მოითხოვს. მაგალითად, სალენი მანქანებით ლეწვა, ტრიერებით მარცვლის გაწმენდა, კონბაინით მოსავ-ლის აღება და სხვ.

დიდი ყურადღება ექცევა შრომის სწორი აღრიცხვის, ანაზღაურებისა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერე-სების საქმეს. კოლმეურნეობის გამგეობა -ზუსტ კონტროლს აწესებს შესრულებულ სამუშაოს ხარისხზე, შრომადღეების ხარჯვაზე, მოსავლიანობის გეგმის შესრულებაზე და მუშაო-ბის შედეგების მიხედვით აწარმოებს შრომის დამატებითი ანაზღაურების გაცემას, შრომადღეების ჩამოწერას და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის დისციპლი-ნის საკითხს. კოლმეურნეებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ სას. სამ. არტელში ყველა სამუშაო სრულდება მისი წევ-რების პირადი შრომით, საერთო კრების მიერ მიღებული შინაგანაწესის წესების თანახმად. დიდი ყურადღება ექცევა ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნის საზოგადოებრივ-საკოლ-მეურნეო შრომაში ფართოდ ჩაბმას, თუმცა უნდა ითქვას, რომ კეთილსინდისიერ კოლმეურნეებთან ერთად ჯერ კიდევ არიან ისეთნიც, რომლებიც სათანადო პასუხისმგებლობას არ გრძნობენ თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობის წინაშე და ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ საკოლმეურნეო შრო-მაში.

მართალია, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების დარგ-ში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ ჯერ კი-დეც არის ზოგიერთი ნაკლოვანება—ყველა საწარმოო ბრი-გადას არ ჰყავს წევრთა მუდმივი შემადგენლობა და მიმაგ-რებული არა აქვს წარმოების საშუალებანი, რაც იწვევს გაუპიროვნებას, სამუშაო დროის დაკარგვას. ეს კი ამცი-რებს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერებას და იწვევს სასო-ფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგვიანებით შესრულებას.

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში სულ 38 ბრი-გადაა, რომლებსაც მომსახურებას უწევს 281 შრომისუნარიანი

კოლმეურნე, აქედან მეძროხეობის ფერმაში 6 ბრიგადა 54 კოლმეურნით, მეკამეჩეობის ფერმაში 6 ბრიგადა 30 კოლმეურნით, მეცხვარეობის ფერმაში 20 ბრიგადა 157 კოლმეურნით, მელორეობის ფერმაში 2 ბრიგადა 13 კოლმეურნით, მეფრინველეობის ფერმაში ერთი ბრიგადა 13 კოლმეურნით. საფუტკრეში მუშაობს სამი კოლმეურნე. საკვებმომპოვების ბრიგადა ორია 33 კოლმეურნით. ამავე დროს სეზონურად ეწყობა მებაბრეშუმეობის ბრიგადები 80 კოლმეურნის შემადგენლობით.

შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმას მეცხოველეობაში, ისევე როგორც მემცენარეობაში, წარმოადგენს მუდმივი საწარმოო ბრიგადა, რომელიც კოლმეურნეობაში ყალიბდება არა ნაკლებ სამი წლის ვადით.

ბრიგადის შიგნით არსებული დატვირთვის ნორმების შესაბამისად პირუტყვი ძირითადად სწორად არის გაპიროვნებული კოლმეურნეებზე. თითოეულ მწველავს მიმაგრებული ჰყავს 8—17 ფური. მწველავებზე ფურების მიმაგრების დროს გათვალისწინებულია მწველავის კვალიფიკაცია, გამოცდილება და მუშაობის სტაჟი.

ბრიგადებში მუშაობა ცვლის მიხედვით წარმოებს.

პირუტყვის მოვლაში ადგილი აქვს გაუპიროვნებას. პირუტყვის მომვლელებზე მიმაგრებულია პირუტყვის მთლიანი სულადობა. გაუპიროვნების ლიკვიდაციის მიზნით მიზანშეწონილია მათზე ცხოველთა ინდივიდუალური მიმაგრება—თითოეულზე 30—40 სულამდე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნამატის მოვლა-აღზრდას. მეხბორეები ნამატის აღზრდას აწარმოებენ 15—20 დღის ასაკიდან 6 თვემდე, ხოლო ნამატს 15—20 დღის განმავლობაში უვლის თვით მწველავი. ბრიგადაში ამეამად მხოლოდ 12 მეხბორე მუშაობს; საჭიროა წინასწარ, დატვირთვის არსებული ნორმებიდან გამომდინარე, განისაზღვროს მეხბორეების რიცხვი იმ ანგარიშით, რომ თითოეულზე კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით მიმაგრებულ იქნას 20—25 ხბო. ასევე საჭიროა მოზარდი პირუტყვი დანაწილებულ იქნას სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და მიემაგროს მომვლელებს ინდივიდუალურად.

შრომის ორგანიზაციის ძირითადი არსი მდგომარეობს შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ხოლო შრომის ნაყოფიერებაზე უდიდეს გავლენას ახდენს დროის რაციონალური გამოყენება, შრომატევადი პროცესების კომპლექსური შექა-ნიხაცია და ელექტროავიაცია.

საკოლმეურნეო ფერმაში დროის რაციონალურ გამოყენე-ბაზე უდიდეს გავლენას ახდენს ფერმის შინაგანაწესი. სწორად შედგენილი შინაგანაწესი გარკვეულ წესრიგს ამყარებს მუ-შაობაში. ისპობა სამუშაო პროცესების ერთმანეთში აღრევა, გაუპიროვნება და მყარდება გარკვეული ურთიერთობა დროის დანახარჯსა და შესასრულებელ სამუშაოს შორის. ასევე ზუსტდება შესასრულებელი სამუშაოების სახეები და მათი ხვედრითი წონა ფერმაში ჩასატარებელ სამუშაოებში.

მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმის შინაგანაწესი ით-ვალისწინებს მთელ რიგ სამუშაოებს, რომლებიც იწყება დი-ლის 5 საათსა და 30 წუთზე და გრძელდება სალამოს 9 საათსა და 30 წუთამდე. სამუშაოები ნაწილდება 3 ჯგუფად — დილის, შუადღის და სალამოს სამუშაოდ.

შევისწავლეთ რა მეწველი ფურების მოვლის სამუშაოები, უნდა ითქვას, რომ მათი თანმიმდევრობა და კოლმეურნეო-ბის მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმაში ბაგური პერიო-დისათვის არსებული შინაგანაწესი ხასიათდება ზოგიერთი ნაკლოვანებით. შინაგანაწესი ფერმის მუშაკებს აცნობს მხო-ლოდ იმას, თუ როდის იწყება და მთავრდება დილის, შუა-ღღის და სალამოს სამუშაოები, ხოლო თვით სამუშაოთა თანმიმდევრობა და მათი ხანგრძლიობა ატარებს ფორმალურ ხასიათს და ხშირად იცვლება.

აქ არსებული შინაგანაწესი საჭიროებს შესწორებას, რად-გან დილის სამუშაოებში ამოღებულია ისეთი აუცილებელი სამუშაო, როგორცაა ფურების წმენდა და სხვა. სწორედ ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ ცვლაში ყველაზე მცი-რე დრო მოდის დილის სამუშაოებზე, მაშინ როცა პირიქით უნდა იყოს.

ერთცვლად მუშაობა ნაკლებ ეფექტურია და ხასიათდება ნაკლოვანებებით. კერძოდ, სამუშაო დღე გაჭიანურებულია.

მთელ რიგ მოწინავე კოლმეურნეობებში დადებითი შედეგები გამოიღო მწველავების, მეხბორეებისა და მწყემსების ორცვლად მუშაობის შემოღებამ. ორცვლად მუშაობა საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ ფურების მოვლა, შევამციროთ წველის რიცხვი და შევამჭიდროოთ მწველავეის სამუშაო დღე.

ორცვლად მუშაობის ორგანიზაცია მოითხოვს სათანადო ზოსამზადებელი სამუშაოების გატარებას, როგორცაა ფურების პროდუქტიულობის დადგენა, მწველავეთა კვალიფიკაციის ამაღლება, მწველავეთა შესაბამისი წყვილების შერჩევა და სხვა.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორცვლიანი მუშაობის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ფერმის მუშაკთა საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. ორცვლიანი მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია იმ კოლმეურნეობებში, სადაც დანერგილია მექანიზებული წველა.

მეცნიერების მოწინავე მიღწევებისა და უახლესი სწავლო-სამეურნეო ტექნიკის ფართოდ გამოყენებით სისტემატურად უნდა გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია.

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერებში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია ჯერ კიდევ ნაკლებად არის დანერგილი. აქ მხოლოდ ორი პროცესი ტარდება მექანიზებული წესით—ფურების დაწყურება და ნაკელის კიდული გზით გაზიდვა. არის ცდა ფერმაში ელექტროწველის დანერგვისა, მაგრამ ამისათვის ჯერ წინასწარი პირობებიც კი არ არის შექმნილი, არა აქვთ საწველი აპარატები სრულად და სხვა. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს.

ზრომადღე და მისი ანაზღაურება. გამოფუშავების ნორმები და ფუფასება.

შრომადღე წარმოადგენს შრომის საზომს კოლმეურნეობაში, რომელიც სწორად ათავსებს კოლმეურნეთა პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს და გამოხატავს წარმოებითი

ურთიერთობის სოციალისტურ ტიპს სოფლის მეურნეობაში.

განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელებაში შრომადლის საშუალებით დიდი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმეში. შრომის ანაზღაურება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისა და კომუნისებში გადასვლისათვის. სოფელ ზემო მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო არტელში სულ უფრო და უფრო იზრდება კოლმეურნეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში და ამის შესაბამისად შრომადლის ანაზღაურება. თუ 1950 წელს შრომადლეებზე გაიცა მთელი მარცვლეულის 26.7%, მზესუმზირის 34.8%, ყურძნის 34.1% და ფულადი შემოსავლის 26.5%, კოლმეურნეობამ გაცილებით მეტი პროდუქტები გასცა 1954 წელს—მთელი მარცვლეულის 36.3%, მზესუმზირის—48.5, ყურძნის 53.5 და ფულადი შემოსავლის 49 პროცენტი.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდამ უფრო ნეტად შეუწყო ხელი მაჩხაანელ კოლმეურნეთა შეძლებულ და საამურ ცხოვრებას, მათ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ახლა კოლმეურნეები შრომადლეებზე ბევრად უფრო მეტ ფულსა და პროდუქტებს ღებულობენ, ვიდრე წინა წლებში.

ცხრილი № 13

გაიცა საშუალოდ ერთ შრომადლეზე

№№ რიგ.	დასახელება	1935	1940	1950	1952	1953	1954	1955
1	ფული (მან.)	0,88	3,68	2,0	3,0	9,0	2,7	5,5
2	მარცვალი (კგ)	4,43	0,82	3,00	8,0	7,22	5,45	6,3
3	ყველი (კგ)	0,062	0,07	0,082	0,051	0,13	0,06	0,5
4	ღვინო (კგ)	—	—	0,12	0,114	0,52	0,32	0,11
5	მზესუმზირა (კგ)	—	0,34	0,42	0,61	0,6	0,84	1,0
6	ხორცი	—	—	—	—	—	—	0,3

გარდა აღნიშნული პროდუქტებისა, კოლმეურნეები შრომადღებზე ლეზულობენ ზატყუს, ერბოს, კარტოფილს და სხვა.

განაწილების სოციალისტური პრინციპი „თითოეულისა—გან—მისი უნარის მიხედვით, თითოეულს—მისი შრომის მიხედვით“ წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპს, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ასევე სოფლის მეურნეობაშიც.

გამომუშავების ნორმები საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის და დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. უამისოდ შეუძლებელია კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვა რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელება.

კოლმეურნეობაში ყოველი სამუშაო გამომუშავების ნორმების მიხედვით ფასდება შრომადღებში. შრომადღებების შეფასება ხდება კოლმეურნის კვალიფიკაციის, სამუშაოს სირთულის, სიძნელისა და არტელისათვის მისი მნიშვნელობის მიხედვით.

ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის დაწესებულია გამომუშავების ნორმები, რომელთა შესრულება შეუძლია კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნე მუშა პირუტყვის, მანქანების და ნიადაგის მდგომარეობის გათვალისწინებით. გამომუშავების ნორმები კოლმეურნეობაში ეთანაბრება საშუალო პროგრესულ, ანუ მოწინავეთა გამომუშავების ნორმებს.

გამომუშავების ნორმების მიხედვით დგება შრომადღებების ხარჯვის წლიური გეგმა ცალკე დარგებისა და კულტურების მიხედვით. შრომის შედეგები აღირიცხება ცალკე ბრიგადების მიხედვით მიღებული მოსავლის გათვალისწინებით.

კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება

მარცვლელი კულტურების უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური

პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას კოლმეურნეთა და მტსების წუშათა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით წამახალისებელ ღონისძიებათა ნეპოლების შესახებ.

სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „სოციალისტური წყობილების განვითარებისა და კომუნისმში გადასვლის პერიოდში მეურნეობა უნდა ვაშენოთ არა უშუალოდ ერთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ერთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესებზე, პირად დაინტერესებაზე, საპეურნეო ანგაჟიშიანობაზე დაყრდნობით“¹.

კოლმეურნეთა შრომითი აღმავლობა განაპირობებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მათს აქტიურ მონაწილეობას. როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, — „თუ ყველა კოლმეურნე, ყველა და არა მხოლოდ უმრავლესობა, — პატიოსნად იმუშავენ, კოლმეურნეობანი აივსებიან პროდუქტებით, ისინი აივსებიან ყოველგვარი დოვლათით, და ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა გახდება“.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ახლა იქითკენა მიმართული, რომ ამალდეს კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მათი მუშაკების მატერიალური დაინტერესება საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ნატურანაზღაურების წესების შეცვლა, დაგეგმვის ახალი წესი და სხვა ღონისძიებანი სწორედ ამ მიზანს ისახავს.

1954 წელს შრომის დამატებითი ანაზღაურება მიიღო მემინდვრეობის ორმა ბრიგადამ, 5 რგოლმა, 75 ტრაქტორისტმა და კომბაინერმა, მეცხოველეობის 25 მუშაკმა, სულ შრომის დამატებით ანაზღაურებაზე გაცემულ იქნა მარცვლეული 1224 ცენტნერი, მზესუმზირა 51 ცენტნერი და ღვინო 33.823 ლიტრი.

1 ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 33, გვ. 46, თბილისი, სახელგამი.

პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ღონისძიებანი შრომის ნაყოფიერების წრდის ერთ-ერთ სტიმულად გადაიქცა.

მოწინავე კოლმეურნე ვანო გოგილაშვილის ოჯახმა 1740 შრომადღე გამოიმუშავა, რაზედაც მიიღო 139,2 ცენტნერი ხორბალი, 10,4 ცენტნერი მზესუმზირა, 0,9 ცენტნერი ყველი, 348 ლიტრი ღვინო და 5220 მანეთი ფული. იოსებ ჯანაშვილის ოჯახმა 1524 შრომადღე გამოიმუშავა და 12,2 ტონა მარცვლეული, 0,8 ცენტნერი ყველი, 304 ლიტრი ღვინო, 9,1 ცენტნერი მზესუმზირა და 4572 მანეთი ფული მიიღო. ნიკა ბოსტაშვილმა გამოიმუშავებულ შრომადღეებზე მიიღო 8,2 ტონა ხორბალი, 6,8 ცენტნერი მზესუმზირა, 0,7 ცენტნერი ყველი და სხვა. ასევე დიდი რაოდენობით მიიღეს კოლმეურნეობიდან პროდუქტები და ფული გოგია გოგილაშვილმა, შაქრომამულაშვილმა და სხვებმა.

ნეცხვარეობის ფერმის მწყემსმა ზაქარია მენტეაშვილმა შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით კოლმეურნეობიდან მიიღო 233 კგ მატყლი, 246 ლიტრი რძე და 1264 მანეთი ფული, ხოლო ლადო ბენაშვილმა — 154,8 კგ მატყლი, 270 ლიტრი რძე და 1200 მანეთი ფული.

შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისათვის საჭიროა ყურადღება გადამახვილოთ ერთ საკითხზე. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის მდგომარეობა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ახალგაზრდა კადრების დენადობას, ამიტომ კოლმეურნეობებში და მათ შორის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში უნდა დაისახოს საერთო ღონისძიება ახალგაზრდა მუშახელის დამაგრების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საჭიროა დაწესდეს ყოველთვიური აევანსირების პრაქტიკა და შრომის ანაზღაურების საგარანტიო მინიმუმი, წახალისების ყველა ღონისძიებით, გამარტივდეს აღრიცხვა-ანგარიშსწორების საქმე. მინიმუმამდე შემცირდეს ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალი და მათი ხარჯები, გაიზარდოს შრომადღეების გასანაწილებელი პროდუქტებისა და თანხების წილი, ფართოდ იქნეს გამოყენებული შრომის დამატებითი ანაზღაურება.

მმართველობის ორგანიზაცია და პარტიულ-კოლმეურნეობის მუშაობა

მმართველობის ორგანიზაცია და კადრები

არტელის საქმეების მართვაში უმაღლეს ორგანოდ ითვლება კოლმეურნეთა საერთო კრება, ხოლო კრებიდან კრებამდე— კოლმეურნეობის გამგეობა.

დიდი და რთული მეურნეობის მართვა ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილებას და ცოდნას.

იმაზე, თუ როგორია კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ბირთვი, ვინ არიან არჩეული მის შემადგენლობაში, როგორ ხელმძღვანელობენ და წარმართავენ ისინი კოლმეურნე მასებს, დიდადაა დამოკიდებული კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდა.

კოლმეურნეობათა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სას. სამ. არტელის წესდების მტკიცედ დაცვისა და განხორციელების შედეგად სწრაფად ვითარდება საზოგადოებრივი მეურნეობა, სრულადაა გამოყენებული მთელი საწარმოო შესაძლებლობანი, განუხრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება და ამ ბაზაზე—კოლმეურნეთა კეთილდღეობა.

კოლმეურნეობის გამგეობამ სერიოზულად მოკიდა ხელი შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომაში არაკეთილსინდისიერ კოლმეურნეთა წინააღმდეგ ბრძოლას და საკოლმეურნეო დემოკრატიული პრინციპის მტკიცედ განხორციელებას.

კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში დიდ როლს ასრულებს სარევიზიო კომისია. რომელიც ბეჯითი და პრინციპული, მოწინავე კეთილსინდისიერი კოლმეურნეებისაგან შედგება.

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია უზრუნველყოფს გამგეობის საქმიანობის რევიზიას, იცავს საკოლმეურნეო სა-

კუთრებას ყოველგვარი ხელყოფისაგან, აქტიურად ეხმაურება კოლმეურნეთა სიგნალებს, ზუსტს კონტროლს აწესებს. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად შესრულებისადმი, იბრძვის განიავება-დატაცების ლიკვიდაციისათვის და სათავეში უდგას ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას.

მაჩხაანელები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ პარტიის მითითებას იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებს, როგორც მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას, შეუძლიათ გვიჩვენონ სამეურნეო მშენებლობის სასწაულები, თუ მათ სათავეში დგანან ნამდვილი კომუნისტები.

არტელის გამგეობის შემადგენლობაში არჩეულია 11 კაცი, ყველა ისინი გამოცდილი, პატიოსანი და აქტიური კოლმეურნეები არიან.

გარდა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და გამგეობის წევრებისა, კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობენ:

მემინდვრეობის ბრიგადირი—13, მეცხოველეობის ფერმის გამგე და ბრიგადირი—52, აგრონომი—3, ზოოტექნიკოსი—1, ვეტექიმი—1, ვეტფერშალი—5, აღრიცხვის დარგის მუშაკი—6, მომსახურე პერსონალი—8, ბიბლიოთეკარი და საბავშვო ბაღისა და ბაგის გამგე—5.

მემინდვრეობის 13 ბრიგადირიდან 10 ბრიგადირს სამ წელზე მეტი ხნის მუშაობის სტაჟი აქვს, ხოლო ორს—ერთიდან სამ წლამდე. მეცხოველეობის ფერმებში მომუშავე 52 მუშაკიდან 25 სამ წელზე მეტია აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობს, ხოლო 7 კი ერთიდან სამ წლამდე. ასევე დიდი საწარმოო სტაჟი აქვთ აგროტექნიკოსებს, ვეტექიმებს, ზოოტექნიკოსებს და საანგარიშო დარგის მუშაკებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი და თავმჯდომარის მოადგილე მ. კობიაშვილი 15 წელზე მეტია აღნიშნულ კოლმეურნეობაში მუშაობენ და ენერგიულად იბრძვიან საზოგადოებრივი მეურნეობის წინსვლისათვის.

კადრების გამოყენების საქმეში ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლად

რჩება ის, რომ 77 მუშაკიდან, რომელნიც კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობენ, მხოლოდ ორია ქალი.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებს შორის ფუნქციები განაწილებულია შემდეგნაირად: კოლმეურნეობის თავმჯდომარე წარმართავს რა გამგეობის მთელ მუშაობას, ამავდროს მემინდვრობის, მეცხოველეობის, საფინანსო დარგისადმი და -დამხმარე საწარმოებისადმი ხელმძღვანელობას ანხორციელებს მოადგილის, აგრონომის, ზოოტექნიკოსის და უფროსი ბულალტრის მეშვეობით.

კოლმეურნეობის აგრონომი ხელმძღვანელობს მემინდვრობისა და მევენახეობის ბრიგადებს, ზოოტექნიკოსი — მეცხოველეობის ფერმებს, თავმჯდომარის მოადგილე — დამხმარე საწარმოებს და ტრანსპორტს და ბულალტერი — საფინანსო-საადრეცხოვო დარგს.

კოლმეურნეობის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს ბრიგადირების, საწყობის გამგეების, დამხმარე საწარმოთა ხელმძღვანელებისა და ფერმების გამგეების შერჩევის საქმეს. აღნიშნულ სამუშაოზე კოლმეურნეობაში დაწინაურებულნი არიან კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე, სათანადო გამოცდილებისა და ნდობით აღქმული კოლმეურნეები.

კადრების გულდასმით შერჩევა - განაწილებამ დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდასა და კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის აღმავლობას.

კოლმეურნეობის გამგეობა დროულად ადგენს წლიურ საწარმოო გეგმებს, გამომუშავების ნორმებს, განაგებს ფულადი სახსრების. დაწინაურებისამებრ ხარჯვას, ხელმძღვანელობს აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას, ატარებს საწარმოო თათბირებს, ადგენს და ბრიგადებამდე დაყავს სეზონური სამუშაო გეგმები, უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმებას, ხელმძღვანელობს მეცხოველეობის დარგს, იბრძვის მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, წარმართავს საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობას, დებს ხელშეკრულებას მტს-თან, იცავს საკოლმეურნეო საკუთრებას ხელყოფისაგან, დროულად აწარმოებს

ანგარიშსწორებას კოლმეურნეებთან, უზრუნველყოფს სახელმწიფო დამზადებათა გეგმების შესრულებას, იბრძვის კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სათავეში უდგია სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

კოლმეურნეობაში თვეში ერთხელ ტარდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, ხოლო გამგეობის სხდომები საკიროებისამებრ. კრებებზე და სხდომებზე საკითხები იხილება კოლმეურნეობის აქტუალური ცხოვრებიდან. საკითხები წინასწარ გულისხმეირად მზადდება, მის მომზადებაში ფართოდაა ჩაბმული საკოლმეურნეო აქტივი, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეთა აქტიურ მონაწილეობას კრებებზე და კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას.

უშჯობისადაა კოლმეურნეთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობანი

საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობის შედეგად საგრძობლად გაუმჯობესდა კოლმეურნეთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობები.

ყოველმხრივ კეთილმოწყობილია სოფელი მაჩხაანი. კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ, ყველა მათგანს აქვს ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 410 კოლმეურნემ აიშენა 3—4-ოთახიანი სახლი. კოლმეურნეთა ეზოებში ნახავთ მათი დანაზოგით შენაძენ მსუბუქ ავტომანქანებს.

სოფელში, სადაც წინათ თითო-ოროლა წერა-კითხვის მცოდნე თუ მოიპოვებოდა, ამჟამად 80 კაცი უმაღლესი განათლებითაა. მუშაობს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა 626 ზე მეტი მოსწავლით. სკოლაში 45-ზე მეტი მასწავლებელია, ყველა ისინი ადგილობრივი მკვიდრნი არიან.

სოფლის ქუჩები მოკირწყლულია; მუშაობს რადიო, იბანო, კლუბი, მოწყობილია სპორტული მოედანი, ხშირად ეწყობა კინოსურათების ჩვენება.

თუ წინათ ზემო მაჩხაანელები სოფელ არბოშვიდან და ფანიაანიდან ეზიდებოდნენ სასძელ წყალს, ახლა თავწყაროდან გამოყვანილი ანკარა წყაროს წყლით სარგებლობენ ისინი. წყალსადენის მშენებლობაზე 1.300 ათასი მახეთი დაიხარჯა. 1956 წლის პირველ სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კულტურის სახლი, რომელიც 2 მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა.

მოწყობილია საექიმო უბანი, აფთიაქი, საავადმყოფო, რომელთაც 10-ზე მეტი ექიმი და სამედიცინო დარგის სხვა მუშაკი ემსახურება.

მუშაობს აგრო და ზოოვეტუბნები, საბავშვო ბაღი და ბაგა-სხვადასხვა თვითმოქმედი წოდებები და სხვა.

მიჰდინარეობს სოფლის გაიწვანების, გზების კეთილმოწყობის და პარკის მშენებლობის სამუშაოები.

საკოლმეურნეო პირველადი პარტიულ-კომპარტიული ორგანიზაციები და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

კოლმეურნეობის წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და კოლმეურნეთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში უშუალოდ დაკავშირებულია პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობასთან.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია 110-ზე მეტ წევრსა და კანდიდატს აერთიანებს. კომუნისტები კოლმეურნეობაში გამოყენებული არიან გადანწვევტ უბნებზე. მემინდერეობის ბრიგადის ბრიგადირებად მუშაობს 9 კომუნისტი, მეცხოველეობის ფერმის გამგებად—5, ბრიგადირებად მეცხოველეობის ფერმებში—25, საწყობის გამგედ და სხვა თანამდებობებზე—6. დანარჩენები კი გაერთიანებული არიან ბრიგადებში და დაჯალაფ შრომას ეწევიან უბეი და მყარი მოსავლის მისაღებად, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაღიდებლად.

მნიშვნელოვნად იზრდება კომუნისტების ავანგარდული როლი. თუ ერთმა შრომისუნარჩანმა კოლმეურნემ 1955 წელს

საშუალოდ გამოიმუშავა 303 შრომადღე, კომუნისტებმა გამოიმუშავეს სულ 55000 შრომადღე, ე. ი. თითოეულმა საშუალოდ 500 შრომადღე.

პარტიული ბიუროს სხდომაზე და პარტიულ კრებებზე ხშირად იხილება საკითხები პარტიული განათლების ქსელში სწავლების მიჰდინარეობის, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის, კომუნისტების ავანგარდული როლის, შემინდვრების ბრიგადებში მალალი მოსაკლის მიღების, მეცხოველეობის ფერჩებში პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის აჰალლების ღონისძიებების, საკოლმეურნეო შრომაში კომკავშირელთა მონაწილეობის, ნათესების დაჰუშავების მიმდინარეობისა და სხვათა შესახებ.

კომუნისტები და კომკავშირელები ყოველდღიურად იმადლებენ თავიანთ კვალიფიკაციას. ჩერგავენ მოწინავეთა გამოცდილებებს და ეწეიან სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას კოლმეურნეთა შორის.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ეწეობა მოხსენებები და საუბრები, გაზეთების ხმამალალი კითხვა, გამოდის კედლის გაზეთი და დიდი ყურადღება ექცევა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ცენტრალური, რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების გავრცელებას. კლუბისა და ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებას.

ხშირად ტარდება ღია პარტიული კრებები, სადაც ფართო საკოლმეურნეო აქტივი მონაწილეობს. პარტიული კრება წინასწარ გულდასმით მზადდება, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ კრებებზე ფართოდაა გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან.

როგორც ცნობილია, კომკავშირის ძალა პარტიულ ხელმძღვანელობაშია. ამიტომ პარტიული ბიურო დიდ ყურადღებას უთმობს კომკავშირს. კოლმეურნეობის კოქავშირული ორგანიზაცია მოავალრიცხოვანია. დიდია მათი როლი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის და განმტკიცების საქეში, ზეიო მაჩიდანელი კომკავშირელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით სასახელოდ მუშაობენ მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერჩებში.

კომკავშირელებმა, გაეცვენენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ვალდებულება აიღეს სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეობის ახალგაზრდობაში სოციალისტურ შეჯიბრებას და ყოველდღიურად იბრძოლონ მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია ანხორციელებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, რაზმავს და წარმართავს მთელ ძალებს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, ისე როგორც პარტიის XX ყრილობა მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობისათვის ბრძოლის საქაეში.

თ ა ვ ი X I

კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა (1956—1960 წ. წ.)

დაგეგმვის ახალი წესი და მისი მნიშვნელობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილება „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“ მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლმეურნეობების, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

როგორც მთელი სახალხო მეურნეობა, ისე სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობა სოციალიზმის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს

წარმოადგენს, მაგრამ სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობა ნიშნავს იმას, თითქოს ცენტრალური მგეგმავი ორგანოები აწესრიგებდნენ საქმიანობის ყველა მხარეს და ამით ზღუდავდნენ, ხელს უშლიდნენ ადგილობრივი მუშაკების შემოქმედებით ინიციატივას.

ხშირი იყო შექთხვევები, როდესაც შაბლონურად, განკარგულებებით ავალებდნენ კოლმეურნეობებს ამა თუ იმ ღონისძიების გატარებას, არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივ თავისებურებებს, კლიმატური და ნიადაგობრივ პირობებს, პერსპექტულ დარგებსა და კულტურებს, კოლმეურნეთა გამოცდილებას და სხვა.

იმ მცდარმა ღონისძიებებმა, რაც დაკავშირებული იყო რესპუბლიკის საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოფის პრობლემასთან, მცირეოდენი ზიანი როდი მოუტანა შემომაჩხაანის კოლმეურნეობას. კოლმეურნეობა იძულებული იყო სახანავი მიწების ხელალებით გაფართოების აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაეხნა საზამთრო საძოვრები და სათიბები, მკვეთრად გაედიდებინა მარცვლეულის ნათესები და შეემცირებინა მეცხოველეობისათვის საკვები რესურსები.

ნიადაგურ-კლიმატური პირობების გაუთვალისწინებლად თავს ახვევდნენ ზოგიერთი კულტურის წარმოების აუცილებლობას, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებულნი არ იყვნენ ამ კულტურების პერსპექტიულობაში, — კერძოდ, საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების მოყვანის დარგში.

მეცხოველეობის საკვები ბაზის და კოლმეურნეობის შესაძლებლობის შესწავლის გარეშე პირუტყვის სულადობის ხელალებით ზრდის დაგეგმვამ გამოიწვია ის, რომ, მართალია, იზრდებოდა პირუტყვის სულადობა, ხშირ შემთხვევაში შესყიდვის და არა საკუთარი ჯოგის რეპროდუქციით, მაგრამ მწაშენელოვნად შემცირდა ძროხების სულადობა, პროდუქტიულობა, ანგარიში არ ეწეოდა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას.

არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა, რომ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მაგიერ მარცვლეულის თუ მეცხოველეობის პრო-

დუქრების სავალდებულო და სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხარჯზე ასრულებდნენ.

იმის გამო, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგური კმაყოფილდებოდა გეგმის შესრულებით მხოლოდ პირობით რბილ ხვნაზე გადაყვანით, ადგილი ჰქონდა ხარვეზებს.

საკმაო ყურადღება არ ექცეოდა აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების ვადებსა და ხარისხს, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მოსავლიანობაზე.

არ ხდებოდა კოლქორნეთა საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინება მინდვრისა და საკვები თესლბრუნვების შექოლებისა და დანერგვის საქმეში. პირიქით, ზოგჯერ კოლმეურნეობას თავზე ახვედნენ მათი პირობებისათვის გამოუსადეგარ აგროლონისძიებებსა და თესლბრუნვებს.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა დაგეგმვის დროს ერთი უკიდურესობა მეორე უკიდურესობას იწვევდა. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ თესლბრუნვის ის ვარიანტი, რომელიც კოლმეურნეობამ შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა ჯერ კიდევ 1940 წელს, 1950 წელს ხელალებით, კოლმეურნეთა თანხმობის გარეშე იქნა ამოღებული, რამაც კოლმეურნეთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

დიდი ლენინი გვასწავლიდა: „შეცდომა იქნებოდა, ჩვენ რომ შ.ბლონურად გადაგვეწერა დეკრეტები რუსეთის ყველა ადგილისათვის...“ „უდიდესი სისულელე იქნება, რომ ცენტრალური რუსეთი, უკრაინა და ციმბირი გავაშაბლონოთ. გარკვეულ შაბლონს დაუქვემდებაროთ“ „...არავითარ შემთხვევაში არ შევიზღუდოთ თავი შაბლონით, — არ ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ რაიონის, მაგალითად ჩვენი ქვეყნის ცენტრის, გამოცდილება მთლიანად გავავრცელოთ ყველა განაპირა მხარეზე. საჭიროა აუცილებლად გავითვალისწინოთ ადგილების თავისებურებანი“.

პარტიამ და მთავრობამ გადაჭრით დაგმეს ბიუროკრატიული დ მახინჯებანი სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში. დაწესდა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა უნდა იწყებოდეს უშუალოდ კოლმეურნეობებში მტს-ებთან

ერთად და წარმოებდეს მიწის სავარგულების უკეთ გამოყენების გათვალისწინებით. ამასთან ანგარიში უნდა წარმოებდეს მემცენარეობიდან და მეცხოველეობიდან მიღებული პროდუქტების რაოდენობის მიხედვით.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამტკიცებს, უნდა ითვალისწინებდეს იმ პროდუქციის დამზადების მოცულობას, რომელსაც იღებენ სავალდებულო ჩაბარებაში, მტს-ების მუშაობისათვის ნატურ-ანაზღაურების, კონტრაქტაციისა და შესყიდვის სახით, აგრეთვე სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობას.

დაგეგმვის ახალი წესის მიხედვით მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პერსპექტიული გეგმის შემუშავებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორ გაადგილებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონების მიხედვით. ამასთან ერთად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები უნდა იგეგმებოდეს უფრო ხანგრძლივი ვადით.

დაგეგმვის ახალი წესის უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ სახელმწიფოს ხელში რჩება რა სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობა, იგი საშუალებას იძლევა გავაძლიეროთ სოციალისტურ სას. სამ. წამოწყებათა ხელმძღვანელობის ინიციატივა ადგილობრივ საწარმოო შესაძლებლობათა გამოყენების საქმეში.

ვინაიდან სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს საკოლმეურნეო პროდუქციის მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი, კოლმეურნეობი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უკეთ გამოიყენონ მიწა, გაადიდონ პროდუქციის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სას. სამ. სარგებლობის მიწაზე, ამასთან პროდუქციის ერთეულზე დახარჯონ რაც შეიძლება ნაკლები შრომა და სახსრები.

სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესი მთლიანად გაზოდის სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური ამოცანის მოთხოვნებიდან — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების საქმეში.

ჩვენი წლიური და ხუთწლიანი გეგმები უნდა პასუხობდეს სახალხო მეურნეობის ეკონომიური ამოცანის ძირითად მოთხოვნას. ამიტომ იმაზე, თუ რამდენად ზუსტად შევისწავლით, დავეუფლებით და სწორად გამოვიყენებთ სოციალიზმის ეკონომიურ ამოცანას გეგმების შედგენის საქმეში, დიდადაა დამოკიდებული სწორი, კმედიითი გეგმების შედგენა.

პერსპექტიული გეგმა მთელი სახალხო მეურნეობის და გეგმარების საერთო სისტემაში ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს, ხოლო კოლმეურნეობაში სამეურნეო ორგანიზაციული განმტკიცებისა და საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას შეადგენს.

კოლმეურნეობაში გეგმის აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ 1933 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი აღნიშნავდა, რომ კოლმეურნეობა არის მსხვილი მეურნეობა. მაგრამ მსხვილი მეურნეობის გაძლოა უგეგმოდ არ შეიძლება. მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობას, რომელიც მოიცავს ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასეულ კომლს, შეიძლება გავუძღვეთ მხოლოდ გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით.

მაჩხაანის კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება თავისი არსებობის ოცდაცხრა წლის მანძილზე მუდამ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მოთხოვნილებათა შესაბამისად ხორციელდება. კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებდა განვლილი ხუთწლებების დავალებებს, ამეამად წარმატებით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანერის პლენუმის და პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას 1956—1960 წლების პერსპექტიული გეგმის მიხედვით.

მარცვლელის წარმოების ბაღიღებისა და მინდვრის თესლბრუნვის ღარჭში

კოლმეურნეობაში მარცვლელი კულტურების წარმოება პერსპექტიული გეგმის მიხედვით კვლავ წინა პლანზე დგას. კოლმეურნეობის გამგეობამ კოლმეურნეებთან ერთად ყოველ-მხრივ შეისწავლა ფართობების სტრუქტურა და თითოეული კულტურის მნიშვნელობა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

არსებულ შესაძლებლობათა ღრმად შესწავლის საფუძველზე კოლმეურნეები იმ დასკვნაზე მივიდნენ, რომ მათ შეუძლიათ უკვე 1957 წელს მკვეთრად გააძლიერონ მარცვლელის წარმოება და შექმნან წინაპირობები იმისათვის, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში მკვეთრად გაზარდონ მარცვლელის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი ცვლილებები მოხდება საბნავი ფართობების სტრუქტურაში, რა ადგილს დაიკავებს მარცვლელი კულტურები და მათ შორის სიმინდი, როგორი იქნება კულტურათა მოსავლიანობა და მარცვლელის საერთო პროდუქცია კოლმეურნეობის მიერ მიღებულ თესლბრუნვაზე გადასვლის გეგმის გათვალისწინებით, ნაჩვენებია № 14 ცხრილში.

როგორც აღნიშნული ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მარცვლელი კულტურების საერთო ნათესი ფართობები 1960 წელს 1955 წელთან შედარებით არ დიდდება, ხოლო მარცვლელის საერთო გამოსავლიანობა იზრდება 21,8 პროცენტით, რაც განხორციელდება მოსავლიანობის გადიდებით.

მარცვლელ კულტურებს შორის ძირითად ადგილს იკავებს შემოდგომის ხორბალი, ვინაიდან აღნიშნულ კოლმეურნეობაში და მთლიანად წითელწყაროს რაიონში ამ ძვირფასი სასურსათო კულტურისათვის გაცილებით უკეთესი პირობებია. წითელწყაროს რაიონი დამსახურებულად ითვლება რესპუბლიკის ბელლად.

სიმინდის ნათესების გაფართოება გათვალისწინებულია 99 პროცენტით, მისი მოსავლიანობის გადიდება — 68,5 პროცენტით და მეტად.

პერსპექტიული გეგმა კოლმეურნეობაში 1960 წლისათვის ითვალისწინებს მინდვრის სამი ტესლბრუნვის შემოღებას.

მინდვრის პირველ ცხრამინდვრიან ტესლბრუნვაში გათვალისწინებულია კულტურების შემდეგი მორიგეობა:

- 1) მრავალწლიანი ბალახები პირველი წლ.
- 2) მრავალწლიანი ბალახები მეორე წლ.
- 3) შემოდგომის ხორბალი;
- 4) შემოდგომის ხორბალი
- 5) სიმინდი + მზესუმზირა
- 6) შემოდგომის ხორბალი
- 7) შემოდგომის ხორბალი
- 8) ანეული
- 9) შემოდგომის ხორბალი მრავალწლიანი ბალახების

შეთესვით.

მეორე ათმინდვრიანი ტესლბრუნვა დაპროექტებულია კულტურების შემდეგი მორიგეობით;

- 1) მრავალწლიანი ბალახები პირველი წლ.
- 2) მრავალწლიანი ბალახები მეორე წლ.
- 3) შემოდგომის ხორბალი;
- 4) შემოდგომის ხორბალი;
- 5) სიმინდი + მზესუმზირა.
- 6) შემოდგომის ხორბალი;
- 7) სიმინდი + მზესუმზირა
- 8) შემოდგომის ხორბალი
- 9) მზესუმზირა

10) შემოდგომის ხორბალი ბალახების შეთესვით.

მინდვრის მესამე ათმინდვრიან ტესლბრუნვაში კულტურების მორიგეობა გათვალისწინებულია ისე როგორც ზემოთ მოყვანილ მინდვრის მეორე ათმინდვრიან ტესლბრუნვაში.

მინდვრის პირველი ტესლბრუნვა გათვალისწინებულია „თელათწყლის“ მასივზე 1247 ჰექტარ ფართობზე, ხოლო მეორე ტესლბრუნვა დიდნაურის მასივზე — 3820,31 ჰექტარზე. ამ მასივებს შორის მანძილი 35—40 კილომეტრია. მესამე ტესლბრუნვა მოეწყობა ტარიბანის წინდვრებში.

აღნიშნული ტესლბრუნვების ათვისების პერიოდში მარც-

ვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები დაიკავებს სულ 4887,86 ჰექტარს, მათ შორის შემოდგომის ხორბალი დაითესება 3598.63 ჰექტარზე (ანუ მთელი ფართობის 73,6%) და სიმინდი 1162,12 ჰექტარზე (მთელი ფართობის 23,9%), თითქმის ორჯერ მეტ ფართობზე, ვიდრე 1955 წელს, მზესუმზირა—839.69 ჰექტარზე, 31,8 პროცენტით მეტ ფართობზე 1955 წელთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული თესლბრუნვების ათვისების პერიოდში შეიძლება ადგილი ექნეს სიძნელეებს უმთავრესად საკირო რაოდენობის ბალახის თესლით უზრუნველყოფის საქმეში. კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის და წლიური საწარმოო გეგმის შედგენისას ზუსტად დაიცვას თესლბრუნვებში გათვალისწინებული კულტურების მორიგეობა.

სამწუხაროდ, არის ისეთი ტენდენცია, როცა მარცვლეულის ფართობებს ადიდებენ ბალახების ფართობების შემცირების ხარჯზე. თუ ეს მდგომარეობა მოსათმენია ახლა, გარდამავალ პერიოდში, როცა მრავალწლიანი ბალახები მინდვრის თესლბრუნვაში მორიგეობის დროს ჯერ კიდევ არ იქერს მისთვის განკუთვნილ ადგილს, ეს პრაქტიკა არაფრით არ იქნება გამართლებული თესლბრუნვის მთლიანად ათვისების პერიოდში.

უნდა შევნიშნოთ, რომ წითელწყაროს რაიონის პირობებში და კერძოდ მაჩხაანის კოლმეურნეობაში სიმინდის კულტურის თესვა ამ უკანასკნელ წლებში წინა წლებთან შედარებით იგეგმება ფართო მასშტაბით, ამიტომ საკირო-სერიოზულად მოვეპყროთ ამ საქმეს, რადგან აქაური კლიმატური პირობების თავისებურების გამო გამორიცხული არ არის გვალვები, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც სიმინდი ყველაზე მეტად საკიროებს წყალს, ხოლო როგორც ცნობილია, რაიონის სახანავ-სათესი მიწები ურწყავია.

მარცვლეული კულტურების მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნება 20 ცენტნერი მოსავალი 1955 წლის 16,4 ცენტნერის ნაცვლად.

კომლემენტების პერსექტულა გეგმის ძირითადი მაჩვენებლები

№ რიგ.	დასახელება	ზომის ერთეული	იყო ფაქტ. 1955 წელს	ბ ე ბ მ ი თ		% 1960 წელს 1955 წელთან შედარებით
				1956 წ.	1960	
1	სულ მარცვლული და პარკოსანი სულ მოსავალი მოსავალი ერთ ჰექტარზე მ. შ. შემოდგომის ხორბ. %/საერთო ფართობთან სიმინდი %/საერთო ფართობთან შესუმხირა	ჰექტ. ცენტ. ჰექტ. ჰექტ. ჰექტ. ცენტ. " ჰექტ. ცენტ. " სული "	4885 80222 16,4 3560 72,9 586 12,0 637 10574,2 16,6 90 6400 96 2600 730 28,1 795,8	4885 87930 18,0 4000 81,9 600 12,3 600 10,200 17,0 100 6800 97 2600 800 30,8 1050,0	4887 97740 20,0 3598,63 73,6 1166,12 23,9 839,69 14692,8 17,5 120 10,000 100,0 2600 1000 38,5 1880,0	100,0 121,8 121,9 101,1 199,0 131,8 138,9 105,4 133,3 156,2 104,2 100,0 137,0 236,2 169,2
2	შესუმხირა	ჰექტ.	637	600	839,69	131,8
3	სულ მოსავალი მოსავალი ერთ ჰექტარზე ვენახი	ცენტ. " ჰექტ.	10574,2 16,6	10,200 17,0	14692,8 17,5	138,9 105,4
4	სულ მოსავალი მო. ჯული ერთ ჰექტარზე მ. შ. ძროხა %/საერთო სულადობაში ძროხის რძე მთლიანად ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა	ჰექტ. " სული " ათას. ლიტ. ლიტრ.	6400 96 2600 730 28,1 795,8	6800 97 2600 800 30,8 1050,0	10,000 100,0 2600 1000 38,5 1880,0	156,2 104,2 100,0 137,0 236,2 169,2

1	2	3	4	5	6	7
5	ცხვარი და თხა ყველა ასაკის მ. შ. დედა ცხვარი % საერთო სულადობაში ცხვრის რძე მატყელი საშუალო მატყლის ნაპარსი ერთ ცხვარზე	სული " ათას ლიტ. ცენტ.	25397 14966 58,9 120,0 665,0	23841 16500 69,2 135,0 755,0	25000 18000 72,0 160,0 1000,0	98,4 120,3 133,3 150,4
6	ლორი ყველა ასაკის მ. შ. დედა ლორი % საერთო სულადობაში	კმ სული "	3,3 1014 200	3,5 900 200	4,0 1000 200	121,2 98,6 100,0
7	ფრინველი ყველა სახის კვერცხი სულ საშუალო კვერცხდება ერთ დე- დალზე	ფრთა ათას ცალ.	19,7 4679 89,1	22,2 6000 120,0	20,0 20.000 672,0	427,4 754,2
8	ფულადი შემოსავალი მ. შ. მემცენარეობიდან % საერთო შემოსავალში შექონებულიდან % საერთო შემოსავალში	ცალი ათას, მან. "	83 7070,3 3446,3 48,7	90 8311,7 3668,9 44,1	110 14000,0 5880,0 42,0	132,5 198,0 170,6
9	დაიხარჯება შრომადლე მ. შ. მემცენარეობაში % საერთო შრომადლეებში შექონებულიდან % საერთო შრომადლეებთან გაიცემა ერთ შრომადლეზე:	ათასებ. " ათასებში	3319,1 46,9 496,1 197,2 39,7 230,2 46,4	4414,1 53,1 480,0 187,0 38,9 212,0 44,2	7840,0 56,0 470,2 195,0 41,5 226,0 48,1	236,2 94,8 98,9 98,2
10	მატყელთა ფული	კ. მ. მან.	6,3 5,5	6,5 10,2	7,0 17,9	111,1 325,4

მარცვლეულის მთელ პროდუქციაში შემოდგომის ხორბლის მთლიანი მოსავალი მიაღწევს 79.156 ცენტნერს ანუ 80,9% და სიმინდისა — 23.320 ცენტნერს ანუ 23%-ს.

ჰექტარზე საშუალოდ მიღებული იქნება შემოდგომის ხორბალი 22 ცენტნერი ნაცვლად 1955 წელს 19,2 ცენტნერისა და სიმინდი — 20 ცენტნერი, ნაცვლად 1955 წლის 12,5 ცენტნერისა.

მოსავლიანობის აღნიშნული გეგმის შესრულებით კოლმეურნეობა 1960 წელს მიიღებს შემოდგომის ხორბალს 11.516 ცენტნერით ანუ 14,5%-ით მეტს, სიმინდს 15.995 ცენტნერით ანუ 68%-ით მეტს, ვიდრე 1955 წელს.

ამ ფრიად სერიოზული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. მათ შოლის ფართოდ უნდა დაიყვაროს მარცვლეულის მოყვანის მოწინავე ხერაები და მეთოდები, გაუმჯობესდეს ამ კულტურების ჰოყვანის აგროტექნიკა, საშემოდგომო ხორბლეული მთლიანად დაითესოს ვიწრო მწყკრევი და ჯვარედინად, სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად, იმ ანგარიშით, რომ რიგთაშორის ჩატარდეს კულტივაცია ტრაქტორებისა და გამწევი ძალის საშუალებით. თვითეულ ჰექტარნათესზე შეიტანება ორგანული და მინერალური სასუქები დადგენილი ნორმის მიხედვით.

მინერალური სასუქების შეტანის ნორმები (კილოგრამებში)

№ რიგ.	დასახელება	სულ	ძირითადი შეტანა	ძირითადი ხენის დროს	აღშვის დროს	საგახაფხულო გამოყვებაზე
1	სულფატამონიუმი	250—400	165—265	—	165—265	85—135
2	სუპერფოსფატი	320—495	220—340	150—230	70—110	110—155
3	კლორკალუმი	100—100	60—100	60—100	—	—

გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ადგილობრივი ორგანული სასუქები, საშემოდგომო ხორბლის

ნათესებში თვითეულ ჰექტარზე შეიტანება სულფატამონიუმი 250—400 კგ., სუპერფოსფატი 339—495 კილოგრამი და ქლორკალიუმი 60—100 კილოგრამი.

მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა მოხდება ძირითადი ხენის წინ, ზემოთ მოყვანილი დოზების გათვალისწინებით.


ნიადაგის ძირითადი ხენა ჩატარდება აგროტექნიკით. გათვალისწინებულ ვადებში 20—22 სანტიმეტრის სიღრმეზე წინასახნისიანი გუთნით. დაშვებული არ იქნება ხარვეზები და წუნი. ხენა ჩატარდება კულტივატორით და ფართოდ მოეწყობა ცდები მალცევის მეთოდით ნიადაგის დამუშავების დასაწერგავად.

მოეწყობა ნათესების გამოკვება მინერალური და ორგანომინერალური გრანულირებული სასუქებით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სათესლე მასალის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. დაითესება მხოლოდ და მხოლოდ პირველი ხარისხის თესლი. არ დაიშვება თესვის ნორმების შემცირება და თესვა ჩატარდება სათესი მანქანებით.

უზრუნველყოფილი იქნება ყველა ნათესების გამარგვა, ჯეჯილების „დაზიგზაგება“ და სხვა. მოეწყობა სარეველებთან ბრძოლა ხელით, ხოლო ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ქიმიური საშუალებაი.

დიაგრამა № 12



ღროულად ჩატარდება ბრძოლა მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ (ძინდგრის ძავვი, კალია, ყანგა, აბრეშუმა და სხვა). ამ საქმეში ფართოდ იქნება გამოყენებული მექა-

ნიკური და ქიმიური საშუალებანი, ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ავიაციის გამოყენებას.

მოსავლის აღება მოეწყობა დროზე და შემქმედრობულ ვადებში. განსაკუთრებული ბრძოლა გამოცხადება დანაკარგებს, რისთვისაც კომბაინებზე მოეწყობა მარცვლეულის დამქერები, ხოლო დაცენილი თავთავები კი შეგროვდება.

კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს აწარმოონ ხელოვნური დამტვერვა და სიმინდის ჰიბრიდული თესლი მიიღონ იმ რაოდენობით, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს კოლმეურნეობის მოთხოვნილებას აღნიშნულ სათესლე მასალაზე.

თავთავიანი კულტურების მოსავლისაგან განთავისუფლებულ ნაკვეთებზე მოეწყობა სანაწვერალო კულტურების თესვა იმ ანგარიშით, რომ მიღებული მოსავალი გამოყენებულ იქნას საკვებად და სასილოსედ, განმეორებით თესვა მოეწყობა აგრეთვე სიმინდისაგან განთავისუფლებულ ფართობებზე დამატებით ნწვანე მასის მისაღებად.

პერსპექტიული გეგმის შესაბამისად მარცვლეულის წარმოების გადიდების დარგში აღებული ვალდებულებანი შესრულებული იქნება არა 1960 წელს, არამედ 1957 წელს. ამის თავდებია ის, რომ 1956 წელს თავთავიანი კულტურების მოსავლიანობამ ჰექტარზე საშუალოდ შეადგინა 24,7 ცენტნერი.


ბმნიკური კულტურების დარგში

კოლმეურნეობის წევრებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მზესუმზირის წარმოების დონე. პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია ამ კულტურის ნათესი ფართობი 1956 წლისათვის გადიდდეს 600, ხოლო 1960 წლისათვის 839,69 ჰექტარამდე. ხუთწლედის ბოლოსათვის მზესუმზირის მოსავლიანობა ჰექტარზე 17,5 ცენტნერს ითვალისწინებს, ანუ მთელი ფართობიდან 14.692,8 ცენტნერს, რაც 38,9 პროცენტით აღემატება 1955 წლის მოსავლიანობას (იხ. ცხრ. № 14).

ამ ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მზესუმზირის თესვა ჩატარდეს კვადრატულ-ბუდობრივად, ორგანულ-მინერალური სასუქების ფართოდ შეტანით და მიოლოდ მზრალად ხნულზე. ნათესების კულტივაცია ჩატარდება არანაკლებ სამჯერ.

დიაგრამა № 13

გარდა ალხიშნულისა, მზესუმზირა დაითესება სასილოსედ და საკვერად. მოწყობა ანარჩენების გამოყენება მეცხოველეობისათვის.



კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალღეული კულტურების დარგში

წითელწყაროს რაიონში მთლიანად და ასევე ზემო-მაჩხაანის კოლმეურნეობაში ფართობები კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალღეული კულტურების წარმოებისათვის ნაღებების სიციხისა და სარწყავი წყლის უქონლობის გამო მეტად განსაზღვრულია. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობამ გადასინჯა რა თავისი შესაძლებლობანი, გაითვალისწინა ამ კულტურათა წარმოების შემდეგი გეგმა: 1960 წლისათვის 1954 წელთან შედარებით კარტოფილის საერთო მოსავალი გაიზარდება 339,6%-ით, ბოსტნეულისა—953,6%-ით და ბალღეულის—215,2 პროცენტით.

1955 წელს მიღებულ იქნება კარტოფილი 618 ცენტნერით. ბოსტნეული 534 ცენტნერით და ბალღეული 547 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ კულტურათა თესვასა და რგვას კვადრატულ-ბუდობრივი წესით და ბოსტნეულის ნერგები ძირითადად გამოყვანილ იქნას ტორფნეშომპალა ქოთნებში.


მოეწყო ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების ანარჩენების გამოყენება შეცხოველეობაში.

ვეენახობის ღარბი

პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებულია ვენახის ფართობის გაზრდა 120 ჰექტარამდე. ნაცვლად 1955 წელს 90 ჰექტარისა. ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 100 ცენტნერით განისაზღვრება. ამრიგად, ვენახის ფართობები გაიზრდება 33,3 პროცენტით, ხოლო მოსავლიანობა 50,2 პროცენტით (იხ. ცხრ. № 14).

ვენახის მთელ ფართობზე გაზიდული იქნება ორგანული სასუქები და მოეწყო მინერალური სასუქების შეტანა ჰექტარზე შემდეგი ოაოდენობით: სულფატამონიუმი 500—700 კგ, სუპერფოსფატი 500—700 და ქლორკალიუმი 300—400 კგ.

ღიაგრამა № 14.



აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, 1960 წლისათვის მთელ ფართობზე მინერალური სასუქი შეტანილი იქნება 324.4 ტონის რაოდენობით, აქედან სულფატამონიუმი 128.1 ტონა, სუპერფოსფატი 128.1 და ქლორკალიუმი 73.2 ტონა.

მოეწყო მსხმოიარე ვაზის გადაყვანა ორნხრივ შპალერზე, რისთვისაც შედენილი იქნება 70.0 ტონა მავთული და 69 ათასი ცალი ბოძი. ეს სამუშაო დამთავრდება 1960 წლისათვის.

საზოგადოებრივი შეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქციის წარმოების გაზრდის ღიაგრამა

თუ შემინდვრებაში გათვალისწინებულია ცალკეული კულტურების ფართობების მხოლოდ რამდენიმე ზრდა და მოსავ-

ლიანობის გადიდება ჰექტარზე დაპროექტებულია მარცვლეულისა 21,8 და მზესუმზირის—5,4 პროცენტით, სამაგიეროდ მეცხოველეობის ძირითადი დარგების საერთო პროდუქციის მკვეთ - ი გადიდება (მსხვილი რქოსანი პირუტყვი, მეღორეობა, მეცხვარეობა) გათვალისწინებულია უმთავრესად ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ანგარიშზე.

მართალია, მსხვილი რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობა რჩება სტაბილურად, მაგრამ მუშა პირუტყვის სულადობის შემციობების ხარჯზე ძროხების სულადობა გაიზარდება 37 პროცენტით და ძროხების ხვედრითი წონა მსხვილი რქოსანი პირუტყვის ნახირში ხუთწლედის მანქილზე ამალდება 28,1 პროცენტიდან 33,5 პროცენტამდე.

ამასთან ერთად, ძროხების პროდუქტიულობა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობისა და მათი შენახვის და კვების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების გზით გაიზარდება 136,2 პროცენტით, ხოლო ერთი ძროხის წველადობა—69,2 პროცენტით (იხ. ცხრ. № 14).

ცხვრის საერთო სულადობის რამდენადმე (1,6%) შემცირებით, დედა ცხვრის სულადობა გაიზარდება 20,3%⁰, თითოეულ ცხვარზე მატყლის პარსვა გაიზარდება 21,2%⁰, ხოლო მატყლის საერთო გადოსავლიანობა 50,4 პროცენტით.

ლორების საერთო სულადობა დარჩება სტაბილური, მაგრამ ლორის ხორცის წარმოება გაიზარდება 180 პროცენტით, ეს მიღწეული უნდა იქნეს დედა ლორის პროდუქციის გამოსავლიანობის მკვეთრი გადიდებით—ნამატის ხარჯზე გასასუქი სულადობის გაზრდის გზით.

და ბოლოს, გამოძვინარე იქიდან, რომ კოლმეურნეობას დიდი შესაძლებლობა აქვს საფურავე საკვების წარმოებისა, და მოსახლეობის კარგი ტრადიცია მეფოინველეობისადმი, გათვალისწინებულია ფონიველის სულადობის მკვეთრი (327,4 პროცენტით) გადიდება—4679-დან 20.000-მდე ფრთით.

1957—1960 წ. მეცხოველეობის ფეზმებში იქნება მსხვილი რქოსანი პირუტყვი — 2600 სული, მათ შორის ძროხა 1000 სული, ცხვარი და თბა ყველა ასაკის — 25000 სული, მათ შორის დედა ცხვარი—18000 სული, ლორი ყველა ასაკის—

1000, მათ შორის დედა ღორი—200 სული და ფრინველი — 20000 ფრთა.

გეგმის მიხედვით 1960 წელს კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში იქნება 800 სული ძროხა, ნაცვლად 1954 წელს არსებული 96-ისა, 800 სული ღორი ნაცვლად 328-სა, 900 სული ცხვარი ნაცვლად 328 სულისა და 10.000 ფრთა ფრინველი ნაცვლად 4000 ფრთისა.

აღნიშნული გეგმის შესრულების შემდეგ მეცხოველეობის სიმკვიდროვე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე ასეთ სურათს მოგვეცემა. (იხ. ცხრ. № 15):


ცხრილი № 15.

№№ რიგ.	დასახელება	საზომი ერთეული	1955 წ.	1957—1960 წლების გეგმით
	1. მეცხოველეობის სიმკვიდროვის მაჩვენებლები:			
ა)	ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე, მდელოსა და საძოვარზე მოდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	სული	10.2	9.0
	მ. შ. ძროხა	"	2.6	4.5
	ცხვარი	"	81.3	103.5
ბ)	ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მოდის ღორი ..		17.9	17.5
გ)	ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულ ნათესზე მოდის ფრინველი	ფრთა	139.0	1264.0

როგორც ვხედავთ, 1957—1960 წ. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოვა მსხვილი რქოსანი პირუტყვი 9 სული, მ. შ. ძროხა 4.5 სული; ცხვარი 103,5 სული, ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე—17.5 ღორი და ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე—1264 ფრთა ფრინველი.

ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეობამ გადაწყვიტა გააუმჯობესოს ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობა, რისთვისაც 1957 წლისათვის შეძენილი იქნება 60 სული მალაპროდუქტიული პირუტყვი. ამასთანავე ფართოდ დაინერგება მეტიზაცია და ხელოვნური დათესლეა, გაუმჯობესდება ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა; ცხვრის საერთო სულადობიდან 1957—1960 წლისათვისა ნაზმატყლიანი იქნება 5000 სული ანუ 21,5% და ნახევრად ნაზმატყლიანი—10.000 სული ანუ 43.1%.

დიაგრამა № 15



ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობა ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში მოითხოვს მეტი სიხუსტეს, ვინაიდან მეცხვარეობის ფერმებში მეტიზაციის საშუალებები წარმოებს ქართულ ცხიმკუდიან და ნახევრად ნაზმატყლიან რამბულიეს და თუშური ცხვრის მეტივებზე, მაგრამ მტკიცედ არ არის დადგენილი, თუ რომელი ჯიშია უმჯობესი ადგილობრივი პირობებისათვის.


გაიზრდება ნამატის გამოსაველიანობა. ყოველ 100 სულ დედაპირუტყვზე 1957 წლისათვის მიღებულ და შენარჩუნებულ იქნება 97 ხბო, 100 ბატყანი და ყოველ დედა ღორზე—16 გოჭი. გაუმჯობესდება პირუტყვის მოვლა-პატრონობა და დაინერგება მყრძეული პირუტყვისა ბაგუო-ბანაკური შენახვა.

კოლმეურნეობის პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს პირუტყვის მოვლია პირობების ისეთ გაუმჯობესებას, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში მიღწეულ იქნას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის

პლენუმისა და პარტიის XX ყრილობის დირექტივების მიხედვით.

თვითეული ძროხის საშუალო წლიური წველადობა 1956—1960 წლებში 1955 წელთან შედარებით გაიზარდება 777 ლიტრით ანუ 69,2 პროცენტით, რძის საერთო წარმოება კი — 136.2%-ით. ყოველ 100 ჰექტარ სახნავეზე, მდელოსა და საძოვარზე მიღებულ იქნება 85 ცენტნერი რძე, ნაცვლად 1955 წლის 35,5 ცენტნერისა, ე. ი. 139,4 პროცენტით მეტი.

დიაგრამა № 16



ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე ხორცის წარმოება გაიზარდება 126,6%-ით, მ. შ. ღორის ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახნავეზე გაიზარდება 137%-ით. მიღებულ იქნება 19,7 ცენტნერი ღორის ხორცი.

ყოველ 100 ჰექტარ სას. სამ. სარგებლობის მიწაზე მიღებულ იქნება 3 ცენტნერი მატყლი და მატყლის საერთო წარმოება 1955 წელთან შედარებით გაიზარდება 50,4%-ით. წლიური კვერცხდება ერთ დედალზე გაიზარდება 110 ცალამდე, ნაცვლად 1955 წლის 83 ცალისა, ხოლო კვერცხის საერთო წარმოება გაიზარდება 16-ჯერ. ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე მიღებულ იქნება 55.7 ათასი კვერცხი და 1.5 ცენტნერი ფრინველის ხორცი. (იხ. ცხრ. № 4 და 16).

დიდად გაიზარდება მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებაც.

ხაკოლმეურნეო წარმოების ზრდა

ჯგუფი	დასახელება	ზომის ერთეული	ფაქტურად	გეგმით		1960 წელს 1955 წელთან შედარებით
			1955 წ.	1956 წ.	1960 წ.	
I	შრომადღების ხარჯვა ერთ ცენტნერ პროდუქციაზე					
	მარცვლეული	ცენტ.	1,1	1,0	0,6	54,5
	მხესუხირა	"	2,3	2,2	2,0	86,9
	კარტოფილი	"	1,7	1,0	0,7	41,2
	ბოსტნეული	"	2,3	2,1	1,8	78,3
	საკვები კულტურები	"	0,8	0,5	0,3	37,5
	ყურძენი	"	4,8	4,0	3,5	72,9
	ლორის ხორცი ცოცხალი წონით	"	12,0	10,0	7,0	58,3
რძე	100 ლიტრ.	3,2	3,0	1,6	50,0	
მატყლი	ცენტ.	2,4	2,1	1,8	75,0	
II	პროდუქტების წარმოება ყოველ 100 შრომისუნარიან ხაკოლმეურ.					
	მარცვლეული	ცენტ.	4705,0	5172,3	5430,0	115,4
	ხორცი	"	22,3	276,0	715,1	181,5
	რძე	ათას ლიტრ.	46,7	64,6	110,5	236,6
III	შეცხოველეობის პროდუქტების წარმოება					
	ხორცი 100 ჰექტ. სას. სამ. სავარგულზე	ცენტ.	14,74	19,2	33,4	226,6
	ლორის ხორცი 100 ჰექტ. სახნაუზე.		7,0	8,3	19,7	237,0
	რძე 100 ჰექტ სას. სამ. სავარგულზე		35,5	47,7	85,0	239,4
	მატყლი 100 ჰექტარ სას. სამ. სავარგულზე		2,2	2,9	3,0	136,4

**პირუტყვის საკვების წარმოების გზა
და საკვები თესობრუნვა**

მაჩხანელ კოლმეურნეებს კარგად ესმით, რომ მტკიცე საკვები ბაზის შექმნის გარეშე შეუძლებელია უზრუნველყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობა და მისი პროდუქტიულობის გადიდება. ამიტომ კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს გამოვიყენებთ, აქტიური, მეცხოველეობის ფერმების მუშაკები და სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნის აუცილებლობაზე.

გარდა იმისა, რომ მინდვრის თესობრუნვაში საკმაოდ გიგანტური იკავებს სიმინდი, რომლის მოსავალი ძირითადად გამოყენებული იქნება მეცხოველეობისათვის, ამავე დროს მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ფართობი მიაღწევს 1523,67 ჰექტარს; კოლმეურნეობამ დამატებით შემოიღო რვა მინდვრიანი საკვები თესობრუნვა 67.63 ჰექტარზე და სპეციალური რვა მინდვრიანი თესობრუნვა 261 36. ჰექტარზე. სულ 328.99 ჰექტარზე.

ორივე საკვებ თესობრუნვაში კულტურების მორიგეობა ერთიდაიგივეა:

- 1) მრავალწლიანი ბალახები პირველი წლ.
- 2) მრავალწლიანი ბალახები მეორე წლ.
- 3) შემოდგომის ქერი.
- 4) საკვები ძირნაყოფები;
- 5) სიმინდი სილოსად;
- 6) შემოდგომის ქერი;
- 7) სიმინდი სილოსად;
- 8) შემოდგომის ქერი ბალახების შეთესვით;

საკვები თესობრუნვა კოლმეურნეობას დიდად შეუწყობს ხელს პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის. საქმეში.

დიდად გაუზღობესდება მარცვლეულის ანარჩენების, ნამჯისა და ჩაღის შეგროვებისა და შენახვის საქმე, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების ანარჩენების გამოყენება და სხვ.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გატარება კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს 1957—1960 წლებში დათესოს და მოიყვანოს ბევრად უფრო მეტი საკვები კულტურები, ვიდრე წინა წლებში.

ცხრ № 17

№/წ. რიგ.	კულტურების დასახელება	1955 წ.			1957—1960 წ. ზეგმით		
		ფართობი ჰექტარებში	მოსავალი ჰექტ. ცენტ.	სულ მოსავალი ცენტ.	ფართობი ჰექტარებში	მოსავალი ჰექტ. ცენტ.	სულ მოსავალი ცენტ.
1.	საკვები კულტურები სულ	570	112.0	71328	1817	160	153789
	მ. შ. ერთწლიანი ბალახები მწვანე საკვებად	—	—	—	250	30	7500
	ერთწლიანი ბალახები თივად	250	20	5000	1167	17.2	19089
	მრავალწლიანი ბალახ.	48	6	288	108	8	800
	სასილოსე ნათესი	200	200	40000	200	300	60.000
	აქედან სიმინდი	200	200	40000	200	300	60.000
	საკვები ძირბენები	120	217	26040	200	250	50.000
2.	სანაწვევრალა შუალედი კულტ.	—	—	—	200	50	10.000
	მ. შ მწვანე საკვებ. სასილოსედ	—	—	—	200	50	10.000
3.	ანეული სუფთა	—	—	—	520	—	—
4.	ნაზჯა და ჩალა	4659	13.0	70180	2986	26	74660

1957—1960 წლებში გათვალისწინებულია დაითესოს საკვები კულტურები სულ 1952 წ. ჰექტარზე მრავალწლიანი ბალახების ჩათვლით. აქედან სიმინდი 200 ჰექტარზე სასილოსედ, რომლის თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნება 300 ცენტნერი მოსავალი, სულ 60.000 ცენტნერი. მოეწყობა სიმინდის დასილოსება რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში, ჩაიდება 57.000 ცენტნერი სილოსი, ე. ი. 6 ტონა ერთ საფუ-

რაეე ძროხაზე. გარდა ამისა, დამზადდება ნამჯა და ჩალა 74.660 ცენტნერი.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით კალმეურნეობამ უახლოეს წლებში ისე უნდა გააუჩჯობესოს საკვები ბაზის წარმოების საქმე, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილება მთლიანად დააკმაყოფილოს საკუთარი წარმოების საკვებით.

გარდა იმისა, რომ რაკიონალურად იქნება გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო პაროდუქტების ანარჩენები, მოეწყობა ფერმისპირა თესლბრუნვები, მწვანე კონვეიერი, დაითესება საკვები ბალახები, დაინერგება სიდერატებისა და სანაწვერალო კულტურების თესვა.

საკვებმოპოვების ანგარიშზე საკვების წარმოების გადიდებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გამოყენება მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების გზით. მოეწყობა სისტემური ძოვება და სათიბ საძოვარბრუნვა 2700 ჰექტარზე. 100 ჰექტარი საძოვარი გადაყვანილი იქნება სათიბად, 902 ჰექტარზე ჩატარდება თივის მექანიზებული აღება, 1000 ჰექტარზე ქვებისა და სარეველებისგან გაწმენდა ბალახების შეთესვით, კორდ-დაშლილი საძოვრების აღდგენა და ბალახების შეთესვა 100 ჰექტარზე, საძოვრების დატვირთვის გაძლიერება 10.000 ჰექტარზე, დროებითი ძოვების შეწყვეტა 523 ჰექტარზე, კომბინირებული და ნაკვეთმოზიგეობითი ძოვების შემოღება ყველა სახის პირუტყვისათვის 700 ჰექტარზე, სასმელი წყლის ქსელის გაფართოება, ადგილობრივი საკვები ბალახების თესლის შეგროვება და თესვა, საძოვრების ზამთარში მორწყვა ჩამდინარე წყლით, ქაობების დაშრობა და საძოვრების გაწმენდა მავნე ბალახებისაგან.

შრომატევად სამუშაოთა პროცენტების მძამნიჰაციის და მშენებლობის დარბში

მნიშვნელოვნად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის ღონე. მინდვრის სამუშაოთა ყველა პროცესი მარცვლეული კულტურების ქვეშ მთლიანად, მექა-

ნიზებული იქნება. 1960 წელს მტს-ი რბილ ხვანზე გადაყვანით შეასრულებს 169C4 ჰექტარით მეტ სამუშაოს, ვიდრე 1955 წელს. (იხ. ცხრ. № 18)

მარცვლელი კულტურების ქვეშ მინდვრის სამუშაოთა მექანიზაციის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მარცვლის გაწმენდის, ნამჯის და ბზის შეგროვების, თივის ალების სამუშაოთა მექანიზაციას.

კოლმეურნეობის პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ სერიოზულ სამუშაოთა ჩატარებას მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და მშენებლობის დარგში.

1955—1960 წლებში მეცხოველეობის ფერმებში მოეწყობა წყალმომარაგების, დაწყურების, წველის, ცხვრის პარსვის და საკვების გადამუშავების სამუშაოთა მექანიზაცია და ელექტროფიკაცია. ამ სამუშაოთა გატარებით კოლმეურნეობაში რამდენიმე ათეული მუშა ხელი დაიზოგება.

დიდი სამუშაოები ჩატარდება მეცხოველეობის სადგომებისა და სხვა საკირო ნაგებობათა მშენებლობის დარგში. 1955—1960 წლებში აშენდება და ექსპლოატაციაში შევა ერთი თავლა 100 სული პირუტყვისათვის, 7 საძროხე თვითეული 96 სულის ტევადობით, 7 სახბორე თვითეული 96 ხბოსათვის, 4 საღორე თვითეული 60 ღორის ტევადობით, 19 ფარეხი თვითეული 300 სული ცხვრისათვის, საქათმე და სხვა.

აშენდება 40 სასილოსე კოშკი და ორმო თვითეული 300-800 ტონის ტევადობით და 20 საცხოვრებელი სახლი მეცხოველეობის ფერმების მუშაკებისათვის.

აღნიშნული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში დიდად შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, რაც მთავარი ამოცანაა ამჟამად.

მათი განხორციელება დიდსა და თავდადებულ შრომას მოითხოვს.

მტბ-ის მიერ ხაშუშაოთა შესრულების გეგმა

ცხრილი № 18

№ № რიგ-	სამუშაოს დასახელება	1955 წელი		1960 წელი	
		ჰექტარ.		ჰექტ.	
1.	საგაზაფხულო ხენა	316		1500	
2.	თესვისწინა კულტივაცია	267		3000	
3.	საგაზ. მარცვლეულის თესვა	580		1500	
4.	მხესუმხირის თესვა	620		620	
5.	სათოხნი კულტ. რიგთაშორის კულტივაცია	591		1500	
6.	კომბაინით მარცვ. აღება	4483		3400	
7.	მხესუმხირის აღება	430		620	
8.	საკეების დასილოსება (ტონ.)	864		55.00	
9.	ბალახების სათესლედ აღება	48		100	
10.	თივის აღება	837		1000	
11.	თივის შეგროვება	150		300	
12.	ნამჯის აღება	2610		3400	
13.	სანაეულო ხენა	314		520	
14.	ანეულის კულტივაცია	1443		520	
15.	საშემოდგომო ხენა	3237		3000	
16.	საშემოდგომო თესვა მათ შოლის	4209		3000	
17.	მწკრივეში	4209		3000	
18.	ჯვარედინად და ვიწრო მწკრივად.....	2038		3000	
19.	მზრალად ხენა	1150		2000	
20.	პლანტაჟი	10		10	
21.	მარცვლის გაწმენდა (ცენტ.)	200		300	
22.	მინერ. სასუქ. შეტანა	200		3400	
23.	ვენახის რიგ. შორ. დამ.	—		120	
24.	ვენახის წამლობა	—		120	

ყულის მუხარეობა და მისი გავრცელების ღონისძიებანი

ცნობილია, რომ ისე როგორც წითელწყაროს რაიონი, მთლიანად სოფ. ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის სახნავ-სათესო მიწები, სათიბები და საძოვრები მოკლებულია არა თუ სარწყავ წყალს, არამედ სასმელ და სამეურნეო დანიშნულების წყალსაც კი, ამას თან ერთვის ისიც, რომ რაიონის კლიმატური პირობები ხასიათდება პერიოდული გვალვებით, რაც, როგორც მრავალი წლის დაკვირვება გვიჩვენებს, მოსალოდნელია ყოველ 3—5 წელიწადში ერთხელ.

გვალვებით ხასიათდება არა მარტო ზაფხული, არამედ ზამთარიც კი, რაც სერიოზულ სიძნელეებს ქმნის საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაერთხელ დასმულა საკითხი შირაქისა და ტარიბანას ნოყიერი მიწების მორწყვის ღონისძიებათა გატარების შესახებ. ამ ღონისძიების განხორციელება შეიძლება ორი გზით. პირველი—ზემო ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობით, რაც თუკვა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, მაგრამ მისი განხორციელება უზრუნველყოფს საგარეჯოს, სილნალის, გურჯაანის და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობათა მიწების მორწყვას.

შირაქის ველის მორწყვის მეორე დიდ შესაძლებლობად შეიძლება ჩავთვალოთ მძლავრი წყალსაქაჩაის მშენებლობა მდ. ალაზანზე, და დიდი წყალსაცავის მშენებლობა შირაქში, რომელიც ერთსა და იმავე დროს გადაწყვეტს ორ პრობლემას: შირაქის ველის 140—160 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვის და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისას.

მესამე ღონისძიება, რომელიც უახლოეს დროში უნდა განხორციელდეს, ეს არის საზამთრო საძოვრებზე არტეზიული ქების მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფს პირუტყვი სასმელი წყლით.

წყლის მეურნეობის დარგში ზემოაღნიშნულ სამუშაოთა ჩატარება დაკავშირებულია დიდ კაპიტალურ დაბანდებებთან

და მისი განხორციელება არა თუ ერთი კოლმეურნეობის, არამედ მთელი წითელწყაროს რაიონის შესაძლებლობებს აღემატება.

ამიტომ, რომ რაიონის კოლმეურნეობები ერთსულოვნად აყენებენ საკიხის რესპუბლიკის ხელქდევანელი ორგანოების წინაშე ამ დიდ სამუშაოთა ჩატარების საქმეში დაიშარებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წითელწყაროს რაიონის საზამთრო საძოვრები მომსახურებას უწყევს არა მარტო წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს, არამედ შიგა და გარეკახეთის 8 რაიონის კოლმეურნეობებს მთლიანად.

მაჩხანელმა კოლმეურნეებმა 1954 წელს დაიწყეს 28 კილომეტრი სიგრძის მქონე არხის მშენებლობა მდ. იორზე, რომელიც 1957 წელს დათავრდება და კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს მორწყოს 400—500 ჰექტარი მიწა, სადაც მოეწყობა საკვები კულტურების თესვა.

ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული ადგილობრივი ხევის წყლების სარწყავად გამოყენებისათვის.

დავცველი ტყის ზოლების მოწყობის დაკავში

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ შირაქის, ტარიხანის და ელდარის თვალუწვდენელი ველები ერთ დროს ტყის საბურველით იყო დაფარული. ამეამად კი არც ერთი ჰექტარი ტყე არ მოეპოვება ამ ისედაც გვალვიან სტეპებს.

რამდენიმე წლის წინ წითელწყაროელ კოლმეურნეებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ წითელწყაროსა და შირაქის მიდამოებში ხეხილის ბაღებიანა და ტყის გაშენების შესაძლებლობა, მაგრამ როგორც უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების შემოქმედებითად გამოყენებით შესაძლებელი გახდა ამ მიდამოებში დაგვირგო და შეგვენარჩუნებინა ხეხილის ზოგერთი გვალვაგამძლე ჯიშები.

სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრებმა შირაქის ველზე დარგეს და შეინარჩუნეს კაკლის ხეები, წითელწყაროს

მიდამოებში მოეწყო აკაციის, ნუშის და ალუბლის ხეივნები და ტყეები. სოფ. ზემო-ქედის, ქვემო-ქედისა და არხილოს-კალოს კოლქეურნეთა კარმიდამოს მრავალი ჯურის ხეხილი და ხე-მცენარე ამშვენებს.

ეს მდგომარეობა ახალ პერსპექტივებს აყენებს როგორც წითელწყაროს რაიონისათვის მთლიანად, ასევე მაჩხაანელთა წინაშე დამცველი ტუის ზოლების მოწყობის დარგში.

საზოგადოებრივი მუშაობის ზრდა

პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის ზრდა, მეცხოველეობის სულალობისა და პროდუქტიულობის განუხრელი აღმავლობა, მექანიზაციისა და ელექტროუიკაციის მაღალი დონე დიდად შეუწობს ხელს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მუშაობის ზრდას.

წარმოების გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინება შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი აღმავლობის საწინააღმდეგარია, ხოლო „შრომის ნაყოფიერება, გვასწავლიდა დიდი ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველ წლებში,—ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“. ამიტომ ზემო მაჩხაანელი კოლმეურნეები ყოველ ღონეს ხზარობენ მაქსიმალურად გამოიყენონ მეურნეობის მთელი რეზერვები, არ დაუშვან დანაკარგები, მტკიცედ დაიცვან ეკონომიის რეჟიმი და ყაირათიანობა, მიაღწიონ პროდუქტების სიუხვის შექმნას.

1960 წელს მიღებული იქნება მარცვლეული 97.740 ცენტნერი, ანუ 21,8% მეტი, ვიდრე 1955 წ. რძე 1880 ცენტნერი ანუ 136,2%-ით მეტი, ხორცი და ქონი 102%-ით მეტი, მატყლი 1000 ცენტნერი, ანუ 50,4%-ით მეტი, კვერცხი 672.000 ცალი, 7,5-ჯერ მეტი, ყურძენი 10.000 ცენტნერი ანუ 56,2 პროცენტით მეტი, მზესუმზირა 38,9% და საკვები კულტურები 363.6%-ით მეტი.

1960 წელს მარცვლეულის საერთო პროდუქციიდან სახელმწიფოს ჩაბარდება სავალდებულო წესით 1.4%, მტს-ის ნატურანაზღაურების ხაზით—16.4% და განაწილდება შრომადღეებზე შრომის დამატებითი ანაზღაურების ჩათვლით 56.6%.

ყურძნის მთელი მოსავლის 40% მიეყიდება სახელმწიფოს კონტრაქტაციის გზით, ხოლო გაიცემა შრომადღეებზე 60% ყურძენი.

მზესუმზირის საერთო მოსავლის 5.1% სახელმწიფოს სავალდებულო წესით ჩაბარდება, 9.2% მტს-ის ნატურანაზღაურებაზე დაიხარჯება, 3% სახელმწიფოს მიეყიდება, ხოლო 62.4% შრომადღეებზე დარიგდება.

ხორცი და ქონი სახელმწიფოს ჩაბარდება სავალდებულო წესით 7.5%, 0.9% მტს-ის ნატურანაზღაურებაზე გაიცემა, 66.6% სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს მიეყიდება და 25% შრომადღეებზე გაიცემა.

მთელი მატყლის 90.5% ჩაბარდება სახელმწიფოს და 9.5% მტს-ის ნატურანაზღაურებაზე დაიხარჯება.

სახელმწიფოს ჩაბარდება ტყავნდლეულის 100%, მიღებული რძის 7.4%, აბრეშუმის პარკის 100% და სხვა.

თუ 1954 წელს მარცვლეულის მთელ პროდუქციაში სასაქონლო პროდუქცია შეადგენდა 27.9%-ს, ბოსტნეული და ბალჩეულის—95.1%, მზესუმზირის—26.5, ხეხილის 83.1, რძის 37.3, ხორცისა და ქონის—73.0, მატყლის—96.9, ტყავნდლეულის 100 და კვერცხის 100 პროცენტს, 1960 წლისათვის მარცვლეულის მთელ პროდუქციაში სასაქონლო პროდუქცია მიაღწევს 31.2%, ბოსტნეულისა და ბალჩეულის—98.0, მზესუმზირის—36.1, ყურძნის 70.0, ხეხილის 97.1, რძის 47.0, ხორცისა და ქონის—65.1, მატყლის 99.1, ტყავნდლეულის 100 და კვერცხის 87.0 პროცენტს.

პროდუქციის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი და 6390 ათასი მანეთით ანუ 93 პროცენტით გადააქარბებს 1955 წლის დო.

ნეს, ხოლო საერთო შემოსავლის 42.0% მიღებულ იქნება მემცენარეობიდან და 56.0% მეცხოველეობიდან.

ფულადი შემოსავლის განაწილება

ცხრილი №19

№ რიგ.	დასახელება	ზომის ერთ.	1954 წელს	1960 წელს	% 1960 წ. 1954 წელთან შედარებით
1	სულ ფულადი შემოსავალი	ათას მან.	8311.7	14000.0	168.5
2	საწარმოო ხარჯები	„	1173.7	1400.0	119.3
3	განუყოფელ ფონდში გადაირიცხება	%	16.1	10.0	—
3	განუყოფელ ფონდში გადაირიცხება	ათას მან. %	1662.4	2800.0	168.4
4	ხარჯები კულტურულ დანიშნულებაზე	ათას მან. %	83.1	280.0	336.9
5	ადმინისტრაციულ სამეურნეო ხარჯები	ათას მან. %	31.3	70.0	223.6
6	სადაზღვეო ხარჯები	ათას მან. %	943.8	1120.0	118.3
7	განაწილება შიღვევებზე	ათას მან. %	11.4	8.0	—
			4068.1	8330.0	204.8
			48.9	59.6	—

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1960 წელს მთელი ფულადი შემოსავლის 10% მოხმარდება საწარმოო ხარჯებს, 20% გადაირიცხება განუყოფელ ფონდში, 2% დაიხარჯება კულტურულ დანიშნულებაზე, 0,5%—ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებზე, 8,0% სადაზღვეო ხარჯებზე და 59.6% განაწილება შრომადღებზე.

1954 წლის დონესთან შედარებით 1960 წელს საწარმოო ხარჯები გაიზარდა 19.3%-ით, განუყოფელი ფონდი 68.4%-ით, ხარჯები კულტურულ დანიშნულებაზე—236.9%-ით, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები 123.6%-ით, სადაზღვეო ხარჯები 18.3%-ით და განაწილება შრომადღებზე 104.8%-ით მეტი.

კოლმეურნეებმა პერსპექტიული გეგმის შედგენა-განხილვასთან ერთად, გადასინჯეს კოლმეურნეობაში მოქმედი

გამომუშავების ნორმები, გაითვალისწინეს მოპოვებული მიღწევები და გაშონახეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რესურსები და დასახეს ღონისძიებანი: საკოლმეურნეო წარმოებაში მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ფართოდ დანერგვის შედეგად, შრომადღების საერთო რაოდენობის მნიშვნელოვანი გადიდების გარეშე. მიაღწიონ ყოველ შრომადღეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობის საგრძნობ ზრდას და ამ საფუძველზე შრომადღის ღირებულების სისტემატურ გადიდებას.

1960 წლისათვის გამომუშავებული იქნება 470 ათასი შრომადღე, ე. ი. 15.0 ათასი შრომადღით მეტი, ვიდრე 1955 წელს. მთელი შრომადღებთან მემცენარეობაში დაიხარჯება 42.9%, მეცხოველეობაში 48.6%, დამხმარე საწარმოებზე—0.8%, ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალზე—2.6% და დანარჩენ სამუშაოებზე - 6 პროცენტი.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროდუქციის გამოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე და წარმოების დანახარჯების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე. იხ. ცხრ. № 18. ცხრილში ვიძლევით ზოგიერთ მაჩვენებელს, რომელიც დამახასიათებელია საკოლმეურნეო წარმოებისათვის ამ მიმართულებით.

როგორც ამ ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, შრომის დანახარჯი ერთ ცენტნერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე 1960 წელს 1955 წელთან შედარებით მცირდება: მარცვლეულზე — 45,5 პროცენტით, მზესუმზირაზე — 13,1, კარტოფილზე — 58,8, ბოსტნეულზე—21,7, საკვებ კულტურებზე 62,5, ყურძენზე—27,1, ღორის ხორცზე—41,7, რძეზე—50 და მატყლზე—25 პროცენტით.

პროდუქციის წარმოება ყოველ 100 შრომისუნარიან კოლმეურნეზე ხუთწლედის განმავლობაში იზრდება: მარცვლეულის, 15,4 პროცენტით, ხორცის—81,5 და რძის—136,6 პროცენტით.

შრომადლის ხარჯვის შემცირება პროდუქციის ერთეულზე და პროდუქტების წარმოების გადიდება შრომისუნარიან კოლმეურნეებზე უმთავრესად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროცესების. ნექანიზაციის შემდგომი გაფართოებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებით.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა სასაქონლო პროდუქციის მოცულობის გადიდების შესაძლებლობას იძლევა: მარცვლეულის—88,5 პროცენტით, მხესუმზირისა—67,3, ყურძნის—137,8, ხორცის—80 და რძის 179,5 პროცენტით, კვერცხისა 4,5-ჯერ უფრო მეტად და ბატყლისა—1,5-ჯერ.

პროდუქციის მოცულობის ზრდისა და საქონლიანობის ამაღლების შედეგად მკვეთრად ამაღლდება შრომადლის ანაზღაურება. თვითეულ შრომადლეზე გათვალისწინებულია გაიცეს 7 კგ-მდე მარცვალი, 11,1 პროცენტით მეტი, ვიდრე 1955 წელს და 17,9 მანეთი ფული, 225,4%-ით მეტი 1955 წელთან შედარებით. გარდა ამისა, გამომუშაებულ შრომადლეებზე გაიცემა ღვინო, მხესუმზირა, ხორცი და რძე.

ყველა აქედან გამომდინარე, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარება სავსებით შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია პარტიის XX ყრილობის დირექტივებით ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების დარგში პროდუქციის ერთეულზე შრომისა და სახსრებში მინიმალური ხარჯვით.

ეს კი უზრუნველყოფს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შერწყმას კოლმეურნეთა ინტერესებთან, რაც, როგორც ცნობილია, კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-მეურნეობრივად განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული დონის ზრდის ძირითად პირობას წარმოადგენს.

მოსკვი დასკვნები

წინამდებარე შრომიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხანის კოლმეურნეობას თავისი არსებობის 29 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დარგში. კოლმეურნეობამ ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვა უკანასკნელი გამსხვილების შემდეგ (1950 წ.) პარტიის ცენტრალური კომიტეტის (1953 და 1955 წლების) პლენუმების მიერ და პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელების გზით.

2. ამჟამად კოლმეურნეობა წარმოების სპეციალიზაციის ხასიათით მარცვლეულისა და მეცხოველეობის მიმართულებისა მევენახეობის დიდი ხვედრითი წონითა. მარცვლეულის წარმოებაში წამყვანი მნიშვნელობა აქვს სასურსათო მარცვლის—ხორბლის წარმოებას. მეცხოველეობაში ამჟამად წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხვარეობას, მას მოსდევს მსხვილი რქოსანი პირუტყვი და მელორეობა.

3. კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის წარმოების არსებული სპეციალიზაცია შეიძლება სწორად და მიზანდასახულად მივიჩნიოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებს.

4. სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების წარმოებისას კოლმეურნეობის წინაშე შემდეგი ამოცანები დგას:

მემცენარეობაში მარცვლეული მეურნეობის შემდგომი განვითარება თესლბრუნვების სწრაფი ათვისების, სიმინდის ხვედრითი წონის ამაღლებისა და მარცვლეული კულტურების მოსაგლიანობის გადიდების გზით.

ვენახის ფართობების გადიდება სულ ცოტა 200 ჰექტარამდე სარწყავი ფართობის გადიდების გზით.

მეცხოველეობის დარგში—მსხვილი რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, ორიენტაციის

აღება ადგილობრივი ჯიშის პირუტყვის შვიცის მეტისით გაუმჯობესებისაკენ და მერძეულ-სახორცე მიმართულების უზრუნველყოფა. ფერმის პირუტყვის საერთო სულადობაში ძროხების ხვედრითი წონის გადიდება 40 პროცენტით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეკამეჩობის განვითარებას.

ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხერის ჯიშის დანერგვა სამატყლე-სახორცე მიმართულებით და პირუტყვის მთელი წლის განმავლობაში საძოვრული შენახვა.

ლორების სტაციონარული შენახვის სისტემის განხორციელება, სახორცედ გამოკვება და თვითეული დედალორიდან ხორცის გამოსავლიანობის მკვეთრი გადიდება.

ფრინველის სულადობის მკვეთრი გადიდება და მოძრავი საფრინველების ფართოდ გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მიზნით მეფუტკრეობის განვითარება, და მისი პროდუქტიულობის ამაღლება.

5. საკვები რესურსების გადიდებასთან ერთად მინდვრის საკვებმოპოვების ანგარიშზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი საკვები-საფარგულების პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებებს, რისთვისაც საჭიროა უზრუნველყოთ სისტემური ძოვების შემოღება, ნაწილი საძოვრების გადაყვანა სათივედ, საძოვრების გაწმენდა ქვებისა და ბუჩქებისაგან, ბალახების შეთესვა საძოვრების ნაწილზე, საძოვრების განოყიერება სადგომების გადანაცვლებით, სასმელი წყლის ქსელის გაფართოება და ა. შ.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მტს-მა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროცესის მექანიზაციის გაფართოებით და საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის მკვეთრი გაუმჯობესებით.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების განუხრელ აღმავლობას, პროდუქციის ერთეულზე სახსრებისა და შრომითი დანახარჯების მაქსიმალურად შემცირებას და ამის საფუძველზე პროდუქციის საგრძნობ გაიზარებას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა .	33	3
თ ა შ ი I		
კოლმეურნეობის ისტორიიდან		6
თ ა შ ი II		
მემცენარეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია		13
მარცვლეული კულტურები		13
ტექნიკური კულტურები		21
ბალჩეული და ბოსტნეული კულტურები		22
მევენახეობა და მებალეობა		23
თ ა შ ი III		
მეცხოველეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია .		25
მსხვილი რქოსანი პირუტყვი		30
მეცხვარეობა		32
მელორეობა		37
მეფრინველეობა		39
მეფუტკრეობა .		40
მეაბრეშუმეობა		41
თ ა შ ი IV		
საკვები ბაზის წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია		41
თ ა შ ი V		
საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია		46
თ ა შ ი VI		
შრომის ნაყოფიერების ზრდა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე		49
შრომის ნაყოფიერების ზრდა მემცენარეობასა და მეცხოველეობაში		49
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე ყოველ 100 ჰექტარ სას. სამ. სარგებლობის მიწაზე		51
თ ა შ ი VII		
მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ზოგიერთი საკითხი .		53

თ ა შ ი VIII

57

სახოგადოებრივი მეურნეობის ზრდა

თ ა შ ი IX

64

შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება.

კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობა

საკოლმეურნეთა-სახოგადოებრივ შრომაში

შრომის ორგანიზაცია მემცენარეობასა და მეცხოველეობაში

შრომადღე და მისი ანაზღაურება. გამომუშაების ნორმები და

შეფასება .

კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება

66

73

75

თ ა შ ი X

მმართველობის ორგანიზაცია და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა

მმართველობის ორგანიზაცია და კადრები .

უმჯობესდება კოლმეურნეთა კულტსაყოფაცხოვრებო პირო-

ბები

საკოლმეურნეთა პირველადი პარტიულ-კომკავშირული ორგა-

ნიზაციები და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

78

81

82

თ ა შ ი XI

კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა (1956—
1960 წწ.).

დაგეგმვის ახალი წესი და მისი მნიშვნელობა

მარცხეულის წარმოების გადიდებისა და მინდვრის თესლ-

ბრუნვის დარგში

ტექნიკური კულტურების დარგში

კარტოფილისა და ბალჩულ-ბოსტნეული კულტურების

დარგში

მევენახეობის დარგში

სახოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქ-

ტების წარმოების გადიდების დარგში

საკვების წარმოების გეგმა და საკვები თესლბრუნვები

სააოფლო-სამეურნეთა შრომატევად სამუშაოთა პროცესების

მექანიზაციის და მშენებლობის დარგში

წყლის მეურნეობა და მისი გაფართოების ღონისძიებანი

დამცველი ტყის ზოლების მოწყობა

სახოგადოებრივი მეურნეობის ზრდა

მოკლე დასკვნები

84

89

96

97

98

98

104

106

109

110

111

116

რედაქტორი თ. ჭინჭიხაშვილი

ტექრედაქტორი ა. კოკია

კორექტორი თ. შანაბელი

გადაეცა წარმოებას 28/IX-1956 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 2/1-1957 წ. უე 06747. ანაწყოების ზომა
5,5×9. ქალაქის ზომა 84×108¹/_{კვ.} ნაბეჭდი თაბახი
6,15. სააღრ-საგამომტ. თაბახი 5,26 ტირაჟი 2.000
შეე. № 849. ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.

თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-ая Типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.

Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.

**Александр Несторович
Нарчомашвили**
Экономика передового колхоза
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси—1959